

# ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლიტერატურის თეორია (ზოგადი და კომპარატივისტული კვლევები“)

ანა ლეთოდიანი

სიმბოლოს თეორიული გააზრება და თამარ მეფის ეიკონური სახე  
ძველ ქართულ ლიტერატურაში  
(„ისტორიანი და აზმანი შარაგანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“,  
„თამარიანი“, „აბდულმესიანი“)

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D)  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი რ. სირაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი



უნივერსიტეტის  
გამოცემლობა

თბილისი  
2009

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესაგალი..... გვ. 1

### თავი I

სიმბოლოს თეორიული	
გააზრება.....	გვ. 8

### თავი II

თამარ მეფის გვირგვინის	
სიმბოლიკა.....	გვ. 23

### თავი III

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“	
ერთი იამბიკოს სიმბოლური გააზრებისათვის.....	გვ. 63

### თავი IV

თამარ მეფე – „სამებისაგან ოთხად	
თანააღზევებული...“.....	გვ. 100

ძირითადიდასკვნები .....	გვ. 128
-------------------------	---------

დამოწმებული ლიტერატურა.....	გვ. 140
-----------------------------	---------

**სიმბოლოს თეორიული გააზრება და თამარ მავის  
ეპილონი სახე ძველ ქართულ ლიტერატურაში  
(„ისტორიანი და აზმანი შარაგანდედთანი“, „ცხოვრება მიუთ მავისა  
თამარისი“, „თამარიანი“, „აკლუმანიანი“)**

სიმბოლოს ისტორია უძველესი დროიდან იწყება. იგი ისეთი კატეგორიაა, რომელიც უკელა კულტურაში არსებობს და გამოიყენება სხვადასხვა მოვლენის, საგანის თუ პროცესის ანალიზისას. მისი განვითარება ნათლად ასახავს კაცობრიობის აზროვნების გზას, სამყაროს სურათის ცვლილებას (<http://nauka-shop.com/mod/shop/product ID/4166>).

სიმბოლო ორი საწყისის აღსანიშნისა და აღმნიშვნელის შერწყმას წარმოადგენს (მეიერი) (ტოდოროვი 1999: 249; სირამე 1982: 75). იგი თავისთავად არსებობს და მის მიერ რამეს აღნიშვნა მეორეული მოვლენაა (ჰუმბოლდტი) (ტოდოროვი 1999: 368). სიმბოლო არა მხოლოდ გამოსახავს, არამედ უპირველეს უკვლისა, გვაზიარებს იმ რეალობას, რომელსაც იგი წარმოადგენს (ივანოვი 1987: 368). სიმბოლური შინაარსის მინიჭება მოვლენის სიღმისკენ მიმართავს ჩვენს ყურდღებას, მის „დაფარულ“ აზრზე მიანიშნებს (სირამე 1982: 79, 22).

„არანაირ ხელოვნებას, მაქსიმალურად რეალისტურსაც კი არ ძალუბს გვერდი აუაროს სიმბოლურ კონსტრუირებას“, – წერს ა. ლოსევი (ლოსევი 1995: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Los\\_prsimv/01.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Los_prsimv/01.php)). ეს სიტყვები შეიძლება განვაზოგადოთ და ვთქვათ, რომ არა მხოლოდ ხელოვნების სხვადასხვა დარგი თუ ლიტერატურა იყენებს სიმბოლოს, არამედ „ისეთი მაქსიმალურად რეალისტური“ სფეროც კი, როგორიც ისტორიაა ვერ არიდებს თავს მას და სიმბოლოს ისტორიულ თხზულებებშიც გარკვეული როლი ენიჭება.

„ისტორია დარჩება დალუქულ წიგნად, თუ ისტორიკოსი თავს ვერ გაართმევს საკუთარ ძეგლთა სიმბოლური ენის გაშიფვრას. ისტორიკოსი იკვლევს არა მარტო კაცობრიობის ცოცხალსა და მკვდარ ენებს, არამედ ცდილობს სხვადასხვა სახის სიმბოლურ ენათა დაფარული აზრის ამოცნობასაც. გარდასულ ეპოქათა სულის გაცოცხლება და საერთოდ, ისტორიული ჭეშმარიტების შემეცნება სიმბოლოთა გარეშე შეუძლებელია“, – აღნიშნავს ე. კასირერი (კასირერი 1983: 277, 303). ქ. ლე გოფიც მიიჩნევს, რომ „დრმა

პოლიტიკური პროცესების ისტორია, უპირველეს ყოვლისა, მთელი რიგი შინაგანი ფაქტორების: ნიშნებისა და სიმბოლოების „შესწავლით“ იწყება (ლე გოფი 2001: 11).

ჩვენს ნაშრომში, აღნიშნულის ცხადყოფას შევეცდებით ქართული ისტორიული თხზულებების, კერძოდ, თამარ მეფის მატიანეების, ასევე ხოტბების მაგალითზე.

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები, სხვადასხვა, მათ შორის, მეტნაკლებად სიმბოლურ-სახისმეტყველებითი თვალსაზრისითაც არის შესწავლილი. რაც შეეხება ქართულ ისტორიული ჟანრის მწერლობას, მას, სამწუხაროდ, ძირითადად მხოლოდ ისტორიული კუთხით სწავლობდნენ. მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, მატიანეებში იშვიათად ექცეოდა ყურადღება მოვლენათა სიმბოლურ გაშიფვრას, ზოგადად, სიმბოლოთა განმარტებას, არადა სიმბოლოს არსიდან გამომდინარე, ისტორიულ ძეგლებში სიმბოლური პლასტების დანახვა საშუალებას მოგვცემს ჩვენი მატიანეები უფრო უკეთ, ახლებულად წავიკითხოთ და გავიაზროთ.

სიმბოლოს არაერთ ქართულ ისტორიულ თხზულებაში ვხვდებით, მაგრამ ამ კუთხით თამარ მეფის ისტორიებითა და განსაკუთრებით, მის პირველ ისტორიად აღიარებული, უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ით დავინტერესდით. ეს ძეგლი ყველა სხვა ისტორიული ნაწარმოებისაგან განსხვავებულია. თხზულებიდან ჩანს, რომ მისი ავტორი საკიარო განათლებული პიროვნება ყოფილა. „მას შეთვისებული პქონია ორი კულტურა: ქრისტიანული, ბერძნულ-ბიზანტიური და მაჭმადიანური, არაბულ-სპარსული“ (ჯავახიშვილი 1929: 221).

„ისტორიანი და აზმანი“ დაწერილია მხატვრულ-პოეტური ენით (კეპელიძე 1941: 1), „რიტორული ხელოვნებითა და მჭევრმეტყველური მოქარგულობით“ (ჯავახიშვილი 1977: 241). იგი ცნობებს გვაწვდის ჯერ გიორგი III-ის შემდეგ კი, უფრო ვრცლად, თამარის მეფობის შესახებ. უცნობი ავტორის ნაწარმოები ასევე მდიდარია: საღვთო წერილის ციტატებით, ბიბლიურ ამბავთა თხრობით, ტერმინებით, სხვადასხვა სახის შედარებებით და რაც ჩვენთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია, სიმბოლურ-სახისმეტყველებითი ელემენტებით.

თამარ მეფეზე საუბრისას, ბუნებრივია, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის გარდა გასათვალისწინებელია თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვარის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“,

მცირეოდენი ცნობები, რომელთაც თამარის შესახებ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე გვაწვდის, ასევე მეხოტებეთა ჩახრუხაძის, იოანე შავთელის თხზულებები: „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“.

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეფის, თამარის შესახებ არაერთი მხატვრული ნაწარმოები და სამეცნიერო ნაშრომი დაწერილია (და არა მარტო ქართულ ენაზე), აღარაფერს ვამბობთ უხვ ფოლკლორულ მასალაზე. თუმცა, თამარ მეფესთან, მის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული არაერთი საკითხები კვლავ ბუნდოვანი და საკამათოა.

ვფიქრობთ, გარკვეულ კითხვებს მაინც გაეცემა პასუხი, თუ თამარ მეფის ისტორიებსა და შესაბამისად, მეხოტებეთა თხზულებებს სიმბოლურ-სახისმეტყველებით, ასევე საღვთისმეტყველო თვალსაზრისით შევისწავლით. უკანასკნელი ფაქტორი აუცილებლად საყურადღებოა, რადგან თამარ მეფის მატიანეები (გარკვეულ წილად, „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“-იც), როგორც შეა საუკუნეების დანარჩენი ქართული წყაროები, ქრისტიანული ეპოქის სხვა ქვეყნების ქრონიკების მსგავსად, შექმნილია საღვთისმეტყველო ისტორიული კონცეფციის შესაბამისად; ისინი წარმოაჩენენ ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს სათავეში მყოფი მეფეების ქმედებათა ქრისტიანულ მოტივებს (ჯავახია 2005: 129).

აღნიშნული კუთხით კვლევა მრავლისმომცველია. ჩვენს ნაშრომში კი მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევეხებით. პირველ თავში „სიმბოლოს თეორიული გააზრება“ მიმოხილულია სიმბოლოს შესწავლის ისტორია, ტერმინის („სიმბოლო“) ეტიმოლოგია, სხვადასხვა შეხედულების შეჯერების საფუძველზე წარმოდგენილია სიმბოლოს არსის განმარტების მცდელობა. ზემოთქმულს ორგანულად უკავშირდება მომდევნო ორი (II და III) თავი: თამარ მეფის გვირგვინისა და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ის ერთი იამბიკოს სიმბოლიკა. II თავში საუბარია თამარ მეფის გვირგვინის, მასში მოთავსებულ პატიოსან თვალთა „იაკინთთა, ზმირთა და სმარაგდოთა“ სიმბოლურ მნიშვნელობებსა და თამარ მეფის სახესთან მათ მიმართებაზე. III თავში მოცემულია „ისტორიანი და აზმან“-ის ბოლოს დართული ერთი იამბიკოს სიმბოლური ანალიზი. შეიძლება ითქვას, ამ იამბიკოში სიმბოლოების ენით გადმოცემულია თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები. IV თავში „თამარ მეფე – „სამებისაგან ოთხად თანააღმდეგებული...“

ვმსჯელობთ ქართულ მეცნიერებაში გავრცელებულ მოსაზრებაზე, თითქოს თამარ მეფე მისი ისტორიკოსებისა და მეხოტბეების მიერ ქრისტიანული სამების მეოთხე წევრად, მეოთხე პიპოსტასადაა დასახული. ეს საკითხები შემთხვევით არ დაგვიკავშირებია ერთმანეთისათვის. ჩვენი აზრით, თამარ მეფის გვირგვინის შემამკობელი ძვირფასი ქვების სიმბოლიკის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ბოლოს არსებული იამბიკოს სახე—სიმბოლოების მნიშვნელობათა მეშვეობით, ასევე უცნობი მემატიანის ფრაზებით: თამარი „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, „სამებისა თანა იხილვების (თამარ) მისწორებული და აღმატებული...“ წარმოჩნდება თამარ მეფის ეკონური სახე.

თამარ მეფის ეკონურ სახეზე საუბრისას, ძირითადად ვეყრდნობით ეკონური განსახოვნების შესახებ ქრისტიანობაში დამკვიდრებულ გაგებას (სირამე 2008: 16). ძვ. ბერძნული ეიკონა („ნახატი“), ეიკონ („სახე“, „გამოსახულება“) დვოის, ანგელოზთა, ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ ადამიანთა, ეპლესიის ისტორიისათვის მნიშვნელოვან მოვლენათა გამოსახულებას წარმოადგენს (უსპენსკი 1995: <http://ec-dejavu.ru/i/icon.html>). დიონისე არეოპაგელის სწავლების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც „ხილული საგნები უხილავის სახეა“, ბიზანტიაში შემუშავდა „ეკონის“ შესახებ თეორია. ამ თეორიის თანახმად გამოსახულება, მართალია, გარკვეული მნიშვნელოვანი განსხვავებით დაშორებულია პირველსახისაგან, მაგრამ მასში არსებობს (მყოფობს) პირველსახის „ენერგიები“. რა თქმა უნდა, ასე გაგებული „ეკონ“ არის არა მხოლოდენ ესთეტიკური, არამედ თეოლოგიური და ონტოლოგიური ტერმინი (ავერინცევი 2004:

[http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Litarat/aver/zol\\_sist.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Litarat/aver/zol_sist.php)). ქრისტიანობაში ეკონური სახის შინაარსი და შინა—არსი მიღმური, ტრანსცენდენტურია (ფრესკა, ხატი) (სირამე 2008: 16).

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კულტურაში სიმბოლიზმის კვლევის ერთ—ერთ მეტნაკლებად ადგევატურ მეოთვდს წარმოადგენს იკონოლოგია ([www.nauka-shop.com/mod/shop/product\\_ID/4166](http://www.nauka-shop.com/mod/shop/product_ID/4166)). (ძვ. ბერძნულად ნიშანთა შესახებ მოძღვრება), რომელიც მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა ხელოვნების თეორიასა და ისტორიაში, თუმცა, იგი მაღლევე იქცა იდეების ნაყოფიერი და ინტენსიური გაცვლის საშუალებად პუმანიტარული სფეროსათვის (სოკოლოვი: [http://culture.niv.ru/doc/culture/encyclopedia\\_XXvek/183.htm](http://culture.niv.ru/doc/culture/encyclopedia_XXvek/183.htm); კაპიტანჩუკი:

<http://www.ikonolog.narod.ru/cto-takoe-ikonologia-predislovie>). იკონოლოგია, როგორც  
მეთოდი ორიენტირებულია გამოავლინოს ნაწარმოების თავისებური „სული“ ანუ  
იკვლევს ნაწარმოების სიმბოლურ-სახისმეტყველებით შინაარსს, რათა  
განსაზღვროს მისი ისტორიულ-კულტურული არსი, მასში გამოხატული  
მსოფლეოდვა (თანამედროვე ენციკლოპედია <http://dic.academic.ru/dic.nsf/snc1p/19342>; [www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166](http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166); სოკოლოვი  
[http://culture.niv.ru/doc/culture/encyclopedia\\_XX\\_vez/183.htm](http://culture.niv.ru/doc/culture/encyclopedia_XX_vez/183.htm)).\*

აღნიშნული თვალსაზრისით, თამარ მეფის ეიკონური სახის საფუძველი  
მისი წმინდანობაა. წმინდანობა ადამიანის დვაწლის, ცხოვრების წესის შედეგია.  
თამარის დვაწლი, შესაბამისად, პროცესი მეფობიდან წმინდანობისაკენ სწორედ  
მის ისტორიებში, განსაკუთრებით კი „ისტორიანი და აზმანი  
შარავანდედთან“—შია ასახული. ამ მხრივ საყურადღებოა ხოტებიც.  
საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თამარის მეფობისა და ცხოვრების მნიშვნელოვანი  
ეპიზოდები ხშირად სახე—სიმბოლოების მეშვეობითაა გადმოცემული.

აქვე შევნიშნავთ, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას,  
როგორც უკვე ითქვა, ძირითადად, ვეურდნობით თამარ მეფის პირველ ისტორიას  
(ეს ნაშრომის თავების დასახელებიდანაც ჩანს). თუმცა, ჩვენთვის საჭირო  
კონტექსტსა თუ საკუთარი თვალსაზრისის უკეთ დასასაბუთებლად სათანადო  
ადგილებს მოვიხმობთ ბასილი ეზოსმოძღვარის, ლაშა—გიორგის დროინდელი  
მემატიანისა და მეხოტებეთა თხზულებებიდან.

\* სემოტიკაში – იკონური ნიშანი ისეთი ნიშანია, რომელშიც აღმნიშვნელ ობიექტს აქვს  
იგივე თვისება, რაც თავად ნიშანს და ეფუძნება აღმნიშვნელისა და აღსანიშნის  
ფაქტობრივ მსგავსებას (ლოტმანი 1992: [http://www.durov.com/literature/1/lotman\\_92-e.htm](http://www.durov.com/literature/1/lotman_92-e.htm)).

## სიმბოლოს თეორიული გააზრება

სიმბოლო საქმაოდ რთული და სპეციფიკური მოვლენაა. თავისი არსებობის მრავალათაშვილიანი ისტორიის მანძილზე იგი მუდმივად იქცევს ურადღებას და შეიძლება ითქვას, ინტერდისციალინური კატეგორიაა. მის შესწავლას და კვლევას ცდილობს ჰუმანიტარული და არა მხოლოდ ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა სფერო: ფილოსოფია, ესთეტიკა, ფილოლოგია, კულტუროლოგია, სემიოტიკა, ჰერმენევტიკა, სტრუქტურალიზმი, ხელოვნებათმცოდნება, პოლიტოლოგია, ეთნოლოგია, ანალიტიკური ფსიქოლოგია, სოციოლოგია.

სიმბოლო იქმნება და გამოიყენება ჰუმანიტარული და სოციალური აზროვნების თითქმის ყველა სფეროში: რელიგიაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ადამიანის ყოველდღიურ ყოფაში (ივანოვი 1987: 316).

სიმბოლო ისევე ძველია, როგორც ადამიანის ცნობიერება (ავერინცევი 2001: 159). იგი ადამიანის მიერ გარემომცველი სამყაროს შეცნობის შედეგად აღმოცენდა. მისი გააზრება იწყება იმ დროიდან, როცა ჩამოყალიბდა სამეტყველო გარემო, ადამიანმა დაკარგა სამყაროს არაცნობიერი, რეფლექსიური ხედვა და სამუდამოდ გადავიდა „გაფორმებულის“ აღქმასა და ჩაწვდომაზე. ამ პერიოდიდან იწყება რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე, დიალოგური ურთიერთობა სამყაროსთან, რაც იქცა სიმბოლიზაციის სტრუქტურულ-მარტომოებელ

პრინციპად

([http://www.planetadisser.com/work/work\\_16768.html](http://www.planetadisser.com/work/work_16768.html)). გარკვეული სიმბოლოები ჯერ კიდევ დამწერლობამდელი დროიდან მომდინარეობს, როცა განსაზღვრული (და როგორც წესი, მოხაზულობის მხრივ, ელემენტარული) ნიშნები წარმოადგენდა კოლექტივის ზეპირსიტყვიერ მეხსიერებაში ტექსტებისა და სიუჟეტების შენახული, კონდენსირებურ, მნემონურ პროგრამებს (ლოგმანი 1992: [http://www.durov.com/literature/1/lotman\\_92-e.htm](http://www.durov.com/literature/1/lotman_92-e.htm)).

ინტერესი სიმბოლოსადმი უძველესი დროიდან არსებობს. სხვადასხვა ეპოქაში არაერთი მოაზროვნე შეეხო სიმბოლოს საკითხს. მის შესახებ სხვადასხვა ასპექტით წერდნენ და მსჯელობდნენ: ემპედოკლე, პლატონი,

არისტოტელე, პლოტინი, ორიგენე, პროკლე დიადოქოსი, დიონისე არეოპაგელი, ნეტარი ავგუსტინე, თომა აკვინელი, მ. ფიჩინო, ჯ. პიკო დელა მირანდოლა, ე. სვედენბორგი, ი. კანტი, გ. ვ. თ. ჰეგელი, ი. ვ. გოეთე, ფ. შელინგი, ფ. შლეგელი, ს. კირკეგორი, შ. ბოდლერი, პ. ვალერი, ე. კასირერი, კ. გ. იუნგი, ი. შპენგლერი, პ. რიკიორი, გ. გადამერი, მ. ელიადე, ც. ტოდოროვი, ი. პაიზინგა, რ. გენონი, ვლ. სოლოვიოვი, ვიაჩ. ივანოვი, ა. ბელი, პ. ფლორენსკი, ა. ლოსევი, მ. მამარდაშვილი, ა. პიატიგორგსკი, ს. ავერინცევი, მ. ბახტინი, ვ. ბიჩკოვი, ა. გურევიჩი, უ. ლე გოფი, დ. ლიხაჩოვი, ე. ფრომი, ნ. ბერდიაევი, ე. პუსერლი, ა. ტახო-გოდი, კ. ლევი-სტროსი, რ. ბარტი, პ. უსპენსკი, ფ. დე სოსიური, კ. ოგდენი, ა. უაიტჰედი, გ. შტერნი, ლ. ვიტგენსტაინი, დ. რასმუსენი, ს. ლანგერი, უ. ეკო, ჩ. პირსი, ჩ. მორისი, ი. სტეპანოვი და სხვები.

სხვადასხვა ეპოქაში სიმბოლოსადმი დამოკიდებულება, მისი აღქმა და გააზრება სხვადასხვაგვარი იყო, რასაც მოჰყვა სიმბოლოს შესახებ არაერთი თეორიის წარმოშობა.

სიმბოლოს, ისევე როგორც ზოგადად ნიშანთა არქეტიპებს, სიმბოლურობის ფუნქციონალურ და დისკურსიულ გამოხატვას, უპირველეს ყოვლისა, მითოსური მსოფლებელი გვთავაზობს, მაგრამ ამ პერიოდის სიმბოლური კონსტრუქციები და მათი გამოხატვის თავდაპირველი ფორმები განსხვავებულია სიმბოლოს შესახებ გვიანდელი წარმოდგენისგან. (<http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166/>). მითოსური აზროვნების ეპოქაში სიმბოლოს ფორმა და მისი არსი დაუნაწევრებელ იგივეობად აღიქმებოდა (ავერინცევი 2001: 159). სიმბოლოს შინა-არსი მისსავე ფორმაში ვლინდებოდა (სირამე 2008: 15), რაც გამორიცხავდა სიმბოლოზე ყოველგვარ რეფლექსიას (ავერინცევი 2001: 159); სხვა ფიზიკური თვისებების მსგავსად, სიმბოლოც საგნის თვისებას წარმოადგენდა. მაგ., ამ პერიოდში დათის სახელი მისი ბუნების განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა (კასირერი 1998: 482–483).

სიმბოლო არ გამოხატავდა ტრანსცენდენტურ რეალობას, იგი თავად იყო რეალობა (<http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166/>; კირილეს და მეთოდეს ენციკლოპედია: <http://www.megabook.ru/ArticlePrint.asp?AIDe>). მას კოსმოლოგიური ფუნქცია ენიჭებოდა და ადამიანის მიერ ჩართული იყო სამყაროს საერთო სურათში, როგორც მისი ყოფისათვის აუცილებელი ელემენტი (<http://www.nauka-shopm..com/mod/shop/productID/4166/>). სიმბოლიზაციის მეშვეობით ადამიანი შეიცნობდა და აწესრიგებდა სივრცეს, რომელშიც იგი

ცხოვრობდა. „პირველყოფილ გონიერის პქონდა უნარი, ყოველგვარი იეროფანია დაენახა მისთვის დამახასიათებელი სიმბოლიზმის ჩარჩოებში“, –წერს მ. ელიადე (ელიადე 1999: 407).

დამკვიდრებული თვალსაზრისით, სიმბოლოს ფილოსოფიური გააზრება ანტიკური ხანიდან მომდინარეობს, ისევე, როგორც თავად ტერმინი „სიმბოლო“\*(<http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166/>; კირილეს და მეთოდეს ენციკლოპედია:

<http://www.megabook.ru/ArticlePrint.asp?AID=672087>). სუმბილი ძველი ბერძნული არსებითი სახელია და პირობით, ამოსაცნობ ნიშანს, ნიშან-თვისებას, სახეს, ხატს ნიშნავს. (ავერინცევი 2001: 156; ივანოვი 1987: 368). თავის მხრივ, არსებითი სახელი სუმბილი ნაწარმოებია ზმნისაგან სუმბალა (თანხვედრა, შეკრება, შეერთება, შერწყმა, დამთხვევა), სადაც უფრო მკაფიოდ ჩანს ამ სიტყვების აზრი (მ. ივანოვი 1997: 368).

ძველ საბერძნეთში „სიმბოლო“ მრავალი მნიშვნელობით გამოიყენებოდა. სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ რელიგიურ ჯგუფებს, პარტიებს, გაერთიანებებს პქონდათ თავიანთი, ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნები (სიმბოლოები). სიმბოლო წარმოადგენდა პირობით საიდუმლო ნიშანს მაგ: ციბელას/კიბელას, ცერერას და სხვა ღვთაებათა თაყვანისმცემელთათვის.

მოგვიანებით, საბერძნეთშივე „სიმბოლო“ აღნიშნავდა სახელმწიფო ხაზინიდან, გულუხვ მდიდართაგან დაბალ ფასში ან უსასყიდლოდ მისაღებ პურის ბილეთს ან ნომერს; თეატრში სახალხო თამაშებსა თუ გლადიატორთა ბრძოლაზე დასასწრებ ბილეთებს; რომაულ „ტესარებს“ (გასანთლულ ფირფიტებს, რომლებზეც იწერებოდა სამხედრო ბრძანებები). ზოგჯერ სიმბოლო

\* სიმბოლოს პელევის ანტიკურ სათავეებზე საუბრისას უნდა ვიგულისხმოთ სიმბოლოს უფრო, როგორც ტერმინის, ცნების და არა ფენომენის ისტორია, რადგან სიმბოლოების გააზრება ალბათ მაშინვე უნდა დაწყებულიყო, როცა ისინი გაჩნდნენ ([www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166/](http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166/)).

\*\*(ბერძ. კუბელი, ლათ. Cybele) ბერძ. მითოლოგიაში ფრიგიული წარმოშობის: სიცოცხლის შემოქმედი ქალის, ნაყოფიერების ღვთაება. იგი ხშირად გაიგივებული იყო რეასთან) (მელეტინსკი 1991: 286; <http://bibliotekar.ru/bek2/110.htm>; [http://dic.academic.ru/dic\\_fwords/8748/...](http://dic.academic.ru/dic_fwords/8748/...))

\*\*\*რომ., ბერძ. დემეტრა; უძველესი იტალიური და რომაული ხორცული ღვთაება; ნადირობის ქალდმერთი, ნაყოფიერების, მიწათმოქმედებისა და ქორწინების მფარველი (მითოლოგიური ლექსიკონი 1991: 604; <http://www.foxdesign.ru/legend/demetra..html>).

ნიშნავდა ხაზინაში ქველმოქმედების, კეთილი საქმეებისათვის შეტანილ გარკვეულ თანხას; შეგროვილი ფულით სუფრის გაშლას და საყოველთაო გამასპინძლებას; უცხო ქვეყნის ელჩისათვის რწმუნების სიგელის გადაცემას; „სიმბოლო“ წარმოადგენდა ორ, მეზობელ სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებას იმ ქმედებათა შესახებ, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ერთ-ერთი ამ სახელმწიფოს მოქალაქეების მეორე სახელმწიფოს მოქალაქეებთან დავის შემთხვევაში (ასეთი ხელშეკრულებები მკაცრად სრულდებოდა, მაგალითად, ათენში) (ბროკაუზი... ენციკლოპედია 1990: <http://www.bashedu.ru/perspage/abdullin-ar/kult-simvol/2-1ht>).

აღნიშნულს გარდა „სიმბოლოს“ პქონდა ასევე ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა. „სიმბოლო“ ეწოდებოდა გასანთლულ ფირფიტას, რომელზეც განშორებისას მეგობრები რამეს წერდნენ ან ხატავდნენ, შემდეგ ფირფიტას ტეხდნენ ორ ნაწილად. შეხვედრისის ისინი ან მათი მემკვიდრეები (უფრო მეტად ეს უკანასკნელნი) იმ შემთხვევაში ადიარებდნენ ერთმანეთს კვლავ მეგობრებად, მოკეთებად, თუკი ფირფიტა მათ ხელთ არსებული ნახატების ერთად დაწყობისას გამოლიანდებოდა ანუ „სიმბოლოს“ მეშვეობით ადამიანები ერთმანეთს ამოიცნობდნენ ხოლმე. (ავერინცევი 2001: 156; ბროკაუზი... ენციკლოპედია 1990: <http://www.bashedu.ru/perspage/abdullin-ar/kult-simvol/2-1htm>).

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ბერძნულ სუმბილო/სუმბალთ-ს მრავალი მნიშვნელობა პქონდა, თავისი არსით იგი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სიმბოლოს მისი დღევანდელი გაგებით.

ძველ ბერძნულ ტექსტებში სიმბოლო ყოველთვის გაიაზრება, როგორც რაღაც ორი საწყისის სინთეზი და არა რაღაცის სიმბოლო. იგი არ უკავშირდება რამე ობიექტს, რისი სიმბოლოც შეიძლება იყოს, არ მიანიშნებს რამე სხვაზე, უფრო ემბლემას\* წარმოადგენს. ელინისტური აზროვნება მუდმივად ურევს ერთმანეთში სიმბოლოს და ალეგორიას\*\* (ავერინცევი 2001: 156).

\* ემბლემა (ძვ. ბერძნ. εμβλημα; ლათ. emblem—ჩართვა, ჩამატება, ჩანართი; ამობურცული სამკაული) არის რაიმე ცნების ან იდეის განმარტება გარკვეული გამოსახულების დახმარებით. იგი უნდა იყოს მარტივი და ცხადი. მაყურებელმა მასში უნდა დაინახოს ზუსტად ის, რაც მისთვის სურდათ ეთქვათ. ემბლემას ხშირად განიხილავენ ალეგორიის სახესხვაობად, ვიწრო გაგებით კი—სიმბოლურ გამოსახულებად. თუმცა, სიმბოლოსაგან განსხვავებით, ის ხორცს არ ასხამს ცნების შინაარსს, მხოლოდ მიუთითებს მასზე (სოკოლოვი: 1999; [www.ec-dejavu.net/e-2/Emblem.html](http://www.ec-dejavu.net/e-2/Emblem.html); ბროკაუზი...1890–1907: [www.ec-dejavu.net/e-2/Emblem.html](http://www.ec-dejavu.net/e-2/Emblem.html)).

პლატონი ცდილობდა გაემიჯნა სიმბოლო ფილოსოფიამდელი მითისაგან. მან დააყენა საკითხი თვით აბსოლუტის ადეკვატური ფორმებით გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ. „ეიდოსები“, რომლებიც არც აბსტრაქციაა, არც სახეები ამ კონტექსტში შეიძლება გავიაზროთ სწორედ, როგორც სიმბოლოები (კირილება და მეთოდებს დიდი ენციკლოპედია: <http://www.megabook.ru/ArticlePrint.asp?AID=672087>). იგი სიმბოლოს განმარტავს როგორც ობიექტის უმაღლესი იდეალური ფორმის ინტუიტურ წვდომას ([http://planetadisser.com/see/dis\\_117363.html](http://planetadisser.com/see/dis_117363.html)).

მართალია პინდარებს, ევრიპიდებს, დემოკრიტებს, ემპედოკლებს და არისტოტელებს რამდენიმე ტექსტში სიმბოლოს ენიჭება მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა (საპირისპირო საწყისების შერწყმა), მაგრამ მიუხედავად ამისა ა. ტახო-გოდის აზრით, კლასიკური საბერძნეთის ლიტერატურაში არ არსებობდა მისწრაფება გამოხატულიყო, დამკიდრებულიყო და გაფორმებულიყო სიტყვაში სიმბოლიზაციის გამოვლენა, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ ეპოქის მითოსური ცნობიერება და შემოქმედება თავად არის სიმბოლური და ამიტომ დამატებით სიმბოლიზაციას არ საჭიროებდა. (უნივერსალური ენციკლოპედია [http://www.mega.km.ru/bes\\_2004/encyclo.asp?TopicNumber=6335](http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclo.asp?TopicNumber=6335); [http://www.bashedu.ru/perspage/abdullin\\_ar/kult\\_simvol/2\\_1.htm](http://www.bashedu.ru/perspage/abdullin_ar/kult_simvol/2_1.htm)).

მნიშვნელოვანი წვლილი სიმბოლოს განსაზღვრაში ნეოპლატონიზმის იდეალისტურ დიალექტიკას მიუძღვის. ნეოპლატონიზმის კონცეფცია სიმბოლოს შესახებ ამგვარი იყო, სიმბოლო უპირისპირდება გამოსახულებას, რადგან ეს უკანასკნელი მიბაძვის შედეგია. გამოსახულება უნდა ჰგავდეს ნიმუშს, სიმბოლო კი უნდა წარმოადგენდეს „ჭეშმარიტ არსეს“, რაც მიიღწევა არა საგნის კოპირებით, არამედ პირიქით, მასში საპირისპირო საწყისების აღმოჩენით.

---

\*\*ალეგორია (ბერძნ. αλλ—ηγορεω) – „ქარაგმულად, სხვაგვარად გამოხატვა“ (ცანავა 2009: 14, 15) წარმოადგენს სახეს, რომელშიც კონკრეტულ საგანს (მოვლენას, სახელს) ცვლის აბსტრაქტული ცნებაა ან განცენებული იდეა. მათ შორის კავშირი, როგორც წესი, პირობითი, ლოგიკური და ერთმნიშვნელოვანია. მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოსაგან განსხვავებით, ალეგორიას ყოველთვის აქვს ერთი მნიშვნელობა, რომელიც განპირობებულია ტრადიციით ან მწერლის ვარაუდით.

ალეგორიული სახეები, როგორც წესი არ ჰგანან იმ საგნებს ან მოვლენებს, რომელთაც აღნიშნავენ. ისინი უფრო მათი პირობითი ნიშნებია. ამ თვალსაზრისით, ალეგორია ძალიან ახლოს დგას სახე—ემბლემასთან ([www.durov.com/study/1114521593-102.html](http://www.durov.com/study/1114521593-102.html)).

საპირისპირო საწყისების თანაარსებობა შესაძლებელია მხოლოდ სიმბოლოში (პროკლე დიადოქოსი: [http://planetadisser.com/see/dis\\_117363.html](http://planetadisser.com/see/dis_117363.html)).

ნეოპლატონიზმა ტერმინი „სიმბოლო“ განსაზღვრა, როგორც მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უნივერსალური, ესთეტიკური კატეგორია. მოგვიანებით, ამ სახით დამკვიდრდა სიმბოლო ევროპულ ტრადიციაში (უნივერსალური ენციკლოპედია [http://www mega.km.ru/bes\\_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335](http://www mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335)).

სიმბოლოს ნეოპლატონური თეორია ქრისტიანობაში გადავიდა არეოპაგეტიკის მეშვეობით. არეოპაგეტიკის მიხედვით, ჭეშმარიტების შესახებ ცოდნის გადმოცემის ორგვარი გზა არსებობს: „ერთი-გამოუთქმელი, მეორე-ცხადი და იოლად შესაცნობი. ამათგან, პირველი-სიმბოლური და მისტიკურია, მეორე კი ფილოსოფიური და ყველასოფის მისაწვდომი“. დიონისე არეოპაგელის სწავლებით, უმაღლესი ჭეშმარიტება პირველი გზით გადმოიცემა ([http://planetadisser.com/see/dis\\_117363.html](http://planetadisser.com/see/dis_117363.html)), რადგან ყველაფერი, რასაც გხედავთ, არის უხილავის, საკრალურის, დვოის განუსაზღვრელი არსის სიმბოლო (ამასთან, ამქვეყნიური იერარქიის საფეხურები ადაგენერულ უმაღლესი, ზეციური იერარქიის სახეს).

სიმბოლოს ამგვარი გააზრება შეა საუკუნეებში თანაარსებობდა დიდაქტიკურ ალეგორიზმთან ერთად. (ავერინცევი 2001: 159).\* ეს არის ეპოქა, რომელშიც სიმბოლოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი ერთ-ერთ ზოგადკულტურულ პრინციპს წარმოადგენდა (უნივერსალური ენციკლოპედია: [http://www mega.km.ru/bes\\_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335](http://www mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335)). სიმბოლიზმი მსჯალავს შეასაუკუნეობრივი ცხოვრების ყველა სფეროს, რელიგიურით დაწყებული საზოგადოებრივით დამთავრებული. (სირაბე 1982: 76). სასულიერო მოღვაწეები იყვნენ პირველები, ვინც სერიოზულად დაიწყო სიმბოლოს სტრუქტურული ანალიზი. პირველებმა მათ დაყვეს ნიშანი ორ ტიპად:

---

\* დიდაქტიკური ალეგორიზმი ქრისტიანული პულტურის ძველი მეთოდია. იგავაური (ქარაგმული) დიდაქტიკით დაიწყო ქრისტიანული ხელოვნება.

თანდათანობით ალეგორიზმი ქრისტიანულ პულტურაში აღქმულ იქნა როგორც რელიგიური შემოქმედების გაგების მეორადი, დამხმარე მეთოდი. თუმცა, სულიერი დაცემის მომენტებში ადამიანის სიმბოლოთშემოქმედების უნარი სუსტდება და ამ დროს კულტურაში თანდათან შემოდის უმაღლესი არსებობის ალეგორიული სახეები

რეალური ნიშანი ანუ სახე და პირობითი ნიშანი ანუ სიმბოლო („რამეთუ აჩრდილი აქცნდა სჯულსა მერმეთა მათ კეთილთავ, არა თუ იგი ხატი საქმეთავ მათ წლითი წლად მსხუერპლთა მათ შესწირვედ სამარადისოდ, ვერასადა შემძლებელ იყვნეს იგინი შემწირველთა მათ განსრულებად.“ (ებრ. 10. 1) (ახალი აღთქმა 2008: 713, 714).

რენესანსის პერიოდში, სიმბოლო განისაზღვრა, როგორც არსის შეცნობის ინსტრუმენტი. ამასთანავე იგი ხდება ესთეტიკური კატეგორია; ეს ბუნებრივია, რადგან ამ დროს ფილოსოფიური ცოდნის სისტემაში ესთეტიკას განსაკუთრებული როლი ეკავა ([http://planetadisser.com/see/dis\\_117363](http://planetadisser.com/see/dis_117363)). რენესანსის ეპოქაში ყვრადღება გამახვილებული იყო სიმბოლოს ინტუიტურ აღქმაზე, მის მრავალმნიშვნელობაზე, მაგრამ ამ პერიოდში სიმბოლოს შესახებ ახალი თეორია არ შექმნილა.

მანერიზმის, ბაროკოს, კლასიკიზმის, განმანათლებლობის ესთეტიკური მოდელები სიმბოლოებით მდიდარ რელიგიურ თუ მხატვრულ სამყაროებს გვთავაზობენ, თუმცა, ყველა აღნიშნულ ეპოქაში სიმბოლოს ძირითადად ქარაგმულად თქმისა და პერალდიკური რეპრეზენტაციის საშუალებად გაიაზრებდნენ, მასში ამაზე მეტ მნიშვნელობას ვერ ჰვრებდნენ. (ავერინცევი 2001:159: უნივერსალური ენციკლოპედია [http://www.mega.km.ru/bes\\_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335](http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335)).

ვითარება იცვლება მე-18 საუკუნიდან. კანტის სწავლების (სწავლება „წარმოდგენის“ შესახებ) წყალობით, სიმბოლო პირველად იძენს რეალობის სულიერი გათვისების განსაკუთრებულ სტატუსს. იგი სიმბოლოს განმარტავს, როგორც წარმოდგენის განსაკუთრებულ ფორმას, რომლის საშუალებითაც გადმოიცემა რაღაც ისეთი, რაც არ შეიძლება გადმოიცეს დისკურსიული

მე-16-ე საუკუნის დასაწყისიდან კულტურის ისტორია სულ უფრო და უფრო შორდება აპსოლუტის სიმბოლურად გამოსახვასა თუ გამოთქმას და ხშირად მას ენაცვლება დვორაებრივი ბუნების გამოხატვა: მეტაფორის, ემბლემის ან განყენებული იდეოლოგების მეშვეობით. სიმბოლური თანხვედრა იცვლება ქარაგმულად თქმით (ერმოლინი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Ermol/14.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Ermol/14.php)).

განსჯის მეშვეობით. კანტის თანახმად, სიმბოლო არის გამოსახვის სპეციფიკური ფორმა, რომელიც გონებით გაიგება, თუმცა, მხოლოდ რეფლექსის და არა შინაარსის ფორმით. იგი გონების იდეის წარმოდგენის გრძნობისმიერი საშუალებაა. გაიგო სიმბოლო... ნიშნავს ჩასწვდე იდეას.

კანტის თეორიის საფუძველზე, სიმბოლოს გაგების შესახებ ორი მიმართულება განვითარდა. მათგან პირველს წარმოადგენდა შილერის თეორია და რომანტიკოსების ტრადიცია, ხოლო მეორეს გოეთეს თეორია.

შილერი გვთავაზობს სიმბოლოს ესთეტიკურ კონცეფციას. იგი სიმბოლოს განსაზღვრავს, როგორც დიალექტიკურად დაძაბულ ურთიერთობას სულსა და მატერიას, სასრულსა და უსასრულობას, ფორმასა და რეალობას, თავისუფლებასა და ყოფიერებას შორის, რომელთა „შერიგება“ შესაძლებელია მხოლოდ ესთეტიკურ სფეროში, რაც ადამიანს პარმონიულობას, მთლიანობას ანიჭებს ([http://planetadisser.com/see/dis\\_117363.html](http://planetadisser.com/see/dis_117363.html)).

გერმანული რომანტიზმის ფილოსოფიაში (შლეგელი, ნოვალისი, კროიცერი, შელინგი...) სიმბოლოს სპეციფიკა გაიაზრება რომანტიზმის ძირითად თემებთან მიმართებით (უნივერსალური ენციკლოპედია [http://www.mega.km.ru/bes\\_2004/encyclo.asp?TopicNumber=6335](http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclo.asp?TopicNumber=6335)). გერმანელი რომანტიკოსები სიმბოლოს გამოსახულებისა და იდეის ორგანულ იგივეობად, შემოქმედებას კი „მარადიულ“ სიმბოლოებად აღიქვამდნენ. შლეგელისათვის სიმბოლო არის სახე უსასრულო სუბსტანციისა, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ფრაგმენტულად ვხედავთ. მისი ერთი ცენტრი მდებარეობს სასრულ, მეორე კი, უსასრულო რეალობაში. სიმბოლოს დახმარებით შეგვიძლია გამოვყოთ ის რეალური არსებობა, ჭეშმარიტი აზრი, რომელიც ამაღლებულია ყოველგვარ ილუზიაზე ([http://planetadisser.com/see/dis\\_117363.html](http://planetadisser.com/see/dis_117363.html); ავერინცევი: [http://www.krotov.info/lib\\_sec/01\\_a/ave/rinstser\\_6.htm](http://www.krotov.info/lib_sec/01_a/ave/rinstser_6.htm)).

გოეთეს თვალსაზრით, ბუნებრივი და ადამიანური შემოქმედების ყველანაირი ფორმა მარადისობის მნიშვნელოვან და მეტყველ სიმბოლოს წარმოადგენს, „ყველაფერი, რაც კი ხდება სიმბოლოა“ ([http://planetadisser.com/see/dis\\_117363.html](http://planetadisser.com/see/dis_117363.html)). თუმცა გოეთე, რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, სიმბოლოს მოუხელთებლობასა და დაუნაწევრობას უკავშირებს არა მისტიკურ მიღმიურობას, არამედ ცხოვრებისეულ ორგანულობას, რომელიც სიმბოლოთა მეშვეობით გამოიხატება. (ავერინცევი 2001: 159; კირილეს და მეთოდეს დიდი ენციკლოპედია: [www.mega.km.ru](http://www.mega.km.ru)). რომანტიზმთან დაახლოებულ

ვერსიას გვთავაზობს ა. შოპენბაუერი, რომელმაც სამყარო გამოსახა, როგორც უშინაარსო ნების სიმბოლიზაცია იდეებსა და წარმოდგენებში.  
[http://www.mega.km.ru/bes\\_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335](http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335).

რომანტიკოსების საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამს პეგელი. სიმბოლოს სტრუქტურაზე საუბრისას, იგი, უურადდებას ამახვილებს სიმბოლოზე, როგორც პირობითობაზე დაფუძნებულ ნიშანზე, ხაზს უსვამს მის რაციონალურ მხარეს. პეგელის ოქმით, „ზოგადად სიმბოლო... შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული ნიშანი ან უბრალოდ აღნიშვნა, რომელშიც კავშირი აზრსა და გამოსახვას შორის არის გამჭვირვალე“<sup>1</sup>. იგი სიმბოლოს განიხილავს აგრეთვე ფორმალური თვალსაზრისითაც ანუ როგორც რეპრეზენტაციისა და კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებას (ბასინი:  
[http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/Bas/11.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Bas/11.php)).

XIX საუკუნის 80-იან წლებში სიმბოლიზმმა, როგორც ლიტერატურულმა მიმდინარეობამ სიმბოლო დაუბრუნა ესთეტიკის სფეროს. სიმბოლისტების თვალსაზრისით, სიმბოლო, – ეს არის მატერიალურ საგნებში დაფარული ჭეშმარიტი, საიდუმლო არსი, იდგა. ის ხელოვნებაში ხსნის საზრისთა აღმოჩენის უსასრულო პერსპექტივას (თუმცა, მისი საბოლოო ინტერპეტაციის მცდელობა ამ პერსპექტივას და თავად სიმბოლოსაც გააქრობს) (ნაკუდაშვილი 1999: 83).

სიმბოლოსადმი ინტერესი განსაკუთრებით მძაფრდება XX საუკუნის დასაწყისიდან. ამ პერიოდის დასავლური აზრის მდინარება სიმბოლოს გაგების არაერთ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოდელს წარმოგვიდგენს. მოკლედ შევეხებით მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

ე. კასირერის ნეოკანტიანიზმისაგან აღმოცენებული „სიმბოლური ფორმების ფილოსოფიამ“ სიმბოლოს ადამიანური სამყაროსთვის უკიდურესად ფართო მნიშვნელობა მიანიჭა; იგი სულიერი რეალობის ამსახველ უნივერსალურ საშუალებად, კულტურის შეცნობისა და შემოქმედების საყოველთაო ფუნქციად მიიჩნია. კასირერი ფიქრობს, რომ ადამიანი არის „სიმბოლური ცხოველი“, ენა, მითი, რელიგია, ხელოვნება და მეცნიერება სიმბოლური ფორმების არსია, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი აწესრიგებს გარშემომყოფ ქაოსს.

სიმბოლოს ფსიქოლოგიურ ანალიზს ავითარებდნენ: ზ. ფროიდი, ი. კრისტენა, ა. სტორი, კ. იუნგი (<http://www.dslib.ru/religio-vedevie/ten.htm>).

ზ. ფროიდს სიმბოლო დაპყავს არაცნობიერი ფსიქიკური მოქმედებების ფუნქციამდე ანუ მისი შეხედულებით, სიმბოლო გათანაბრებულია ფსიქო—პათოლოგიურ სიმპტომთან (<http://www.lib.ua.ru.net/diss/cont/198071.html>).

კ. იუნგმა უარყო ფროიდის თვალსაზრისი. მან გააგრძელა რომანტიკული ტრადიცია და ადამიანთა სიმბოლოები ახსნა, როგორც არაცნობიერის (ანუ არქეტიპის) გამოხატვის მყარი ფიგურები, რომლებიც თავიანთი არსით დაუნაწევრებელნი არიან და გამოხატვას ჰპოვებენ სხვადასხვა პულტურის სიმბოლოებში. იუნგის წარმოდგენა სიმბოლოს შესახებ მთლიანად შლის საზღვრებს სიმბოლოსა და მითს შორის, სიმბოლოს გადააქცევს მყარ აზრობრივ საფუძველს მოკლებულ სტიქიად (ავერინცევი 2001: 161; კირილეს და მეთოდეს დიდი ენციკლოპედია: <http://www.mega.km>).

XX საუკუნის II ნახევარში ჩ. პირსის, უ. მორისის, რ. კარნაპის და სხვათა მიერ სემიოტიკის (ნიშნებისა და ნიშანთა სისტემების შესახებ მეცნიერება) ძირითადი პრინციპების დამუშავებამ იმოქმედა ფილოსოფიაში სიმბოლოს სტატუსზე. სემიოტიკის ფარგლებში, ნიშანთა სისტემების შედარებითი ანალიზისას, სიმბოლო განიხილება, როგორც ერთ—ერთი ნიშანი, როგორც კონვენციური (დადგენილი) ურთიერთობა ნიშანსა და მნიშვნელობას შორის (ჩ. პირსი) (შატინი 2003: <http://www.philology.ru/literature1/shatin-03.htm>). ჩ. პირსის შეხედულებით, სიმბოლო, იმგვარი ნიშანია, რომელიც ენაცვლება ობიექტს, ამასთან ადსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი თავისუფალი ხასიათისაა.

ფ. დე სოსიური „ზოგადი ლინგვისტიკ“—ის კურსში ამტკიცებს, რომ ეს თავისუფლება არ არის აბსოლუტური და სიმბოლოში აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებობს ბუნებრივი კავშირის რუდიმეტი.

სიმბოლოს სტრუქტურალისტური ინტერპეტაცია ორ პოზიციას გამოხატავს. ერთი მხრივ, წარმოადგენს რა სოციოკულტურულ ფენომენს, სიმბოლო განეკუთვნება „დისკურსის სფეროს“. ამ შემთხვევაში, ენის სხვა ნიშნებთან მიმართებით სიმბოლურ და მითოსურ მნიშვნელობას არ გააჩნია საკუთარი მახასიათებლები. ისინი გამოირჩევიან მხოლოდ დესკრიფციის, ინტერპეტაციის, ასევე კლასიფიკაციისა და კატეგორიზაციის თვალსაზრისით.

მეორე მხრივ, სიმბოლო გამოდის კულტურული ლოგოსის საზღვრებიდან, იძენს მითებისა და რიტუალების ფორმას. ასეთ დროს, იგი წარმოადგენს „საკრალურ ენას“ ([http://5ka.su/ref/culture/o\\_object10106.html](http://5ka.su/ref/culture/o_object10106.html))

სიმბოლოს სტრუქტურალისტური თეორიის მიხედვით (XX საუკუნის II ნახევარი), „სიმბოლო“ შეესაბამება „სიმულაკრას“ ცნებას (სიმულაკრა-ერთგვარი ასლი, რომელიც ისეა დაშორებული ორიგინალს, რომ პირველწყარო აღარც აქვს (ლიტერატურის თეორია 2008: 342).

სიმბოლოთა პროფანაციისა და დესაკრალიზაციის პრობლემა აისახა: ქ. ბოდრიარის, რ. ბარტის, უ. ეპოს და სხვათა ნაშრომებში (<http://www.dslib.ru/religio-vedevie/ten.htm>).

„ტარტუ-მოსკოვური“ სკოლის ლიდერი ი. ლოტმანი კულტურას აფასებს, როგორც ნიშანთა სისტემას, იგი თვლის, რომ რეალური სამყარო ამ სისტემაში აღიქმება როგორც ტექსტი. კულტურის დანიშნულება კი არის შეტყობინებებისა და მათში არსებული აზრის „გაშიფვრა“. ი. ლოტმანი სიმბოლოს მიიჩნევს კულტურის უმნიშვნელოვანეს ნიშნობრივ საშუალებად, ტექსტიად, რომლის შინაარსიც მრავალმხრივია და რომელიც შემჭიდროვებული სახით თან ახლავს კულტურული პროგრამების ტრანსლირებას.

ც. ტოდოროვის „სიმბოლოთა თეორიებ“-ის ცენტრში მოქცეულია ესთეტიკისა და პოეტიკის პრობლემები. იკვლევს რა, სიმბოლოს ისტორიულ კონცეფციებს (ნეტარი ავგუსტინე, რომანტიკოსები, ფ. დე სოსიური), იგი ეყრდნობა სიმბოლოს ლინგვისტურ, სტრუქტურალისტურ გაგებას.

კ. იასპერსისათვის ყოფიერება შეიცნობა სიმბოლოში და სიმბოლოს მეშვეობით. მისი თვალსაზრისით, სიმბოლო—ეს არის მონაწილეობის საშუალება ყოფიერების სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა დოზით. მისი დახმარებით შეგვიძლია შევაღწიოთ „მოუხელთებელ რეალობაში“, მითში, და ბოლოს სიმბოლოს მეშვეობით მივდივართ დმერთოან (<http://simbols.ru/9/>).

დ. რასმუსენის განსაზღვრებით, სიმბოლო ერთდროულად არის აფექტური და კოგნიტური, ეგზისტენციალური და ონტოლოგიური ფენომენი. მისი გაგებით, სიმბოლო არის კულტურის ბაზისი, ცენტრი, ყოფიერების შეცნობის გასაღები.

გ. პაიდეგერის „ფუნდამენტური ონტოლოგია“ და ჰ. გადამერის პერმენევტიკა ცდილობენ ენა გაათავისუფლონ სციენტური ცენზურისაგან და სიმბოლოს მისცენ საშუალება იყოს სამყაროს გაგების თვითკმარი საშუალება. პაიდეგერთან ქრება სიმბოლოს ანალიტიკური ინტერპრეტაცია. გადამერი ეყრდნობა სიმბოლოზმის შესახებ გერმანელი რომანტიკოსების (გოეთე, ზოლგერი, შელინგი, კროიცერი...) თვალსაზრისს, ასევე კანტის შეხედულებას ([http://5ka.su/ref/culture/o\\_object10106.html](http://5ka.su/ref/culture/o_object10106.html)).

ა. ლოსევი ცდილობს ახსნას სიმბოლოს დიალექტიკური ბუნება. იგი სიმბოლოს სამყაროს შეცნობის უნივერსალურ ინსტრუმენტად მიიჩნევს.

კულტუროლოგიური, ესთეტიკური თვალსაზრისით სიმბოლოს ასევე შეისწავლიდნენ პ. ფლორენსკი, ს. ავერინცევი.

სიმბოლოებზე, როგორც ცნობიერი გზავნილებისა და ცნობიერების რეზულტატების რეპრეზენტაციის საშუალებებზე მსჯელობებ მ. მამარდაშვილი და ა. პიატიგორსკი. მათი მოსაზრებით, სიმბოლო ადამიანის ცნობიერებას აკავშირებს კულტურულ ცხოვრებასთან (მამარდაშვილი... 1999: 195).

სიმბოლოს არსის, ფუნქციის, სიმბოლური სტრუქტურების, ფორმის, სისტემის დადგენა-შესწავლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო. ამას სიმბოლოს შესწავლის ისტორიის ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვა და ჩამოთვლილ ავტორთა სიმრავლეც ცხადყოფს. და მაინც როგორ შეიძლება განისაზღვროს სიმბოლო, რომლის შესახებაც ამდენი თქმულა? სიმბოლოს არსის, ფუნქციის განსაზღვრის მცდელობისას ძირითადად დავეყრდნობით ს. ავერინცევის შეხედულებებს, ც. ტოდოროვის ნაშრომში „სიმბოლოს თეორიები“ შეკრებილ სხვადასხვა მკვლევართა ნააზრევს, ასევე ა. ლოსევის, პ. ფლორენსკის, მ. ივანოვის და სხვათა მოსაზრებებს.

ყოველგვარი სიმბოლო არის გამოსახულება და ყველა გამოსახულება, გარკვეულ წილად, არის სიმბოლო, თუმცა, სიმბოლო, როგორც კატეგორია გადის საქუთარი საზღვრებიდან და წარმოადგენს ისეთ რაობას, რომელიც განუყოფლადაა შერწყმული გამოსახულებასთან, მაგრამ არ უდრის მას. საგნობრივი გამოსახულება და ლრმა აზრი სიმბოლოს სტრუქტურის ორ პოლუსს წარმოადგენს. (ავერინცევი 2001: 155). სიმბოლო, უპირველეს ყოვლისა, თავისთავად არსებობს და მის მიერ რამეს აღნიშვნა მეორეული მოვლენაა. მასში მოცემულია კონკრეტული, გამოსახულებიდან (სახიდან) ზოგადი, იდეალისაკენ გადასვლა (გოეთე) (ტოდოროვი 1999: 239, 240). სიმბოლოს სტრუქტურა მიმართულია იქთქენ, რომ ნებისმიერი კერძო მოვლენის მეშვეობით შექმნას სამყაროს მთლიანი ხატი (ავერინცევი 2001: 156). სიმბოლური ერთგარად ნიშნავს სახეობრივს, ტიპურს, ამიტომ შესაძლებელია იგი განვიხილოთ, როგორც ზოგადი კანონის გამოვლინება (გოეთე) (ტოდოროვი 1999: 239, 240). სიმბოლო ერთდროულად არის შერწყმა: კერძოსა და ზოგადისა, მატერიალურისა და სულიერისა (გოეთე, კროიცერი) (ტოდოროვი 1999: 255, 340).

სიმბოლურია ის, რაც არა მხოლოდ აღნიშნავს იდეას, არამედ თავად არის იგი (მაგალითად, წმინდა მარიამ მაგდალინელი არა მარტო აღნიშნავს სინანულს, არამედ თავად არის „ცოცხალი სინანული“).

სიმბოლო რეალობის ცოცხალ ჭვრებას ეფუძნება (ლოსევი 1919: 218), მაგრამ ის არ არის რეალობის უშუალო იმიტაცია (მ. ივანოვი 1987: 379), პირდაპირი ანარეკლი. იგი არის მინიშნება, იდუმალი აზრის მონაცვლე და მისკენ მეგზური (ვიაჩ. ივანოვი) (პოფმანი: <http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm>). სიმბოლო მიმართულების მომცემია, რათა სწორად გავიგოთ სინამდვილეში რას აღნიშნავს თითოეული სახე (შელინგი 1996: 156, 157). იგი მოვლენების თუ საგნების სიღრმისაკენ წარმართავს ჩვენს ყურადღებას (სირაძე 1982: 79) და შინაგან, არსებით მხარეზე მიუთითებს (მ. ივანოვი 1987: 370). სიმბოლო ერთდროულად არის აზრთა წარმოებისა და გამოუთქმელის გამოთქმის საშუალება (ჰუმბოლდტი) (ტოდოროვი 1999: 249; ნაკუდაშვილი 1999: 82). როგორც უკვე აღინიშნა, ყოველგვარი სიმბოლო არის განზოგადება (გოეთე) (ტოდოროვი 1999: 340), ისეთი სახის განზოგადება, რომელიც უსასრულო აზრობრივ პერსპექტივას ქმნის (ლოსევი 1995: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Los\\_PrSimv/01ph](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Los_PrSimv/01ph)) (ფლორენცისკი) (დეპახინი <http://bestreferat.ru/referat-3746.html>). მას ამოუწურავი შინაარსი აქვს. სიმბოლოს აზრობრივი პოტენციები ყოველთვის უფრო ფართოა, ვიდრე მისი მოცემული რეალიზაცია (ლოტმანი 1992: [http://www.durov.com/literature/1/lotman\\_92-e.htm](http://www.durov.com/literature/1/lotman_92-e.htm)). სიმბოლოს ყოველგვარი ინტერპრეტაცია თავად რჩება სიმბოლოდ, ოდონდ რამდენადმე რაციონალიზებულ სიმბოლოდ (ბახტინი: <http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm>). იგი, რაც უფრო პოლისემიურია, მით მეტ შინაარსს იტევს (რ. ბარტი) ([www.book.ariom.ru](http://www.book.ariom.ru)).

სიმბოლო არ არის „უსულო ტვიფარი“ (ვიაჩ. ივანოვი) (პოფმანი: <http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm>). იგი თავისი არსით დინამიკურია (შელინგი 1996: 156). სიმბოლოების შინაარსი და მნიშვნელობა არ არის მოცემული ერთხელ და სამუდამოდ. ის, როგორც „ცოცხალი“ სტრუქტურა რჩება თავისთავადი, თუმცა, მუდმივი ქმნადობის პროცესშია. (საერთოდ, სიმბოლო უფრო ქმედებაა, ვიდრე შედეგი (ზოლგერი) (ტოდოროვი 1999: 255). ცნობილი სიმბოლოები ახლებურ ღირებულებებსა და ინტერესებს იძენენ (<http://nauka-shop.com/mod/shop/product ID/4166>).

სიმბოლოს არსებითი ნიშანია, რომ იგი არასოდეს ეკუთვნის რომელიმე კულტურის ერთ რომელიმე სინქრონულ ჭრილს, ის ყოველთვის მსჯალავს ამ ჭრილს, წარსულიდან მოსული მიდის რა მომავალში. სიმბოლოები მსჯალავებ კულტურის დიაქრონიას. მათ კულტურის ერთი პლასტიდან მეორეში გადააქვთ ტექსტები, სიუჟეტური სქემები და სხვა სემიოტიკური წარმონაქმნები. სიმბოლო, როგორც განმეორებადი რამ, არის გზავნილი სხვა კულტურული ეპოქებისა (=სხვა კულტურების), როგორც გახსენება ძველი (=მარადიული) საფუძვლებისა. (ლოტმანი 1992: [http://www.durov.com/literature/1/lotman\\_92-e.htm](http://www.durov.com/literature/1/lotman_92-e.htm)).

სიმბოლურ აზროვნება ეფოლუციას განიცდის. სხვადასხვა ეპოქაში ირგვლება ამ ეპოქების რელიგიური, მითოსური, ხელოვნებისმიერი (გამსახურდია 1991: 19), პოლიტიკურ-იდეოლოგიური მემკვიდრეობა, ლირებულებების, ნორმებისა და იდეების ძირითადი არსი. კულტურულ კონტექსტთან აქტიური ურთიერთობისას არა მხოლოდ სიმბოლო ტრანსფორმირდება მისი ზეგავლენით, არამედ თვითონაც ახდენს მის გარდასახვას (ლოტმანი 1992: [http://www.durov.com/literature/1/lotman\\_92-e.htm](http://www.durov.com/literature/1/lotman_92-e.htm)). სიმბოლოები ჩნდებიან, ტრანსფორმირდებიან და ქრებიან, მაგრამ მათ შესწევთ უნარი საკუთარ წიაღში კვლავ აღმოჩენისა. ამდენად, ისინი მარადიული საშუალებებია და ფორმითაც მარადიული არიან (პ. ფლორენსკი) (ლეპახინი 2005: <http://bestreferat.ru/referat-3746.html>)

სიმბოლო არ არის „უბრალო და ყველასთვის მისაწვდომი (მ. ივანოვი 1987: 379). სიმბოლოს „გაშიფვრა“ მარტივი განსაზღვრებით, მხოლოდ გონების ძალით შეუძლებელია. იგი არ არსებობს რაიმე რაციონალური ფორმულის სახით. (ავერინცევი 2001: 155). სიმბოლო თავისი არსით, უპირველეს ყოვლისა, დიალოგური მოვლენაა. მისი არსი მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობაში ვლინდება. (ავერინცევი 2001: 158). სიმბოლოს სრულფასოვანი არსებობა აღმქმელის გარეშე წარმოუდგენელია. (<http://nauka-shop.com/mod/shop/product-ID/4166>). მისი არსობრივი სტრუქტურა ორიენტირებულია აღმქმელის აქტიურ შინაგან მუშაობაზე (ავერინცევი 2001: 157). ის ითხოვს არა მხოლოდ განცდას, არამედ მასში შეღწევასა და განმარტებას. (კუპერი: <http://book.ariom.ru/txt188.html>). თუმცა, სიმბოლოს განმარტებისას სიფრთხილეა საჭირო, რადგან დიალოგი, რომელიც ხორციელდება მისი შინაარსის ჩაწვდომით შესაძლებელია დაირღვეს განმმარტებლის არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში (ავერინცევი 2001: 158).

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლო მართლაც განსაკუთრებული, მრავალფუნქციური ფენომენია. იგი ერთდროულად წარმოადგენს სამყაროს, რეალობის შეცნობის ინსტრუმენტსა და გამოსახვის ფუნდამენტურ მეთოდს (კუპერი <http://book.ariom.ru/txt188.html>). სიმბოლო ადამიანის ცნობიერებას აკავშირებს კულტურულ ცხოვრებასთან. მასში აკუმულირდება გარკვეული საზოგადოებრივი ერთობის ცხოვრებისეული გამოცდილება, ამავე დროს იგი ასრულებს საკომუნიკაციო—ინფორმაციულ ფუნქციას, რადგან მას შესწევს უნარი იდეებისა და ლირებულებების ურთიერთგაცვლისა, როგორც შიდა, ასევე ინტერკულტურული კონტაქტების დონეზე. სიმბოლოს ძალუძს მრავალი ისეთი ასპექტის გამომჟღავნება, რომელიც სხვა საშუალებებისათვის მიუწვდომელია. აქედან გამომდინარე, სიმბოლო – აზროვნების სტილიცაა.

სრულიად ვეთანხმებით ს. ავერინცევის მოსაზრებას, რომ სიმბოლოლოგია უნდა ვადიაროთ არა როგორც არამეცნიერული, არამედ მეცნიერების მიღმა არსებული (ნაირმეცნიერული) ცოდნის ფორმაც, რომელსაც გააჩნია საკუთარი შიდა კანონები და სიზუსტის კრიტერიუმები (ავერინცევი 2001: 157).

სიმბოლოს შესახებ არსებული შეხედულებათაგან, რომელთა შორის ხშირად არის განსხვავებები, წინააღმდეგობები (ეს ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს), შევეცადეთ გამოგვეყო, ის ძირითადი და მნიშვნელოვანი, რაც უკეთ წარმოაჩენდა სიმბოლოს არსს, ფუნქციას. საკითხის ამგვარი გააზრებით გამოვხატეთ სიმბოლოსადმი ჩვენი დამოკიდებულება.

ნაშრომის მომდევნო ორ თავში წარმოდგენილია, თუ როგორ ვლინდება სიმბოლური აზროვნება ისტორიული ჟანრის მწერლობაში და რა დატვირთვა შეიძლება პქონდეს მას.

## თამარ მეფის ბვირბვინის სიმბოლიზმი

ქართული ისტორიული ძეგლები ნაკლებად, თითქმის არც კი გვაწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, მეფედ კურთხევის დროს თუ როგორ გვირგვინს ადგამდნენ თავზე მომავალ ხელმწიფებს. ამ მხრივ გამონაკლისია დავით აღმაშენებლის ისტორია და თამარ მეფის პირველ მატიანედ წოდებული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, დავითმა „თვითობა გელითა დასუა საყდართა თვითობა ძე თვითობიტრი და დაადგა თავსა შუენიერსა გპრგპნი ქვათაგან პატიოსანთა“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955: 362). „ისტორიანი და აზმან“—ის ავტორი კი გიორგი III-ის მიერ თავისი ასულის, თამარის თანამოსაყდრედ გამოცხადების (1178/1179 წ.; ჯავახიშვილი 1983: 244; მეტრეველი 2002: 471) ცერემონიალის აღწერისას აღნიშნავს „შემყრელმან შედთავე სამეფოთა მისთამან აწვია დედოფალთა დედოფალი ცოლი მისი ბურდუხან და შვილი მათი თამარ... განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა, შარავანდედთა მნებელებისათა მეფე ყო თამარ... და დაადგა გპრგპნი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა მის ოფაზისა, აღმეული იაკინთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 20).

მემატიანის ცნობით, გვირგვინი, რომელიც თამარ მეფეს პირველად კურთხევისას დაადგეს თავზე, „ოქრო ოფაზის“ იყო.

საერთოდ, ოქრო მრავალფეროვანი სიმბოლური მნიშვნელობით გამოირჩევა. იგი გამოხატავს ღირსებათა მთელ სპექტრს სიწმინდეს, სიმართლეს, ჰარმონიას, სიბრძნეს, ცოდნას, ამქვეყნიურ სიძლიერეს, დიდებას, სიმდიდრეს, სრულყოფილებას, სიმყარეს, არაჩვეულებრივობას (ტრესიდერი: [http://www.gumer.Info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.Info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/184.php); კუპერი 1986: 65, 66). ქრისტიანობაში ოქროს ამბივალენტური მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ იგი განასახიერებს მზეს, ნათელს, რაც ღვთის სიმბოლოებია (იოანე ღვთისმეტყველის I ეპისტოლე, 5), ასევე სიყვარულსა და რწმენას (1 პეტრ 1. 7) (<http://simbols.ru/articles/soloto.htm>), მეორე მხრივ კი, პატივმოყვარეობის (1 1/2; <http://lib.deport.ru/slovar/sim/z/zoloto.htm/>), მეორე მხრივ კი, პატივმოყვარეობის (1

ტიტ. 2–9, 10), ანგარების და კერპთაყვანისცემის ნიშანია (გავიხსენოთ ოქროს ხბოს კერპი; გამოსვლათა 32) (ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/184.php); კუპერი 1986: 65, 66). თამარ მეფის ისტორიკოსის მიერ ნახსენები „ოქრო ოფაზი“ ყოველგვარი შერყვნილებისაგან უცხო, წმინდა, ბაჯაღლო ოქროა (ორბელიანი 1991: 68). სიმბოლურად იგი გამოხატავს ასევე ქალწულების სიწმინდეს (ავერინცევი [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Literat/aver/zol\\_sist.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Literat/aver/zol_sist.php)).

თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების განმარტებისას, ყრმა იქსოსათვის მოგვების მიერ საჩუქრების მირთმევის ეპიზოდზე საუბრისას აღნიშნავს, რომ საჩუქრებიდან ოქრო, გუნდრუკი და მური, ოქრო იქსო ქრისტეს, როგორც მეფეს, ისე მიართვეს (თეოფილაქტე ბულგარელი 1989: 21). ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ ახალი აღთქმის მიხედვითაც, ოქრო სამეფო პატივის ატრიბუტს წარმოადგენს.

იოანე შავთელი ასე მიმართავს თამარ მეფეს:

„ოქრო ოფასად, ძნიად საფასად  
ყოვლად ყოვლითურთ ბიწჟეუხებლად“  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 331).

რაც შეხება გვირგვინის სიმბოლიკას, იგი მაღალი მდგომარეობის, პატივის, გამარჯვების, წარმატების, ღირსეულობის, სასულიერო და საერო ხელისუფალთა რჩეულობის ნიშანია. ქრისტიანული ტრადიციით, ასევე ინდუზმსა და ბუდიზმში, გვირგვინი სულიერი სინათლისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ ითვლება (ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/184.php)).

გვირგვინის ისტორია შორეულ წარსულს უკავშირდება. თავიდან მას ძირითადად დაფნის ან ზეთისხილის ტოტების, ბალახების, ლერწმის და სხვა მცენარეებისაგან ამზადებდნენ. გვირგვინი დაკავშირებული იყო ქორწილისა და დაკრძალვის რიტუალებთან. ასევე ცნობილია, რომ ძველად, ოლიმპიური თამაშების დროს გამარჯვებულს გვირგვინით აჯილდოვებდნენ. მმართველები სხვათაგან გამორჩეულ, უფრო თვალშისაცემ თავსამკაულს ატარებდნენ. მათთვის განკუთვნილ გვირგვინსა თუ დიადემას ოქროს ან ვარდებისაგან ამზადებდნენ და ძვირფასი ქვების, ქსოვილების და ბუმბულების კომბინაციებით

რთავდნენ. ეს სხვადასხვა ფორმა თანდათან გაერთიანდა ძვირფასი მეტალებისა და თვლებისაგან დამზადებულ გვირგვინში (ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/184.php)), რომელიც სამეფო ნიშანი გახდა (ნოზაძე 1963: 499, 500). დროთა განმავლობაში გვირგვინს სულ უფრო და უფრო მეტი სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა (ლე გოფი 2001: 408).

შუა საუკუნეებმა, ეპოქამ, რომელშიც სიმბოლიზმი ერთ-ერთ ზოგადკულტურულ პრინციპს წარმოადგენდა, საკრალურად აქცია პოლიტიკური სფეროც. ამ პერიოდში სამეფო ძალაუფლების გამომხატველ რეგალიათაგან (გვირგვინი, ტახტი, სკიპტრა...), სიმბოლური თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა გვირგვინს, რადგან მასში ფოკუსირდა შუა საუკუნეების მთელი პოლიტიკური პერიოდი (ლე გოფი 2001: 408).

საქართველოში, გვირგვინი, მეფობის ეს უმთავრესი ატრიბუტი, სხვადასხვა სახეობისა და მოყვანილობის არსებობდა. როგორც ჩვენი მეფეების ფრესკებიდან ჩანს, მათი გვირგვინი არაერთხელ უნდა შეცვლილიყო, –აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1984: 157). ზემოთქმული, ასევე თამარ მეფის გვირგვინში მოთავსებული ძვირფასი ქვების სიმბოლური მნიშვნელობები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია თამარისათვის სპეციალურად დაემზადებინათ გვირგვინი.

„ისტორიანი და აზმანის შარავანდედთან“–ის ცნობით, თამარ მეფის „ოქრო ოფაზის“ გვირგვინი „აღმკული“ იყო იაკინთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ.

თავიანთი ფერის, მოყვანილობის თუ თვისებების გამო, ძვირფასი ქვების ძველთაგანვე სიმბოლოებს წარმოადგენდნენ. წმ. დიონისე არეოპაგელის გადმოცემით, „ქვათაგან იგი ფერმრავალი თვისება გამომაჩინებელ საგონებელ არს... და თითოეულისა სახისაგან გეპოვის სახისმეტყველებით (გამოწმედა სახის მომასწავებელთა მიერ“ (პეტრე იბერიული (ფსევდო დიონისე არეოპაგელი) 1961: 148).

IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწის ეპიფანე კვიპრელის ეგზეგეტიკური ხასიათის ნაშრომში „თვალთავ“ სხვადასხვა ასპექტით განხილულია, ბიბლიური გადმოცემით, პირველმდვდელმთავრის, აარონის სამკერდულის შემამკობელი თორმეტი ძვირფასი თვალი, რომელთაგან თითოეული იაკობის თორმეტ ძეს, ისრაელის თორმეტი ტომის პირველწინაპარს შეესაბამება. მათი მეშვეობით მდვდელმთავარი ისრაელის თორმეტ შტოს დვოის ნებას გადასცემდა და

განუმარტავდა. ამ თორმეტ პატიოსან თვალს შორისაა ზემოხსენებული იაკინთის და ზმირი/სამარაგდის ქვებიც.

ეპიფანე კვიპრელის ნაშრომში ჩამოთვლილი პატიოსანი თვლები სხვადასხვა ვარიაციით რამდენჯერმე გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. „გამოსვლათა“ წიგნში ეს ძვირფასი ქვები ორჯერ არის მოხსენიებული: ერთხელ, როდესაც სინას მთაზე ასულ მოსეს უფალმა აუწყა როგორი უნდა ყოფილიყო აარონის სამღვდლო შესამოსელი და როგორი თანმიმდევრობით უნდა განელაგებინათ მასზე ძვირფასი თვლები (გამოსვლათა 28. 2, 4, 15), ხოლო მეორედ, როცა მოსემ შეასრულა დათის უწყება (გამოსვლათა 39: 8–14).

ძველ აღთქმაში ამ თვალთა ჩამონათვალს ვხვდებით ასევე ეზეკიელის ხილვაში, ედემის ბაღის აღწერისას ( ეზეკ. 28. 13).

ახალი აღთქმის წიგნებიდან ძვირფასი ქვები ერთიანად მხოლოდ აპოკალიპსშია მოცემული. აქ ისინი ზეციური იერუსალიმის ზღუდეს წარმოადგენენ (გამოცხადება 21. 19–20).

ეპიფანე კვიპრელის ნაშრომში ჩამოთვლილი და განხილული თორმეტი პატიოსანი თვალიდან თითოეულზე ამოტგიფრული იყო იაკობის თორმეტი ძის სახელი. ეს ნიშნავს იმას, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, იაკობის ძეთაგან თითოეულს შეესაბამება ერთ-ერთი ძვირფას ქვა.

ძვირფას თვლებზე სახელის წარწერის შესახებ აპოკალიპსში ნათქვამია, „რომელსა პქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყვის სული ეკლესიათა, ვითარმედ: რომელმან სძლოს, მივსცე რიცხვ სპეტაკი და რიცხუსა მას თანა სახელი ახალი დაწერილი, რომელი არავინ უწყის, გარნა რომელმან მიიღოს“ (გამოცხადება 2. 17). (ახალი აღთქუმავ 2008: 731).

ანდრია კესარია-კაპადოკიელის „იოვანეს გამოცხადების თარგმანება“-ში, მოხმობილი ადგილი ამგვარადაა განმარტებული „მოციქულისავ: რომელსა პქონან ყურნი, ისმინენ, რასა ეტყვის სული ეკლესიათა: რომელმან სძლოს, მივსცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხორებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღმრთისა ჩემისასა. თარგმანი: ჭორციელნი თუაღნი ყოველსა კაცსა პქონან, ხოლო სულიერნი – სულიერთა ოდენ. ხოლო ესევითარი იყოს და სძლოს ბრძოლასა მას ეშმაკთასა, აღუთქუმს მას მიცემად, ცხორებისა, საუგუნოესა, რომელსა სახელსდვა ძელად“ (ანდრია კესარია –კაპადოკიელი: 8). ანდრია კესარიელის ტექსტში ახალი აღთქმისეული „დაფარული მანანავს“ ნაცვლად

გვაქვს „ძელი ცხორებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღმრთისა არს“, რაც ეგზეგეტის განმარტებით, საუკუნო „ცხოვრებას“ ნიშნავს. აქ არაფერია ნათქვამი „სპეტაკ ქვაზე“, რომელზეც იქნება „სახელი ახალი დაწერილი, რომელი არავინ უწყის, გარნა რომელმან მიიღოს“ (გამოცხადება 2. 17). ყოველ შემთხვევაში, ნახსენები „სპეტაკი ქვა“, ერთი მხრივ მსგავსია იმ პატიოსანი ოვლებისა, რომლებზეც ამოტვიფრული იყო იაკობის თორმეტი ძის ანუ ისრაელის თორმეტი შტოს სახელი და თითოეული მათგანი დვოთისმსახურებისას წარდგებოდა დვოთის, „მიმღებელის“ წინაშე. მეორე მხრივ კი ეს არის თავად იესო ქრისტე (ეპიფანი პვიპრელი— 162. 36). ახალი ადთქმის მიხედვითაც, მეორედ მოსვლის ჟამს „სპეტაკ ქვაზე“ ანუ „სიტყვიერ ფიცარზე“ წარწერილი სახელით, რომელიც მხოლოდ მიმღებელს ეცოდინება, ყოველი ადამიანი გახდება ღირსი „ჭამად ძელისა მის ცხორებისა, რომელ არს შორის სამოთხესა ღმრთისა“ (ანდრია პესარია—კაპადოკიელი) ანუ „მანანავს დაფარულის“, ესე იგი მოიპოვებს „საუკუნო ცხოვრებას“ (ალიბეგაშვილი 1999: 29, 30).

საღმრთო წერილში მოხსენიებულ ძვირფას ქვებზე ინფორმაციის მისაღებად „თვალთავ“ საყურადღებო ძეგლია, რადგან მასში მეტნაკლებად გათვალისწინებული უნდა იყოს ძველი მხოლოდიოს ხალხთა ეგვიპტელების, შუმერების, ბაბილონელების, ინდიელების, ებრაელების, ანტიკური სამყაროს ის მინერალოგიური მონაცემები და, კერძოდ, ძვირფას ქვებთან დაკავშირებული ტრადიციები, ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები, მითები, რომლებიც ასეული იყო ამ ქვეყნების კულტურისათვის გეოლოგიური, მინერალოგიური, სამედიცინო, საპულტო, ლიტურგიკული თუ სხვა თვალსაზრისით (ალიბეგაშვილი 1999: 5, 6).

თამარ მეფის გვირგვინში მოთავსებულ თვალთაგან „ისტორიანი და აზმან“—ის აგტორი პირველ რიგში ასახელებს იაკინთს.

მინერალოგიაში იაკინთი კორუნდის სახესხვაობას წარმოადგენს (ლათ. rubber „წითელი“ (<http://www.a-jewelens.com>). ალმასთან, ზურმუხტთან და საფირონთან ერთად იგი პირველი კლასის ძვირფას ქვად მიიჩნევა\* (ენციკლოპედიური ლექსიკონი: <http://lib.deport.ru/slovar/bes/d/1-dragotsennye-kamni.html>; <http://www.a-jewelens.com>). (სანსკრინიში იაკინთს უწოდებდნენ)

---

\*ფრიდრიქ მოოსი—გერმანელი გეოლოგი და მინერალოგი (1173–1839). მან შეიმუშავა მინერალების სკალა, რომელიც დღემდე გამოიყენება

„რატნარაის“ ანუ „მვირფასი ქვების მეფე“ (<http://gemstone.org/gem-bygem/russian/emerald.html>).

„ოვალთავ“—ს მიხედვით, იაკინთი „მბრწყინვალე ცეცხლისფერია“, მეწამულობით კი ფინიკს ჰგავს (ეპიფანე კვიპრელი 1979: 131). მისი ძალა ასეთია, ვინც მის ნალესავს დალევს, „განაღვიძის სული სამართალთა სიტყუათა მიმართ“, ხოლო ვინც მას პირში ჩაიდებს, სწორ, სამართლიან განაჩენს გამოიტანს (ეპიფანე კვირელი 1979: 141, 132). იაკინთის ცეცხლისა და ნაკვერცხლის ფერს ეპიფანე კვიპრელი ძველი აღთქმისეულ, კერძოდ, ესაიას ხილვას უკავშირებს. ესაია წინასწარმეტყველი ამბობს,— „და მოივლინა ჩემდამო ერთი სერაფიმთაგანი და პელსა შინა აქუნდა ნაკუერცხალი, რომელი მარწუხებითა მოიღო საკურთხეველისაგან და შეახო პირსა ჩემსა და ოქუა: აჲა, შევახე ესე ბაგეთა შენთა და მოგისპნეს უშჯულოებანი შენნი და ცოდვანი შენნი განიწმინდნებ“ (ესაია 6. 1–7) (ალიბეგაშვილი 1999: 90). ამ ხილვის შემდეგ ესაია წინასწარმეტყველი „მოგუასწავებდა ჩუენ ყოველთა დიდსა და საშინელსა ზრახვასა“ (ეპიფანე კვიპრელი 1979: 142). აქ ხაზგასმულია, რომ იაკინთის მისტიკური თვისება „სული სამართალთა სიტყუათა“ და „წრფელი და სამართალი საშჯელის აღწონვა“ ბიბლიურადაც დასტურდება (ალიბეგაშვილი 1999: 90, 91).

თამარ მეფის ისტორიებში საგანგებოდ აღინიშნება მისი სამართლისმოყვარეობა, სამართლებრივი საქმიანობა. თამარის ტახტზე ასვლამდე მიღებული იყო სიკვდილით დასჯა და სხვადასხვა მკაცრი სასჯელი. გიორგი III-ის მმართველობის დროს სამეფოს წარმომადგენლების კრებამ ერთნებობით, მეკობრეობის და ავაზაკობის აღსაკვეთად, დააწესა სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით და ხელ-ფეხის მოკვეთა. ისტორიული წყაროების ცნობით, თამარი „მშკდი, მშკდობისა მყოფელი იყო“, მისი მეფობისას არც სიკვდილით დასჯა, არც სხვა დამასახიჩრებელი სასჯელი არ მოქმედებდა (ჯავახიშვილი 1983: 292; ქატრეველი 1991: 301, 302).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი გადმოგვცემს, თამარმა „განგებასა ათორმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვის სადმე კრვად“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 34); ბასილი ეზოსმოძღვარი კი აღნიშნავს, „იყო დღეთა მისთა (თამარისათა) სიმართლე, არავინ გამოჩნდა მიმძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა ვინ დასჯილი, თუნიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა ძელსა ზედა

ჩამორჩობა. თუთ არც ავის ლირსსა სიკუდილისასა და არცა პატიჟისასა მიეჭადა თანანადები, არცა-ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოკუეთილ იქმნა და არცა სიბრმითა დაისაჯა“<sup>1</sup>. ერთადერთი ადამიანი, ვინც თამარის მმართველობის დროს თვალების „დაწვით“ დასაჯეს, იყო გუზან ტაოელი, რომელიც განუდგა მეფეს და გიორგი რუსს მიემხრო. ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობით, გუზანის ამ დანაშაულს ისიც ემატებოდა, რომ „კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით“. მთიბავებმა შეიპყრეს გუზანი და დავით სოსლანს მიჰვარეს. დავითმა იცოდა რა „დიდი მოწყალება თამარისი, ამისთვის მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 141). ბასილი ეზოსმოძღვარისვე უწყებით, თამარი „ბჭედ ჯდა შორის თავისა თუსისა და მეზობელთა მეფეთა, არა მიშუებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უდელსა მძლავრობისასა ურთიერთას, და სახედ თავსა თუსისა მისცემდა და ამისთვის მათ ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 148).

ჩახრუხაძე თამარ მეფის შესახებ ამბობს:

„მტკიცედ აქვს სჯული, ჩახს მართლ-მსაჯული“ (111. 43)

(ძველი ქართველი მეხოტებენი 1957: 215).

„აბდულმესიან“—ის მიხედვით, თამარი არის „სიმართლის მსაჯული“, „პყრობილთა განმათავისუფლებელი“ 25. 1. 2) (ძველი ქართველი მეხოტებენი 1964: 125), „თვით ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, მეწდე სიტყვათა სიმართლისათა“ (47. 3) (ძველი ქართველი მეხოტებენი 1964: 132).

„თვალთავ“—ს გადმოცემით, იაკინთზე ამოტვიფრული იყო ისრაელის მამამთავრის, იაკობის მეოთხე ძის, იუდას სახელი (ეპიფანე კვიპრელი 1979: 141). იუდას ტომიდან იყვნენ: მეფეები, მთავრები. თორმეტი ძმიდან, იუდა მათ შორის აღმოჩნდა, ვისი შთამომავლობაც მამამ სიკვდილის წინ დალოცა. მის მოდგმას აკურთხებს მოსეც (იპოლიტე რომაელი 1979: 204, 207). იპოლიტე რომაელის ნაშრომში „განმარტებად კურთხევათა მათოცს მოსესთა“ აღნიშნულია, რომ იუდას ტომი კურთხეულა, რადგან მისი შთამომავლობისაგან უნდა შობილიყო დავით მეფე, დავითის მოდგმისაგან კი ხორციელად იქსო ქრისტე (იპოლიტე რომაელი 1979: 234) (აქვე აღვნიშნავთ, რომ იქსო ქრისტე, როგორც მეუფე და მღვდელი, ხორციელად იუდას და ლევის (იაკობის მესამე ძე) ტომთა

ურთიერთშერევის შედეგად იშვა (ბიბლიური დვორისმეტყველების ლექსიკონი 1974: 1228; ალიბეგაშვილი 1999: 85). იუდას შტოდან იყვნენ მეფეები, მთავრები, წინამძღვრები (ეპიფანე კვიპრელი 1979: 141). ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ბაგრატიონთა სამეფო დინასტია იწოდება იესიან-დავითიან-სოლომონიანად (იესე დავით მეფსალმუნის მამა იყო, სოლომონი კი მისი ძე).

ბაგრატიონები ევროპის ერთ-ერთი უძველესი სამეფო დინასტიაა, ცნობილი ტახტის მფლობელობის ხანგრძლივობით.

წარმოშობით ისინი სპერიდან არიან (ისპირი დღევანდელ თურქეთშია).

სპერიდან გამოსული ბაგრატიონების ერთი შტო საქართველოში დამკვიდრდა, ერთი – სომხეთში (ბაგრატუნები).

ცნობები ბაგრატიონთა ებრაელთაგან წარმომავლობის შესახებ ადრე ჩნდება სომხურ და ქართულ წყაროებში (VIII საუკუნის სომხური წყაროებით, ბაგრატუნების მამამთავარი ბაგრატი, წარჩინებული ებრაელის შამბათის შთამომავლადაა მიჩნეული (მოვსეს ხორენაცი, იოანე კათალიკოსი).

ქართულ წყაროებში ბაგრატიონთა ებრაელი წარმომავლობის თეორია უშუალოდ უკავშირდება თვალსაზრისს ბაგრატიონთა დვორიური ჩამომავლობის შესახებ. ქართულ წერილობით წყაროებში ცნობები ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველისაგან ჩამომავლობის შესახებ პირველად დასტურდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (ლორთქიფანიძე 2003: 17, 19).

გიორგი მერჩულეს ცნობით, გრიგოლი აშორ კურაპალატს ამგვარად მიმართავს, – „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო გელმწიფე, მეფობავ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვდრნენ ქრისტემან ღმერთმან“ (გიორგი მერჩულე 1982: 235; ჯავახიშვილი 1984: 96). ბაგრატიონთა სახლის ისტორიას, მათი გვარის დვორიური წარმომავლობის გენეალოგიას, XI საუკუნის 30-იან წლებში ისტორკოსმა სუმბატ დავითის ძემ საგანგებო თხზულება უძღვნა „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 372-386) (ლორთქიფანიძე 2003: 21).

სუმბატ დავითის ძე თავისი თხზულების „შესავალი ნაწილის“ (გენეალოგიური ნუსხისათვის) სარგებლობს ბიბლიით (დაბ. 10; მათე 1. 1-16), ეკსევი პესარიელის ეკლესიის ისტორიით; დანარჩენი ნაწილისათვის კი ბაგრატიონთა სახლის „ქრონიკით“, „მოქცევად ქართლისათ“. მისი ცნობების გარკვეული ნაწილი დასტურდება უცხოური წყაროებით, სხვა ავტორთა

ცნობებითა და წარწერებით (X საუკუნის ბიზანტიული ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი; XI საუკუნის ისტორიკოსი ჯუანშერი... (ლორთქიფანიძე 2003: 21).

როდის უნდა ჩამოყალიბებულიყო მოძღვრება ქართველ ბაგრატიონთა დავთიური წარმომავლობის შესახებ?

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში მოდგაწე სომეხი ისტორიკოსის, მარკვარტის აზრით (მას ეკუთვნის ნაშრომი „ბაგრატიონების გენეალოგია“), აღნიშნული თეორია IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისში შემუშავდა; კორნელი კეპელიძისა და პავლე ინგოროვას შეხედულებით, IX საუკუნის დასაწყისში, აშოტ I ბაგრატიონის მმართველობის დროს. ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით—VIII საუკუნეში. ექვთიმე თაყაიშვილი მიიჩნევს, რომ ამ თეორიამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, გადამუშავდა და XI საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია სუმბატ დავითის ძის თხზულებაში (ლორთქიფანიძე 2003: 36–38 (საყურადღებოა, რომ ბიზანტიის იმპერიაში ვერც ერთმა დინასტიამ ვერ დაამკვიდრა თავისი საგვარეულოს უფლის მიერ დადგინების იდეა (ლიტავრინი 1989: 29).

ბიბლიური გადმოცემით, იესო ქრისტე იწოდება იესეან–დავითიანად (მათე 1) (ახალი აღთქუმავ 2008: 3–7). ქართულ სასულიერო ლიტერატურაში იესო ქრისტეს კაცებრივი წარმომავლობის მისანიშნებლად ხშირად ვხვდებით გამოთქმებს ძირი იესესი, ძე დავითისი, შეო სოლომონისი (მაგ. ძველ ქართულ საგალობლებში მაცხოვარს ხშირად მიემართება ამგვარი ფრაზები: „იესეს ძირისაგან გამოვიდა დღეს ჭეშმარიტი დმერთი ჩუქნი“ (სინ. ხელნაწერი №64:14); „იესეს ძირისაგან მორჩი აღყუავებული სასოებავ წარმართთავ დღეს აღმოგვიცენდა (იოანე მტბევარი) (ინგოროვა 1913: 73) (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 92). აღნიშნულის შესაბამისად ბაგრატიონები და მათ შორის თამარიც დოკუმენტებშიც ასევე იხსენებიან: იესიან–დავითიან–სოლომონიანი (ბაქრაძე 1983: 161) (საქართველოს მეფეთა ტიტულატურა „იესიან–დავითიან–სოლომონიანი“ ზუსტად ასახავს დინასტიის პოზიციას, ადასტურებს მათ ბიბლიურ წარმომავლობას (ლორთქიფანიძე 2003: 22).

თამარის დავით მეფისაგან ჩამომავლობის შესახებ იოანე შავთელი წერს:

„ვარდო უფრჭენელო, ცვრით განბანილო

ნერგო სვიანო, დავითიანო“ (51. 1)

(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 134).

ზემოთქმულთან დაკავშირებით საგულისხმოა იაკინთის შესახებ კიდევ ერთი ცნობა. ეპიფანე კვიპრელის ოქმით, ეს ძვირფასი ქვა, რომელზეც იუდას სახელი იყო ამოტიფრული, ნაკვერცხალივით ბრწყინავს, რაღაც „მისი ნათესავისაგან უფალი გამოგვიბრწყინდა“ და „დაისხნეს საფუძველი სიონისნი, დასაბამ და საძირკული და თავ კიდეთა—ლოდი იგი, რომელ შეურაცხ—ყვეს მაშენებელთა“ (ეპიფანე კვიპრელი 1979: 142).

თამარის უცნობი ისტორიკოსი, გადმოგვცემს რა თამარის მეფედ პირველად კუთრხევის შესახებ, დასძენს „თამარი მსგავსად ლოდისა მის გამოვიდა მთისა მის, დანიელისაგან ხილულსა, იმატა, იმატოს და მერმეცა იმატა, ვიდრემდის იქმნა მთა დიდ, ლოდ საკიდურ და არა ლოდ შებრკოლებისა და ვერცხლისა, რკინისა და კეცისა, რომელიმე უხილავთა ძეგლები და ადრინიტები, რომელიმე ხილულთა მბრძოლთა და წინააღმდეგომთა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 21).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ორი მომენტია ხაზგასმული, ერთი მხრივ, საუბარია იმაზე, რომ დანიელ წინასწარმეტყველის წინასწარმეტყველება გაცხადდა საქართველოში, რაღაც აქ მეფობენ დავითის შთამომავლები, ბაგრატიონები. მათ შორის ერთ—ერთი ლირსეულია თამარი, მსგავსი „ლოდი შემუსვრელისა“, რომელიც გამოეკვეთა მთიდან (დავითიან—ბაგრატოვანთა საგვარეულოდან) და დაასმხვრია ყოველი კერპოვნება ხილულ და უხილავ მტერთა ძეგლები, რითაც ძლევამოსილება მოუპოვა მართლმორწმუნე საქართველოს (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 72); მეორე მხრივ, თამარის „ლოდად“ მოხსენიება, მისი მიმსგავსება „ლოდ საკიდურთან“ მხოლოდ აღნიშნული მიზეზით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. საღმრთო წერილის მიხედვით, ქრისტე არის „ლოდ თავ საკიდური“ (ლუგა 20. 17) (ახალი აღთქმა 2008: 248). გავიხსენოთ „აბოს წამების“ პირველი თავი, სადაც იოვანე საბანის ძე მაცხოვრის სიმბოლოებს ჩამოთვლის. მათგან ერთ—ერთი სწორედ „ლოდია“ (იოვანე საბანისძე 1982: 123). მორწმუნები და, განსაკუთრებით მათ შორის გამორჩეულნი, წმინდანნი იწოდებიან „ცოცხალ ლოდებად“ (I პეტ. 2. 5) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 187), თამარი კი მეფე—წმინდანია.

„ლოდიანი მთა“ დგომისმობლის სიმბოლოცაა (ეს სახე დავით გურამიშვილის „დავითიან“-შიც გვხვდება) (სირამე 1997: 111) (დგომისმობლის სიმბოლოების თამარ მეფის სახესთან კავშირზე მოგვიანებით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ).

ზემოთ უკვე ითქვა, რომ იუდა, რომლის სახელიც ამოტვიფრული იყო იაკინთზე, სიკვდილს წინ მამამ აკურთხა. იუდასადმი კურთხევაში ნაწინასწარმეტყველებია იესო ქრისტეს ქალწულ მარიამისაგან შობა, მისი სამდღიანი მიძინება, თუ როგორ შევიდა მაცხოვარი იერუსალიმში სახედარზე მჯდომი, მისი ნათლისდება, თუ როგორ განიწმინდა წმინდა ბაგიდან რძესავით გადმოდინებულმა დგომის სიტყვამ მოციქულები და ასევე განწმენდს ყვალას, ვინც ეზიარება ზეციურ საზრდოს.

იაკობი თავის მეოთხე ძეს, იუდას, ლომს, ლომის ბოკვერს უწოდებს. იპოლიტე რომაელის განმარტებით, აქ მამისა და ძის სახეები იგულისხმება (იპოლიტე რომაელი 1979: 234).

ზოგადად, ცხოველთა და ფრინველთა სიმბოლიკას საღვთო წერილში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ძველ აღმოსავლეთში, ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში გავრცელებული მოძღვრების, ფიზიოგნომიკის (ძვ. ბერძნული ფუსის ბუნება, ყიومიკის შორსმჭვრებული, გამჭრიახი) მიხედვით, ადამიანისა და ცხოველის გარეგნობასა და ხასიათს შორის არსებობს კავშირი (<http://dic.academic.ru/dic/bse/144624>). ძველად ადამიანში ხედავდნენ იგავურ ცხოველს. ფიზიოგნომიკას ანტიკურმა ტრადიციამ მიანიჭა მეცნიერების სტატუსი. ფიზიოგნიმიკით დაინტერესებული იყვნენ: პიპოკრატე, არისტოტელე, ზენონი. ეს მეცნიერება არ არის მაგიური დისციპლინა. ანტიკურობისა და შუა საუკუნეებისათვის ფიზიოგნომიკა ისეთივე სრულყოფილი მეცნიერებაა, როგორც, მაგალითად, განმანათლებლობისათვის არის ნიუტონისეული ფიზიკა (ს. ავერინცევი) ([http://pedib.ru/Books/3/0249/3\\_0249-29.shtml](http://pedib.ru/Books/3/0249/3_0249-29.shtml)).

გვიანანტიკური და ადრებიზანტიკური ფიზიოგნომიკის თანახმად, ადამიანის გარეგნობა და ცხოველის გარეგნობა, როგორც „ზნისა“ და „ბუნების“ განსაგნება, გათანაგვარებულია. ამას ემატება ქრისტოლოგიური თვალთახედვა, რომლის მიხედვითაც, ადამიანი თავის არჩევანში თავისუფალია. სწორედ ნების თავისუფლება განასხვავებს ადამიანს „სიტყვიერი“ არსების სახით „უტყვი“ ცხოველისაგან. ცხოველს არ ძალუმს შეცვალოს საკუთარი ბუნებრივი „ზნე“,

თავისი „გონება“, ადამიანს კი ეს ხელეწიფება. „გონების შეცვლა“ ეს არის ძვ. ბერძნული სიტყვის მετάνοია ს („მონანიება“) სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა. არ არსებობს ცოდვილი, რომელსაც არ შეეძლოს მონანიება; ისევე როგორც, არ არის რჩეული, რომელიც არ შეიძლება დაეცეს. თავისუფალი ნების ქმედება, რითაც ადამიანი ცხოველებისაგან განსხვავდება, შეიძლება ნადირთა სახით წარმოდგენილიყო. მაგალითად, პავლე მგელია, რომელიც ცხვარი გახდა, იუდა კი ცხვარი იყო და მგელი შეიქნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ ირჩევს რომელი ცხოველი გახდეს: კრავი თუ მგელი, მტრედი თუ გველი... ადამიანს სწორედ თავისუფალი ნება ანიჭებს „გონებით დვთის წვდომის“ მადლს (ავერინცევი 1977: 165, 167; ალიბეგაშვილი 1999: 83).

ფიზიოგნომიკას განეკუთვნება ბასილი კესარიელის ნაშრომი „მჯეცთათჲს სახისა სიტყუათ“, სადაც იგი „ლომის“ საინტერესო ალეგორიულ განმარტებას გვთავაზობს, „ყოველთა მჯეცთა და ყოველთა პირუტყუთა შარავანდედს“, ლომს, თვალებგახელილს სძინავს, რაც სიმბოლოა ლვთაებრივი სიფხიზელისა (კუპერი 1986: 115). ბასილი დიდის და ასევე სხვა ავტორთა გადმოცემითაც, ლომის ბოკვერები მკვდრადშობილნი იბადებიან. სამი დღის განმავლობაში ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან; მესამე დღეს მამა „პერის შუბლსა და აღადგინნის ლეპუნი იგი“. ეს მოვლენა, სიმბოლურ-სახისმეტყველებითი თვალსაზრისით, იესო ქრისტეს სამი დღის მანძილზე საფლავში ყოფნას, ჯოჯოხეთის ბჭეთა შემუსვრასა და მკვდრეთით აღდგომას უკავშირდება (ბასილი კესარიელი 1979: 176). აქვე შევნიშნავთ, რომ რომელიმე ცხოველის ადამიანთან სიმბოლური მიმართების გააზრება მხოლოდ დაღებითი ან მხოლოდ უარყოფითი კუთხით, არასწორია. როგორც ეპიფანე კვიპრელი აღნიშნავს, ასეთ შემთხვევაში საჭიროა: „წიგნთა შინა მრავლად წარმოდება“ (ეპიფანე კვიპრელი 1979: 145). ეს ლომის სიმბოლოსაც ეხება, რომელიც ამბივალენტურია. ერთი მხრივ იგი დვთიურობის, მზიური ენერგიის, სამეფო ხელისუფლების, სრულყოფილების, კეთილშობილების, გამარჯვების, სამართლიანობის, მფარველობის, სილამაზის, სიმამაცის, სიმტკიცის, მეორე მხრივ კი ბოროტების, სისასტიკის, მრისხანების, სიკვდილის გამომხატველია (ტრესიდერი: <http://sigils.ru/symbols/lev.html>; ნიუსტრემი: <http://www.gumer.info>; კუპერი 1986: 114; <http://simbols.ru/articles/lev.html>). ლომი ემბლემაა, როგორც იესო ქრისტესი, რომელიც იწოდება „იუდას ტომის ლომად“ (გამოცხ. 5. 6) (ახალი აღთქმა 2008: 548), ასევე ეშმაკისა და იუდა

ისკარიოტელისა. ეპიფანე კვიპრელის განმარტებით, აღნიშნული სიმბოლოს დადებითი მნიშვნელობა იქსო ქრისტეს მეუფებას, აღდგომის მადლს „ყოველთა მიმართ განყოფითა და მრავალთა თუსსა მას საგრილსა ქუეშე შეკრებითა“ სიხარულს უკავშირდება, ხოლო უარყოფითი: „სისხლისმჭამელობა“, „პირუტყუმჭეცობა“, „მტაცებლობა“, „მძლავრება“ ეშმაკის სახეზე მიგვანიშნებს (ეპიფანე კვიპრელი 1979: 145).

ლომის სიმბოლო საინტერესოა თამარ მეფის სახესთან მიმართებითაც. თამარის სამეფო ტახტზე ასვლა XII საუკუნისათვის უპრეცედენტო მოვლენა იყო. იმ დროს არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ ყოფილა, რომ მეფედ და სახელმწიფოს მმართველად ქალი გამხდარიყო. XII საუკუნეში საქართველო ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა, რომლის მეთაური იყო მრავალი და ვრცელი ქვეყნის ბატონი, სხვადასხვა მოდგმისა და სარწმუნოების ხალხთა მბრძანებელი. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, სიბრძნე და წინადახელულება, რომ საქართველოსთვის ლირსეული მეფე აერჩიათ, შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი და შემდეგ დასძენს, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ საგანგებოდ შეკრებილმა დიდებულთა ბჭობამ დირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და თამარი ქალი მამაკაცის თანასწორი უფლების დირსად სცნო. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს კითხვა, იყო კი ერთსეულოვნება ფეოდალურ არისტოკრატიას შორის თამარის გამეფების დროს? ამასთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, – „უეჭველია, ყველა არ იქნებოდა ამის მომხრე და მომავალში იქნებ უფრო მეტი და საგულისხმიერო ცნობები აღმოჩნდეს ამ საისტორიო თათბირის შესახებ, მაგრამ, ცხადია, რომ უმრავლესობა, თამარის გამეფების მომხრე ყოფილა“ (ჯავახიშვილი 1983: 310).

მართალია, ზემოთქმულთან დაკავშირებით ისტორიულ წყაროებში დღემდე არანაირი კონკრეტული ფაქტი არ მოიპოვება, მაგრამ საგულისხმოა თამარის უცნობი მემატიანის ცნობები იმის შესახებ, რომ მისი გამეფებისთანავე სხვადასხვა მოთხოვნით დაიწყო დიდებულთა გამოსვლები. სავარაუდოდ, ამის ერთ-ერთი (თუმცა არა ერთადერთი) მიზეზი ისიც შეიძლება ყოფილიყო, რომ ქვეყანას სათავეში მეფე-ქალი ედგა და ცდილობდნენ ის ზეგავლენის ქვეშ მოექციათ. ბუნებრივია (ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავს თხელებათა II ტომში), თამარს, მოწინააღმდეგეთა გარდა, მხარდამჭერთა დიდი და ძლიერი ჯგუფიც ეყოლებოდა, რომელიც, ალბათ, უმთავრესად

იდეოლოგიურად განამტკიცებდა მისი, როგორც მეფე-ქალის, პოზიციებს. თამარის მომხრეთა შორის მოიაზრება საქართველოს პატრიარქულფილი ნიკოლოზ გულაბერისძე (იგი საქართველოს ეკლესიის მეთაური იყო დაახლოებით 1150–1178 წლებში). თამარმა მას გამეფებისთანავე „აღმოუწოდა იერუსალიმით, რომელსა სიმდაბლისა ძალით ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან“ (ბასილი ეხოსმოძღვარი 1959: 117) და საეკლესიო საქმეების მოგვარება მიანდო. ნიკოლოზ გულაბერისძე პირველია, ვინც ქართულ მწერლობაში ახალი საკითხი წამოაყენა, კერძოდ კი, თუ რატომ მოაქცია ქართლი მაინცდამაინც ქალმა? თავის ნაშრომში „საკითხავი სუეტისა ცხოველისა და პუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეპლესიისა“ ამას იგი რამდენიმე მიზეზით ხსნის: 1) საქართველო დათისმშობლის წილხვდომილი იყო. წმინდა მარიამს თავად სურდა ჩვენში ქრისტიანობის გავრცელება, მაგრამ რადგან მისი მიძინების დროს მოახლოვდა, მან ეს ვერ შეძლო. მისი ლოცვით, საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად წმინდა ნინო მოვიდა; 2) ამ დროს ქართველები უმძვინვარესნი და უსასტიკესნი იყვნენ. მათ მოსაქცევად ქალის მოსვლით კიდევ ერთხელ გაცხადდა დათაებრივი ჭეშმარიტება: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა იქმნებისო“, რადგან ჩვენი ქვეყნის მოსაქცევად გამოირჩია არა ძლიერი, მამაცი და სიბრძნისმეტყველი მამაკაცი, არამედ სუსტი ქალი; 3) მაცხოვრის აღდგომის პირველად ხილვის და ამ სასიხარულო ამბის სხვათათვის უწყების პატივი სწორედ ქალებს, მენელსაცხებლე დედებს ხვდათ წილად. ამდენად, ამაოდ ბოროტმეტყველებენ უგუნურნი, თითქოს ქალის მიერ ქართველთა მოქცევა დამაკინებელი იყოსო, დასძნეს ნიკოლოზ გულაბერისძე (გულაბერისძე 1882: 72). იყო თუ არა ამგვარი ფაქტები ჩვენს წარსულში, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ვიზიარებთ შეხედულებას, რომ ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო არ შექმნილა და მას სხვა დანიშნულებაც ჰქონდა, კერძოდ, თამარ მეფის ტახტისა და აგტორიტეტის განმტკიცება (კაპელიძე 1980: 319-320).

„საკითხავი სტერისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა“ – ხე დაყრდნობით შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: თუკი საქართველო დათისმშობლის წილხვდომილია და მისი განმანათლებელიც ქალია, რა არის გასაკვირი იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის მეფე ქალი იყოს?!“

ქართლში ქრისტიანობის გამავრცელებლად ქალის წარმოგზავნის მიზეზებზე საუბრისას, ნიკოლოზ გულაბერისძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას,

რომ ამ დროს ქართველნი სასტიქი და ფიცხელნი ყოფილან და რომ ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ გაცხადდა დვოის სიტყვის ჭეშმარიტება: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო“. ვფიქრობთ, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ცნობა, რომელსაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი გვაწვდის. მისი თქმით, თამარ მეფეს პქონია არაჩვეულებრივი უნარი „კაცისა უგნებლობასა შინა უგნებელად და მშკდობით დაჭირვებისა“ და „კაცო ქედფიცხელობისა და გონება-ურჩობისა მოწურთისა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 35).

თამარ მეფის ლომთან შედარებას ვხვდებით მის მეორე ისტორიკოს, ბასილი ეზოსმოძღვართან, ასევე იოანე შავთელის „აბდულმესიან“—ში. „გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან“, —აღნიშნულია თამარის მეორე მემატიანესთან (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 143). მეხოტბე კი ამბობს:

„ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალება,

მუშკს სურნელება შენგან მიეცა“ (58. 1)

(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 136)

„გალადებულო, გალომებულო...“

(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 147)

„მეფევ მაღალო, ქცევა—მდაბალო,

ლომისა მსგავსო ძალად და გულად“ (100. 1, 2)

(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 150)

ზემოაღნიშნულ თემას (ვგულისხმობთ ლომის სიმბოლიკას და მის თამარ მეფის სახესთან კავშირს) თავისებურად ეხმიანება „ვეფხისტყაოსანი“.

ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ რუსთაველი თავისი ქმნილების „არაკად“, ანუ ფაბულად შემთხვევით არ აიღებდა ისეთ ამბავს, სადაც

მოთხოვილია, „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული“ და სადაც ნათქვამი შეიძლება ყოფილიყო: „ლეპვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“ (ჯავახიშვილი 1983: 245). სწორედ ამ უკანასკნელ ფრაზზე გვხურს შევაჩეროთ ყურადღება. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, აქ საუბარია ქალთა სწორუფლებიანობაზე. ეს შეხედულება არსებითად ემყარება ქრისტიანულ სწავლებას, რომლის მიხედვითაც არ ხდება დიფერენციაცია მამაკაცსა და ქალს შორის (თვით მამაკაცი და ქალი წმინდანთა შორისაც: „არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუს მიერ“ (გალ. 3. 28) (ახალი აღთქუმავ 2008: 617).

თუმცა არსებობს სხვა აზრიც, რომლის მიხედვით ფრაზაში: „ლეპვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“, იგულისხმება არა ქალთა სწორუფლებიანობა ზოგადად, არამედ თანასწორობა მეფის ოჯახში (კეპელიძე 1982: 245)

„ვეფხისტყაოსანში“ შემთხვევით არ უნდა იყოს ყურადღება გამახვილებული სწორედ ლომზე, ლომის ლეკვზე. მოხმობილი აფორიზმის ისე გაგება, თითქოს აქ ქალთა თანასწორობაზეა ლაპარაკი, ალბათ არ იქნება მთლად სწორი, აღნიშნავს ვუკოოლ ბერიძე და დასძენს, „საქმე ისაა, რომ როსტევან მეფე დამწუხერებულია: ვაჟი მემკვიდრე არ ჰყავს, მხოლოდ ერთი ქალი უზის, ვეზირები ანუგეშებენ: „თუცა ქალია ხელმწიფედ, მართ დვთისა დანაბადია“... ე. ი. ქალი გყავს, მაგრამ ხელმწიფედ წინდაწინვეა დაბადებული (ლაპარაკია სამეფო უფლების ღმრთისმიერობაზე). არ გეპირვერებით, იცის მეფობა, ეს უთქვენოდაც გვითქვამს, საზოგადოდ, მისი საქმეები მისი შუქივით განათებულია იმიტომ, რომ იგი შენი, ლომის, ე. ი. მეფის შვილია და შენი შვილი, ქალი იქნება თუ ვაჟი სულ ერთია. მაშასადამე, ამ მეოთხე სტრიქონში თუ ვინმეა შექებული, ისევ მეფე“ (ბერიძე 1936: 145) ჩვენც ამ თვალსაზრისს ვემხრობით.

აღნიშნულთან დაკაგშირებით გავიხსენოთ ქამთააღმწერლის ცნობა, რომლის მიხედვითაც სიკვდილის წინ ლაშა-გიორგიმ თავისთან იხმო წარჩინებული და მათ შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ნათქვამი არის ძუელთა, ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია. და ეს სიტყვა მეფეთ მეფეს დედას ჩემს თამარზედაც ითქმის. აწ მე მოგაგსენებ დასა ჩემსა რუსუდანს“ (ქამთააღმწერლი 1959: 167; ჯავახიშვილი 1983: 245).

ზემოთქმულთან მიმართებით ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ნიუანსი, ლომი იაკობის მეოთხე ძის, იუდას ემბლემაა, მეფობის სიმბოლოა. ბიბლიური გადმოცემით, იუდას ტომიდან წარმოდგნენ მეფეები, მთავრები.\* იუდას ტომიდან იყო ისრაელის მეფე დავითი, რომლის შთამომავლებადაც, ქართული ისტორიული წყაროების თანახმად, იწოდებიან ბაგრატიონები, მათ შორის, რა თქმა უნდა, თამარიც, მისი გვირგვინის შემამკობელ ძვირფას ქვათაგან ერთ-ერთი, იაკინთი, სწორედ იუდას შესაბამისი პატიოსანი თვალია.

როგორც უკვე აღინიშნა, იაკინთი სიმბოლურად იუდას, მის შთამომავლებს და, ამდენად, მისი შტოსაგან ხორციელად ნაშობ იესო ქრისტეს, ასევე დვითისმშობლის სახესაც უკავშირდება, რადგან წმინდა მარიამიც დავით წინასწარმეტყველის მოდგმას ეკუთვნოდა.

გავიხსენოთ ასევე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ტექსტში ჩართული თამარ მეფის „იამბიკო ხუთეული“ „ცასა ცათასა“ („ცასა ცათასა“ იამბიკოს პირობითად, დასაწყისი სიტყვების მიხედვით ეწოდება (სირამე 2008: 129).

1195 წელს, შამქორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ქართველებმა ხალიფას მისი უძლეველობის ნიშნად წარმოდგენილი დროშა წაართვეს და იგი შესწირეს „მონასტერსა დიდსა ხახულისა დვთისმშობლისასა“ მსგავსად დავით აღმაშენებლისა, რომელმაც დიდგორის ომში გამარჯვების ნიშნად მოპოვებული არაბთა მეფის ძვირფასი მანიაკი გამარჯვებისთანავე ხატს მიართვა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 74, 75). „ნატყვენავი“ დროშის შეწირვასთან დაკავშირებით, უცნობი მემატიანის ცნობით, თამარმა „მიზეზად ძღუნისა

---

\* „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ბოლოს არის ერთი იამბიკო, სადაც თითქმის ყველა სიტყვა სახე-სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ:

„მეფე, მთავარი, სიონი და წყარონი,  
აბუკი, ქალწული, ებგური საებგურო  
აღვრი კიცუთა, თუალნი და ისრაელი,  
გოდოლი, მენავე, სახლი და მამაცა  
მეგპპტელი ცხენი, ლაზარე და ქუდი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 113).

ამ პატარა ლექსში თითქოს „ჩატეულია“ თამარ მეფის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა. აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია, რომ თამარი იამბიკოს დასაწყისშივე იხსენიება მეფედ, მთავრად (იამბიკოს შესახებ უფრო ვრცლად მომდევნო თავში ვისაუბრებთ).

შემწირველობისასა და მვედრებელობისა... ესევითარად ესე იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 74).

„ცასა ცათასა“—ს საფუძვლად უდევს პიმნოგრაფიული ტრადიცია. მასში საუბარია ქრისტიანული დვთისმეტყველების ძირითად საკითხებზე: სამება-ერთარსებაზე, სამყაროს შექმნაზე, ზეციურ დასზე, იესო ქრისტეს ქალწულისაგან შობაზე, მაცხოვრის ვნებით პირველცოდვის დახსნაზე. მასში აგრეთვე ასახულია ისტორიული მოვლენები.

იამბიკოში თამარი დვთისმშობლისადმი მადლიერებას გამოხატავს დახმარებისათვის და მომავალშიც შესთხოვს შემწეობას, რათა „აგარის ნათესავნი“ განდევნოს ისე, როგორც ამ ომში მოწყლა ისინი დავით სოსლანმა. ამ იამბიკოს მიზანი დვთის მარადიულობის გამოხატვაა, რომელიც სუფეს „ცასა ცათასა“. „ცასა ცათასა“ ბიბლიური სიტყვებია (ფს. 113. 24; 148. 4; II სჯ. 10. 14 და ა. შ.) მას სიმბოლური გააზრება აქვს და ის დვთისმშობლის აღმნიშვნელია (იოანე მტბევარი, თეოდორე სტუდიელი, ანდრია კრებელი... (სირაძე 2008: 129, 131; სულავა 2003: 442).

ამჯერად, ყურადღებას შევაჩერებოთ იამბიკოს მესამე სტროფზე (ასევე მეოთხე სტროფის პირველ ტაქტზე), რომელიც მსგავსად წინა ორი სტროფისა, ბიბლიურ-ევანგელური და ამავე დროს ისტორიული ხასიათისაა. მასში ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის ეპიზოდთან ერთად, რომელსაც დვთისმშობლისა და ძე დვთისას სიმბოლოები უკავშირდება, წარმოჩენილია თამარის, ზოგადად, ბაგრატიონთა ჩამომავლობა. თამარ მევე წერს:

„შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით  
როკვიდა ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,  
მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე,  
ცხებულობას დირს მყავ და თკსობასა.  
ედემს, დადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით“

„შუამფლობელი, იავარს შენდა ვმრთმელობ...“

(ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 74, 75).

ამ სტროფში თამარი დვოისმშობელს მადლიერებით ევედრება, რომ იგი გახადოს დირსი მისი ნათესაობისა („მიერივე“, „თუსობისა“).

აქ ნათქვამია, რომ აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის შუაში მოქცეულია ქვეყანა, რომლის მეფეა თამარი, ხოლო ედემის, დადირის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ხენებას სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა ეკისრება. თამარის ძალა, როგორც დვოისმშობლისაგან ცხებული და „თუსი“ მეფისა, ყველა კუთხეს უნდა გადასწვდეს.

„თვალთავ“—ს ცნობით, იაკინთი ხსნისა და რისხვის გამომხატველია; ხსნა დირსთათვის, ხოლო რისხვა, ტანჯვა უდირსთა და შეურაცხმყოფელთათვის (ეპიფანე კვიპრელი 1979: 142). ეს ძვირფასი ქვა მანათობელია დამისა, რომელშიც ქრისტეს შობამდე იმყოფებოდა კაცობრიობა. ქრისტეს შობამ ნათლით შემოსა ყოველი, ვინც ჭეშმარიტად ირწმუნა იგი. ამიტომ ეს ძვირფასი თვალი დვოისმშობლის სიმბოლოდაცად მიჩნეული (სულავა 1998: 97).

საუბრობს რა ლაშა—გიორგის შობაზე უცნობი მემატიანე გადმოგვცემს, მსგავსად „მარიამისსა მიუდგა თამარ განწმედილითა გონებითა და ტაძრისა, ღმრთისა აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მწურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბაჭმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე სწორი ძისა ღმრთისა და უწოდა სახელი ახოვნისა მის მამისა თუსისა გიორგი...

და ესევითარსა მას დღეპეთილობასა შინა იხილეს ყრმა ახალი, პირველ საუკუნეთა განწესებული ძედ მეფისა, მეფედ, შვილად ცხებულისა დავითიანად“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 56, 57). ლაშა—გიორგის დაბადებასა და იესო ქრისტეს შობას შორის პარალელი გავლებულია „აბდულმესიან“—შიც. იოანე შავთელი გვაუწყებს:

„ძირით მისისა იესესისა  
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად,  
ქალწულ—წმიდისა წილგდომილისა  
საქართველოსა მეფედ წოდებად“ (16. 1–3)

(ძველი ქართველი მეხოტენი 1964: 122) (მოხმობილ ციტატებს მოგვიანებით კვლავ დავუბრუნდებით).

ხსენებული ძვირფასი თვალი მსგავსია იმ ანთებული ლამპრისა, რომლისაგან განშორება და რომლის დაფარვაც არავის ძალუძს. ეპიფანე კვიპრელი შენიშნავს, ასეთივე „განათლებული“ და დიდებულია ყველა წმინდანი, ვინც ნამდვილად იწამა ქრისტე და ვინც ღირსი გახდა სულიწმიდის მადლი მიედო მისგანო. სინას მთიდან ორი ფიქალით ჩამოსულ მოსეზე ბიბლიაში ნათქვამია „აეროვან იქმნა პირი მშკდისა მის მოსტსი და, ვითარცა მზისთუალისაგან, გამოჰკრთებიედ“. სტეფანე პირველმოწამის შესახებ კი ეპიფანე კვიპრელი ამბობს „მბრწყინვალებასა განათლებული წნდა პირი იგი სტეფანში“ და აქვე დასძენს, „ესრეთ იყვნეს ყოველნი წმინდანნიო“ (ეპიფანე კვიპრელი 1979: 143).

ისტორიებში, განსაკუთრებით კი მეხოტებებთან, თამარ მეფეს ძალზე ხშირად მიემართება ნათლის გამომხატველი სიმბოლოები.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ში თამარის შესახებ ნათქვამია, ის იყო „უდრუბლო მზე“, „პირი ეთეროვანი“, „ნათელი უმეტეს ნათლისა მის პირველისა“, „ნათელბრწყინვალე“ და სხვა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 21, 24, 27, 39). ბასილი ეზოსმოძღვარი გადმოგვცემს „შევიდა თამარ... ვითარცა მზისა შარავანდედი მიფენითა“, „ვითარცა მზე სწორ—პატიობით ყოველ ზედა განუტეობდა ნათელსა თჯსთა შარავანდედთასა“... (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 140, 147).

ჩახრუხაძე ასე მიმართავს თამარს:

„ნაელვებითა, მზისა ვნებითა  
ცისკროვნად ვხედავ შუქმოსიერსა“ (3. 11. 12)  
(ძველი ქართველი მეხოტები 1957: 183)

• • •

„თამარ! შენ გიძნობ, ასულად გიცნობ:  
მზე დაუვალი, შუქ—მომფინარი!“ (21. 5)  
(ძველი ქართველი მეხოტები 1957: 188)

• • •

„არსი მზედ გქმობენ, შვილნი გამკობენ,  
ვინცა შეგცოდა, თავის საქნარი“ (23. 14)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 189)

• • •

„არსა ღაღადი: „რად არს-ღა ღადი  
მზე შენგან მრთვევად უეტლოვნებად?!“ (25. 4)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 190)

• • •

„ებე ნათელი! ებე ნათელი  
რა ნახოს, მზესა აქვს ბნელოვნებად“ (27. 12)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 190)

• • •

„ვინა შენ ებრად, ვინ ა შენებრად  
თვალთ-შეუდგამი ნათლის მფენალი?“ (69. 4)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 203)

• • •

„ანუ შუქითა, მსგავსად უქითა,  
ბნელთა ცისკრულად გამათენალი“ (70. 6)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 203)

• • •

„ნათელი უთქმან, შენვე დაგინოქმან,  
თვალნი ვერ გსახვენ სხივ-შესადგმევად“ (51. 56) და ა. შ.  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 197).

„აბდულმესიან“—ში თამარ მეფის შესახებ ნათქვამია:

„ღმერთმან სამოთხით მოგვცა სამ-ოთხით  
ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი“ (3. 2)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 118)

• • •

„ნათელი, წრფელი, უხრწნელ—მყოფელი,  
შემწყნარებელი დაგრდომილისა“ (12. 2)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 121)

• • •

„დავლათ-სკიანად, სუფევს მზიანად,  
შვიდთა მნათობთა გარემოზღუდვითა“ (18. 1)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 123)

• • •

„მზე დაუვალი, მყის დაუვალი  
არს შვიდი მნათი მას ზედ მოწამედ“ (72. 3)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 141)

• • •

„ქრისტეს სასძლოსა ვინმცა ასძლოსა,  
განწმედით ქმნილსა, განბრწყინვებულსა? (95. 1)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 148)

ვფიქრობთ, მოხმობილ მაგალითებში თამარ მეფის სახე წარმოდგენილია ღვთიური ნათელმოსილებით.

ნათელი დიდ სულიერებას გამოხატავს, სიწმინდის სიმბოლოა. მზე იმთავითვე იყო ერთადერთი სიმბოლო ღვთიური ძალის ყოვლისმომცველობისა. ის გვიან გახდა პიროვნების ინდივიდუალობის სიმბოლო (ნოზაძე: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/00001/mzismetyveleba.pdf>).

ქრისტიანულ მწერლობაში ნათელი თავდაპირველად მხოლოდ დმერთის, სამების, მისი პიკოსტასების სახელი იყო, ხოლო გვიან შეასაუკუნეებში იგი იქცა მარიამ ღვთისმშობლის ეპითეტადაც (სულავა 1983: 216)

რა თქმა უნდა, მზის, ნათლის სიმბოლოებს ყოველთვის ღვთაებრიობის ნიშანი არ ახლავს, მაგრამ მოხმობილ ციტატებში მზიურობა და ნათელმოსილება, რომელსაც თამარი ასხივებს, აღემატება ზეციურ მნათობთა ბრწყინვალებას, განდმრთობილობის გამომხატველია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თამარი მეფე—წმინდანია. წმინდანი კი, ბიბლიური გადმოცემით, მსგავსნი არიან მზისა (მსაჯ. 5. 31; მათ. 13. 43) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 396).

იაკინთის თვალი, ეპიფანე კვიპრელის ცნობით, მდინარე ფისონში მოიპოვება (ეპიფანე კვიპრელი 1979: 131). ფისონის, იგივე განგის შესახებ (იოანე დამასკელი 2000: 73) საღმრთო წერილში ნათქვამია „მდინარეს გამოვიდოდა ედემით და განიყოფვოდა ოთხად თავად. სახელი ერთისავ მის ფისონ. ესე არს, რომელი მოეხუევის მას ქუეყანასა ევილთას... მუნ არს ოქრო და ოქრო ქუეყანისავ მის კეთილ არს და მუნ არს ანთრაკი... (შესაქ. 2. 10–12) (ეპიფანე კვიპრელი 1979: 131).

უძველესი რწმენის თანახმად, ადამიანი შემთხვევით არ ატარებდა ამა თუ იმ სახელს.\* სახელი განსაზღვრავდა ადამიანის მისიას, მის გზასა და მიზანდასახულებას. ის გამოხატავდა ადამიანის პიროვნულ არსებაც და, თავის მხრივ, ზემოქმედებდა კიდეც ადამიანის სრულქმნაზე (გრიგოლაშვილი 2002: 86,87; ბროკბაუზი: [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/brokg/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/brokg/index.php)). ბიბლიური ღვთისმეტყველების ლექსიკონის მიხედვითაც, ყოველი ადამიანი ატარებს იმ სახელს, რომელიც მის ამქვეყნიურ დანიშნულებას შეესაბამება (ბიბლიური ღვთისმეტყველების ლექსიკონი 1974: 453).

\* სახელის სიმბოლიზების იდეა უკავშირდება ეგვიპტურ ტრადიციას. ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ სიტყვას განსაკუთრებული ძალა გააჩნია და რომ სახელის ყველა ელემენტს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მათი შეხედულებით, სახელი სულის ანარეკლი, ადამიანის ხასიათისა და ბედის განმასახიერებელი იყო.

„იუდა“ ნიშნავს „იაჲეეს ქებას“ ან „აქებდით უფალს“ (ბიბლიური ენციკლოპედია 1991: 369; ალიბეგაშვილი 1999: 93), „ჩინებულს“ (საქართველოს საეკლესიო კალენდარი 1992: 415). ამ სახელით მინიშნებულია იუდას სამეუფო ძალაუფლება მესიის მოვლინებამდე (ბიბლიის ენციკლოპედია 1990: 369; ალიბეგაშვილი 1999: 93). საინტერესოა, როგორ განიმარტება ძველებრაული სახელი „თამარ“. ერთი მხრივ იგი ნიშნავს „პალმის ხეს“ (საქართველოს საეკლესიო კალენდარი 1992: 415), მეორე მხრივ კი „თამარ“ ალეგორიულად განიმარტება როგორც „სიქველე“, „მოძღვარი“ (გამსახურდია 1991: 128).

პალმა სოლარული სიმბოლოა, გამარჯვებას, უკვდავებას, დიდებას, სამართლიანობას გამოხატავს. ქრისტიანული ტრადიციით, ის მარადიულობის, უკვდავების, აღდგომის სიმბოლოდაა მიწნეული (კუპერი 1986: 134; <http://simbols.ru/articles/palmovoe-derevo.html>). პალმის ხე გამოსახული იყო ძველებრაულ მონეტებზე, როგორც იუდეის სამეფოს ემბლემა (ბიბლიის ენციკლოპედია 1998: 17). იუდეა, ებრაელთა სამეფოს ეს სახელწოდება, სათავეს იუდას, იაკობის მეოთხე ძის სახელიდან იღებს (კულტუროლოგია 2003: 4; ბროქაუზი [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/brokg/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/brokg/index.php)). რაც მთავარია, პალმა სიცოცხლის ხის სიმბოლოს წარმოადგენს (კუპერი 1986: 134). იოანე დამასკელის უწყებით, „ხე ცხოვრებისა დვთისაგან მოცემულ მცნებას ნიშნავს, რადგან ეს ხე არის სიმართლე ყველასათვის, ვინც მისკენ ისწრაფვის (იოანე დამასკელი 2000: 78). გრიგოლ ნოსელის განმარტებით კი, „ხე ცხოვრებისა“ „პური“ და „წყალია“, სულიერი საზრდელია მათვის, ვინც „სიტყუათა ღმრთისათა“ მოსმენას ესწრაფვის (გრიგოლ ნოსელი 1979: 100, 101).

სიცოცხლის ხეს, როგორც სიმბოლოს, უკავშირდება ასევე იესიან-დავითიან ბაგრატიონთა წარმოშობა. ამ დინასტიის მეფენი არიან „მორჩინი“, ანუ რტონი ცხოვრების ხისა. ამიტომაც ქართველი მეფეების სიგელებზე გვხვდება წარწერა „მორჩი“, ხოლო გერბზე დავითის ქნარი და შურდული. ხე ცხოვრებისა, რომლის ძირიც იესეს უჭირავს და რომლის შტოებშიც იესიან-დავითიანი მეფეებია გამოსახული, საყოველთაოდ ცნობილი მოტივია შუა საუკუნეების ქართულ ჭედურ ხელოვნებაში (გამსახურდია 1991: 136).

რაც შეეხება სახელ „თამარ“-ის მეორე მნიშვნელობას „სიქველე“, „მოძღვარი“.

ქრისტიანულ რწმენასა და მწერლობაში პატიოსან თვალთა და ფერთა სომხოლიკას განსაკუთრებული როლი ენიჭება. როგორც ძვირფას ქვებს, ასევე ფერებს, საკუთარი მნიშვნელობა გააჩნია. უკვე აღინიშნა, რომ იაკინთი, იგივე ანთრაკი, მეწამული ფერისაა. მეწამული, წითელი, გარდა იმისა, რომ სამართლიანობასა და სხვათაგან გამორჩეულობას გამოხატავს, საზოგადოდ მეფობის, სიქველის, სათნოების სიმბოლოდ ითვლება (ნოზაძე 1951: 8, 11; <http://www.gumer.info>) (ამ საკითხს უფრო ვრცლად მოგვიანებით შევეხებით).

„ვინც განწმენდას ესწრავვის, უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი უმსგავსო მინარევისაგან, რომ წმინდა გონების ძალით მისწვდეს მჰვრეტელობით ძალას, ამასთანავე, ის, ვინც თვით განწმენდს თავს, სხვებსაც უნდა ანიჭებდეს სიწმინდეს“, აღნიშნავს წმინდა დიონისე არეოპაგელი (წმინდა დიონისე არეოპაგელი 1987: 109).

მემატიანეთა გადმოცემით, თამარ მეფემ „ესრეთ განსწავლნა ხუთნივე საგრძნობელნი, და შეიზღუდა შიშითა დმრთისათა, ხედვა, ყნოსა, სმენა, გემოსხილვა და შეხება, და ულიქნავად სატანას და გუელისა მიერ და ესრეთ მარად წარმდინარე ესე საწუთო და ქუე დამზიდველი, მსგავსად სოლინართა, შეუხებელმან ბიწისამან უვნებელად წარიგადნა, და ესეოდენთა დიდებათა და სიმდიდრეთა გარდარეულთა და სიმაღლესა შინა ესრეთ იყო, ვითარმცა ყოვლად არა რაღ ჰქონებოდა, და უდარეს და უგლახაპეს ყოველთა კაცთასა შეერაცხა თავი თვისი, მომჯსხებელი ჯმისა მის: „შიშველი გამოვედ დედის მუცლიო ჩემითგან, და შიშველსა მეგულების წარსვლად“. და ესეოდენსა ამას დმრთისმსახურებასა და კრძალულებასა შინა ნუ უკავ ქუეყნიერი ესე მეფობა უდიდებლად და განუგებელად დაუტევა, ნუ იყოფინ, არამედ უზესთაეს ყოველთა მეფეთა და ფილოსოფოსთასა, კეთილად განაგო, და შეამკო, და წარმართა, რომელი-ესე შეუძლებელ არს სხუათა კაცთა მიერ ჯმისაებრ სამეუფოსა, ვითარმედ: „ორთა უფალთა მონება შეუძლებელ არსო“, (ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი 1959: 28), „დამე ყოველ მდგრადება, ლოცვა, მუცლო-დრეკა და ცრემლიო ვედრება დმრთისა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი 1959: 79) წესად ჰქონია თამარს. მისი მეფობის დროს „საეკლესიო ლოცვად წესი ლოცვისა დაუკლებელად ადესრულებოდის, ვითარცა ტიბიკონი მოასწავებდა და განწესება პალესტინის მონასტრისა მოგვითხობს, ყოველი სრულად. დარბაზის კარს მყოფი წირვად ვერვინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილეულ, სამხარი, ვითარცა თქუმულ არს“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი 1959: 81).

ყოველივე ამის შესახებ გვამცნობს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც. მისი თქმით, თამარ მეფე „ლოცვისა მოყუარე იყო, დაუცადებელი: ვითარ მოწესემან უწინარეს ძილისა ლოცვა და ფსალმუნება გარდაიჭადა“. იგივე ავტორი თამარის შესახებ საუბრისას აღნიშნავს, ის იყო „ყოველთა მეფეთა შორის დმრთისმოშიში, ტკბილი, სახიერი (და თავი ყოველთა დმრთისმოშიშება არს და სიმდაბლე), ეკლესიათა და მონაზონთა მოყუარე“ (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე 1955: 368). ბასილი ეზოსმოძღვარი კი წერს „ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ, რამეთუ თეოდოსი დიდსაცა აღემატებოდა. ლოცვანი და დამისთევანი, რომელნი პალატსა შინა ამისსა აღესრულებოდეს, საჭკულ მიჩანს მეუდაბნოეთაგანცა, ხოლო მარხვისათვის რაღა ვთქუა, რამეთუ წესი იყო მონაზონთა და მამხილებელ უდებთა ერი პალატისა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 147).

თამარის მმართველობის პერიოდში „მდვდელთ-მოძღუართა შეიმოსეს შიში; მდვდელთა დაიცვეს წესი თუსი; მონაზონთა მოიგეს წესიერი მოქალაქობა; მთავარნი განისწავლნეს სიწმინდით ცხოვრებად და სიმართლით სლვად; ერნი განმტკიცნეს შიშით მონებად დმრთისა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 149). თამარმა ეკლესიები „შესაწირავითა აღავსნა“ და ხარაჯა-ბეგარისაგან გაათავისუფლა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 35). მან არაერთი მონასტერი ააშენა, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთ და „შეამკო ყოვლითა წესითა“. „არა ოდენ საქართველოსა მონასტერნი ააშენა, არამედ პალესტინეს იერუსალემს ააშენა პირველად მონასტერი; და კუალად კპპრეს დალიაცა... კუალად კონსტანტინეპოლის ადაშენა მეტოქი მათი... და ყოველსა ელადას-შინანი მონასტერნი უხუად წყალობა მიფენილ ყვნა და საქართველოსა მცირითგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელი არა წყალობითა ადაგსო“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 91). თამარ მეფის მეორე ისტორიაში გკიოთხულობთ: „კუალად კერძოთა ელადისათა და მთაწმინდას, ეგრეთვე მაკედონიისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაკისათა და კონსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კუალად ისავრიას, კურუსეთს, და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა და კპპრისათა ესე ყოველნი აღავსნა ქველის საქმითა (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 142). „ხოლო სჯულთათუს სულითთა მეორე კონსტანტინე იქმნებოდა და მისებრვე პგოროვნებდა დაწყებასა საღმრთოსა საქმეთასა, რამეთუ იწყო

ადლესვად ორპირსა მახვილსა მოსასრველად თესლთა ბოროტთა“, ადნიშნავს ბასილი ეზოსმოძღვარი, როდესაც საუბრობს თამარის ინიციატივაზე საეკლესიო კრების ჩატარების შესახებ. ამ კრებაზე, რომელსაც ნიკოლოზ გულაბერისძე და ანტონ ქუთათელი საღირის-ძე თავმჯდომარეობდნენ, მართალია, თავისი „პატივისათვის“ შეუფერებელი ქართლის მაშინდელი კათალიკოსის, მიქაელის გადაყენება ვერ შეძლეს, თუმცა „მართლმადიდებლობასა ზედა შთამოთესილნი თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს“, უღირს სასულიერო პირთა ნაცვლად „საღმრთონი კაცნი დასხნეს და სხუანი საეკლესიონი წესი განმართნეს უდებთა მიერ დაჭსნილნი“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 117, 118, 119).

თამარ მეფის ისტორიების მიხედვით, მისი არა მხოლოდ ცხოვრების წესი იყო ზედმიწევნით ქრისტიანული, არამედ იგი ქრისტიანული პრინციპებით ხელმძღვანელობდა სახელმწიფო საქმეთა განმგებლობის დროსაც. მართალია, მისი მეფობისდროინდელი მრავალი ლაშქრობის შემდგომ, ცოტა არ იყოს, გასაკვირიც კია, მაგრამ საერთაშორისო საქმეებშიც ის მარტო ძალითა და სამხედრო გავლენით არ მოქმედებდა, მიმდლავრების მიმდევარი არ იყო და სამართლიანობის აღსადგენად იღწვოდა: „წამებს ამას ყოველი მახლობელი გარეშემო ქართლისა“—ო, ამბობს მემატიანე. „თუ რაოდენთა დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმდლავრებელთა უკუნსცა სამეფო თუსი, რაოდენი განდევნილნი სამეფოდვე თუსად კვალად აგნა... მისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ლუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთა განუზრუნველობასა“—ო (ჯავახიშვილი 1983: 292).

თამარ მეფის ისტორიებიდან ჩანს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ბრძოლების დროს, როგორიც იყო შამქორი და ბასიანი, იგი ქართველთა გამარჯვების იმედს დავთის შემწეობაზე ამყარებდა. შამქორის ბრძოლის წინ თამარმა ჯარის შეკრების პარალელურად ანტონ ჭყონდიდელს უბრძანა: „...მიუმცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი დამისთვევანი და ლიტანიობანი აღესრულებოდიან ყოველსა ადგილსა, და წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საჭმარი გლახაკთათვის, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყალე ყონ დმერთი, ნუ სადა თქუან წარმართო: სადა არს ლმერთი იგი მათი“. ბრძოლის წინ თამარმა დალოცა ლაშქარი, წინ ძელი ცხოვრებისა წარუმდვანა და თან ანტონ ჭყონდიდელი გააყოლა. თავად კი ფეხით, „ფერტითა შიშუელითა“ მივიდა მეტების დავთისმშობლის ტაძარში და ხატის წინაშე „არა დასცხერებოდა

ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველი მისი“. ბასილი ეზოსმოძღვარის თქმით, ქართველმა მეომრებმა დიდი „შეწევნა მოიღეს თამარის ცრემლთაგან“. რამდენიმე დღის შემდეგ სარგის მხარგრძელმა მათი გამარჯვების ცნობა მოუტანა მეფეს. გამარჯვებული ჯარის დაბრუნების შემდეგ თამარი „უფროსად დამდაბლდებოდა წინაშე ღმრთისა მმადლობელი და მოქენე მისგან წყალობისა, აღავსებდა ჭელსა მოქენეთასა და წიაღებსა გლახაკთასა, განამდიდრებდა სამზრუნველთა ეკლესიათა, ქურივთა და ობოლთა და დავრდომილთა ზოგად ყოველთა ზედა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 125, 127, 129).

ასევე ბასიანის ბრძოლის წინ „ღმრთისა მიმართ სასოების დამდებელმა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 134) თამარმა თითოეულ მოლაშქრეს „მვარსა ნიში ჯუარისა გამოსახა სამგზის, დალოცა და ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი“. მანამდე კი, რუქნადინისადმი საპასუხო წერილში თამარი წერს: „...მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას სხუასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთსა ყოვლისა, მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯუარისასა... იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი!“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 135). ქართველებმა ამჯერადაც დაამარცხეს მტერი, ხოლო თავად მეფე „მოქცა სამცხეს... ოძრგეს და მოიცალა ლოცვად და მარხვად... და იყვნეს ლოცვანი და დამისთევანი ლაშქართა განმარჯუებისათვის“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 136). ბასილი ეზოსმოძღვარი, ჯარის საერთო ძლიერებასთან ერთად, ამ გამარჯვების მიზეზად ასევე მიიჩნევს თამარის „ცრემლთა და სასოებასა სიმტკიცეთა“. ბასიანის ველიდან ქართველთა ლაშქარი დიდალი ალაფით დაბრუნდა. თამარ მეფემ კი ამ საგანძურით: „აღავსნა ყოველნი ეკლესიანი... ყოველნი ჭელნი მთხოველნი და განაძლნა ყოველნი გლახაკნი და აღუვხო წიაღნი მათი უხუებით“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 140).

მეხოტებებიც არაერთხელ აღნიშნავენ, რომ თამარი ღმრთისმოშიში იყო და სარწმუნოებას განამტკიცებდა.

ჩახრუხაძე გვაუწყებს:

„ასეთი ესე არს ეს მოწესე,  
ჯვართაცა, ღმერთო არ მომომინარი.  
დიდსა მსაჯულსა ამტკიცებს სჯულსა,

ღმერთმან მით მოგვცა მისი საქნარი“ (22. 11. 12)  
 (ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 189).

• • •

„უკლები ესე არს გულსა მთესე  
 შიშისა ღმრთისა დაუკიწყებად;“ (96. 7)  
 (ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 211).

„აბდულმესიან“—ში თამარის შესახებ ნათქვამია:

„აქვს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით  
 „სიბრძნის დასაბამ შიში უფლისა“,  
 ნათელი, წრფელი, უხრწნელ-მყოფელი,  
 შემწყნარებელი დავრდომილის-ა“ (12. 1. 2)  
 (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 121).

იოანე შავთველი თამარ მეფეს „სჯულის სვეტს“, „სულის ზღუდეს“ უწოდებს (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 122).

ისტორიკოსებიც და მეხოტბებიც ბევრს წერენ თამარის ქველმოქმედების შესახებ. მემატიანეთა გადმოცემით, გაჭირვებულთა და ქვრივ-ობოლთა დასახმარებლად თამარი იშვიათად იყენებდა სამეფო სალაროს. დავით აღმაშენებლის მსგავსად, ძირითადად, ისიც თავისი შრომით მოპოვებული ფულით ეწეოდა ქველმოქმედებას. დამით იგი ყოველთვის ხელსაქმობდა, შემდეგ ეს ყველაფერი იყიდებოდა და მთელი შემოსაფალი გლახაკებს ურიგდებოდა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 79). „რაჟამს მოიცალის მარტოებით ყოფად, მყის აღიღის სასოუელი, გინა საკერავი, და ნაშრომსა მას თუსთა კელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფნ თუსითა კელითა“, გადმოგვცემს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 147).

თამარის პირველი მემატიანე აღნიშნავს, რომ იგი იყო „სახიერი და მოწყალე“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 32) (სახიერება, ერთ-ერთი საღვთო სახელთაგანია. „საღმრთოთა სახელთასა შინა— თუ ვითარ

სახიერ სახელედების, ვითარ არს, ვითარ ცხოვრება და სიბრძნე“, –წერს დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერიელი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი 1961: 226) სულხან–საბა ორბელანის განმარტებითაც: „ჭეშმარიტი სახიერება იგი არს, რომელი სიმართლისა და სიბრძნისა და ძლიერებისა თანა შეწყობილ იყოს, რამეთუ უსამართლო და არა–ბრძენი და უძლური არა არს სახიერ.

კეთილისმყოფელი (19, 16 მათე)… ნათელ საცნაურ სახიერებასა ეწოდების (დიონისი 4, 23) და სახიერება დიდთა ღვთისმეტყველთაგან ესრეთ იქების, ვითარცა კეთილი, ვითარცა სიკეთე, ვითარცა სიყვარული, ვითარცა საყვარელი და რაოდენნი–რავ არიან კეთილად შუენიერნი, კეთილისმყოფელისა და სიხარულეგანისა შვენიერებისა ღვთის სახელნი“ (ორბელიანი 1993: 75, 76); „მზებრ უხუ“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 76); „წყალობის მოყვარე“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 132); „სიუხვით განლადებული, აღყუავებული“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 147); „მეფობასა შინა არაოდეს გარე მიაქცია ჭელი სათხოველთაგან ქურივთა, ობოლთა და მიმდლავრებულთასა. წარვლნა დღენი მისნი სიხარულსა შინა, ამისთვის, რამეთუ მარადლე ახარებდა ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 149); „იჯხნა მოვალენი ვალთაგან, და მისცა ობოლთა ღონე და ქურივთა ჭელმწიფობა ქორწინებად, და ღონიერ ყვნა გლახაკნი და მდიდარ ღონიერნი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 29). „თამარ უცხოსაცა ზედა და დავრდომილთა ლმობიერ იყო ტკივნეულობად და წყალობად“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 143). „ქველად“ (4. 2) (ძველი ქართველი მეხოტენი 1964: 132), „მოწყალებისა ნაუფსკრულევად“ (47. 38) (ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 196), „უხუად“ (ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 190), „მოწყალე სულად“ (82. 9) (ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 207) იწოდება თამარი მეხოტენებთანაც. მის შესახებ „თამარიან“–ში ნათქვამია:

„სიუხვით ზღვებრი, სიმაღლით ცებრი,  
მდაბლად მოწყალე, ჭერეტად ნარნარი“ (22. 9)  
(ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 189).

იოანე შავთელი კი თამარ მეფეზე წერს:

„აქვს სასოება, მას საონოება

სარწმუნოება სიყვარულითა  
მადლთა ტალანტი, სავსედ ბალანტი  
შეუკრებიეს თვით სურვილითა  
ქველის საქმეთა ვკვირობ არ მითა,  
რაც ოდენ მესმის, იდუმალითა  
უსხეულონი ზეცისა ძალნი  
მისთვის იშვებენ სიხარულითა (22. 1-4)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 124).

„მეფეთა შორის უდიდესი“ თამარ „გლახაპთა განმკითხველი“ იყო, აღნიშნავს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე 1955: 368).

თამარ მეფის გვირგვინის შემამკობელ ძვირფას თვალთაგან, „იაკინთთა“ შემდეგ, უცნობი მემატიანე ასახელებს „ზმირთა“ და „სმარაგდოთა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედოანი 1959: 20, 21).

მინერალოგიასა და შესაბამის სამეცნიერო ლიტარატურაში ზმირი//ზმური//ზურმუხტი//სმარაგდი ერთი და იმავე ქვის სინონიმური სახელწოდებებია, „ზმირი“ აღნიშნული პატიოსანი თვალის აღმოსავლური სახელდებაა (სპარსულად ამ ქვას „ზომმოროდ“, „არაბულად „ზუმმურუდ“, თურქულად „ზუმურუთ“ („ზურმუთ“ ეწოდება). „სმარაგდი“ კი დასავლური (ბერძნულად: „სმარაგდის“, ლათინურად „ზერალდი“, გერმანულად „სმარაგდ“ და ა. შ.) (ნოზაძე 1951: 8, 11; ალიბეგაშვილი 1999: 68, 69; კეკელიძე 1957: 80; ორბელიანი 1993: 511).

როდესაც უცნობი მემატიანე თამარის გვირგვინში მოთავსებულ პატიოსან თვლებს ჩამოთვლის, შთაბეჭდილება იქმნება თითქოს „სმარაგდა“ „ზმირისაგან“ განსხვავებულ ქვად წარმოუდგენია: თუმცა, თუ გავითვალისწინებთ აღმოსავლური და დასავლური კულტურის იმ ზედმიწევნით ცოდნას, რომელიც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედოან“—ში ჩანს, აქ შეიძლება დავინახოთ არა ტერმინთა აღრევა, არამედ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის აზროვნებისა და მხატვრული სტილის ერთ-ერთი თვისება, რაც სინონიმთა უხვად ხმარებაში გამოიხატება. ნიშნადობლივია ის ფაქტიც, რომ „ქართლის ცხოვრებ“—ის სხვა რედაქციებში, გარდა მარიამისეულისა და მაჩაბლისეულისა, „ზმური“ გამოტოვებულია. საფიქრებელია, აღნიშნული რედაქციების ავტორებმა იცოდნენ,

რომ „ზმური“ და „სმარაგდი“ სინონიმებია და, ამდენად, საჭიროდ არ მიიჩნიეს ერთი ქვის ორი სახელწოდებით მოხსენიება, შენიშნავს კ. კეპელიძე (კეპელიძე 1957: 80). ამ შეხედულებას ვიზიარებთ ჩვენც.

მინერალოგიაში ზმირი ანუ ზურმუხტი (სმარაგდი) ბერილის სახესხვაობას წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, იაკინთოან ერთად ისიც პირველი კლასის ძვირფას ქვად ითვლება (<http://www.a-jewelens.com/alf-i-3.htm>). იგი მწვანე ფერისაა, უძველესი დროიდან დიდად ფასობს. სხვადასხვა პერიოდსა და ქვეყანაში კველაზე ძვირფას ქვადაც მიიჩნეოდა (<http://www.interlinks.ru/jewelery/1359.html>).

ზმირი, ანუ ზურმუხტი (სმარაგდი), ეპიფანე კვიპრელის მიხედვით, მწვანე ფერის ქვაა. მასზე ამოტვიფრული იყო იაკობის მესამე ძის, ლევის სახელი. მის შთამომავლებს „აქუნდა მდდელობა“, რასაც ისინი „დიდი შრომითა“ და „შრომისმოყვარეობით“ აღწევდნენ. ლევის ტომიდან იყვნენ მოსე, მისი ძმა აარონი, იოანე ნათლისმცემელი „მოთმინე შრომითა“, რომელიც „წმიდითა მით ქალწულებითა თუსითა მათ გულის–თქუმათა განიშორებდა“ (ეპიფანე კვიპრელი 1979: 130, 140). საგულისხმოა, რომ იესო ქრისტე ხორციელად ლევისა და იუდას მოდგმათა ურთიერთშერევის შედეგად იშვა. ამ თრი ტომის სახით მაცხოვარს ერთდროულად უნდა მიეღო მეუფებაც (იუდას შტოდან) და მდვდლობაც (ლევის ტომიდან) (იპოლიტე რომაელი 1979: 234; ბიბლიური დვოისმეტყველების ლექსიკონი 1974: 1228; ალიბეგაშვილი 1999: 215). (ამის შესახებ ზემოთ, იაკინთზე სუბრისას, უკვე ითქვა).

აარონის შესამოსელზე მესამე რიგში მოთავსებული ზმირი სიმბოლურად გამოხატავს ნაყოფიერებას, გაახალგაზრდავებას, ერთგულებას (<http://lib.deport.ru> ; ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/192.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/192.php)), სიწმინდეს, წარმატებას (<http://www.all-gem-stones.net/se/emerald.html>). ქრისტიანობაში ზმირი/სმარაგდი უკვდავების, რწმენის, იმედის, მისტიური ქალწულების სიმბოლოა (ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/192.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/192.php)).

ეპიფანე კვიპრელის ცნობით, ამ პატიოსანი თვალის ფერი მართალია, მწვანეა, მაგრამ მოპოვების ადგილის მიხედვით, სხვადასგვარი შეფერილობა და სიკაშკაშე აქვს. ზურმუხტის იმ სახეობათა „მწვანე“, რომლებიც მზის აღმოსავალით მოიძებნება, „დიდ მრუმე (დაბინდული) არს... და რომელი იგი დასავალით იპოვებიან მისსა, უფროისედა მომრუმე“. მდინარე ფისონში

მოპოვებული ზმური „ნათლითა მით აღრეულად უჩუენებნ სიმწუანესა თჟსსა“. როგორც აღმოსავლეთით მოპოვებული ზურმუხტი განსხვავდება ტონალობით დასავლეთით მოპოვებულასაგან და ორივესთან მიმართებით კი მდინარე ფისონში მოძიებული, ასევე უნდა განვასხვავოთ ზმირის შესაბამისი ლევის ნათესავის მღვდელმთავართა „სიტყუა მოძღურებისა სწავლითა ერისა მის მიმართ“. თუ თვალი „დაშავებული“ ფერით ჩანს, მოასწავებს ცოდვიანობას და მოძღვრების უკეთურებას, ხოლო თუ „სპეტაკ“ ფერად გამოიყურება, მაშინ კეთილ საქმეებს, საუკეთესო და წრფელ მოძღვრებას წარმოაჩენს (ეპიფანე კვიპრელი 1979: 140; ალიბეგაშვილი 1999: 74).

ზმირის ძალა ამგგარია, ყველა შინაგანი საიდუმლო და მომავალი უწყება მასში სარკის მსგავსად აირეკლება (ნოზაძე 1951: 84). ამასთანავე მიიჩნევა, რომ ზმური მის მფლობელს ნიჭს, სიხარულს, მექსიერების სიმტკიცეს, სულიერ ჰარმონიას და წინასწარჭკვრების უნარს მიჰმადლებს (http://simbols.ru/articles/izumrud.html; ალიბეგაშვილი 1999: 74). წინასწარჭკვრება, დღევანდელი გაგებით, მომავლის წინასწარმეტყველებაა. ძველად კი (მაგ., ძველ აღთქმაში) წინასწარმეტყველება, რა თქმა უნდა, ნიშნავდა მომავლის წინასწარ განჭვრებას (ეს განსაკუთრებით მესიის მოვლინებას ეხება), მაგრამ წინასწარმეტყველთა ქადაგებებში უმთავრესი ადგილი ეთმობოდა არა მომავლის უწყებას, არამედ აწმყოს. ისინი მოუწოდებდნენ ხალხს, მობრუნებულიყვნენ დვოისაკენ და ეწამათ მისი (ბიბლიის ენციკლოპედია 1998: 94; ბიბლიის ენციკლოპედია 1990: 583).

„თვალთავ“—ს მიხედვით, ზმური არის „თავადი (იესო ქრისტე) უფალი ცხორებისა და ბრწყინვალებისა ვითარცა სარკისა განათლებულ პირი თჟსი, და მეცნიერებითა გონება თჟსი ჭეშმარიტებითა და წრფელითა სარწმუნოვებითა“ (ეპიფანე კვიპრელი 1979: 140).

ნიშანდობლივია, რომ ძველ ქართულ ლექსიკში სიტყვა „ზმური“ მურსაც (mirrha) უკავშირდება (ალიბეგაშვილი 1999: 76); მური, იგივე ზმირინი/სმირნა (ბიბლიის ენციკლოპედია 1998: 349) შედგება განსაკუთრებული, კეთილსურნელოვანი ნივთიერებებისაგან და გამოიყენება მირონცხებისათვის (ბიბლიის ენციკლოპედია 1990: 494). აღნიშნული ხაზს უსვამს ზმურის, ამ პატიოსანი თვალისა და სურნელების ლიტურგიულ მნიშვნელობას. სურნელების, კეთილსურნელების შეგრძნება ყნოსვით შთაგვენერგება. დვოისადმი სხეულებრივად თქმული ეს ერთ-ერთი სიმბოლო, იოანე დამასკელის თანახმად,

დვოისადმი მიმართული ფიქრისა და კეთილგანწყობის გამომააშკარავებლობას აღნიშნავს (იოანე დამასკელი 2000: 47). ზემოთქმულთან დაკავშირებით, საინტერესოა თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობები. უცნობი მემატიანე თამარ მეფის შესახებ წერს: „ვითა უტყუელი პირი იტყვს: „ეძიებდით სასუფეველსა დმრთისასა სიმართლესა მისსა და ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მათე 6. 33) და ამის მსმენელმან და კეთილად გულის-ჯმის მყოფელმან აღიხილნა თუალნი მაღლისა მიმართ, და აღამაღლა გონება, ყოვლად რამე ბრძენი და კეთილად ცნობა-გონიერი, რომელი ყოვლითურთ შეეყო მაღალსა მას, ყოველთა ზედა მხედველსა და შემსჭუალა თუალი უმრუმედ მხედველი, რათა მეცნიერ ყოს და მას მხოლოსა ხედვიდეს“; „პირველად მეძიებელმან სასუფეველისამან და ზენა სუფევისა მოსურნემან ქუნაცა ესე დიდება და სიმდიდრე უხუებით და სავსებით მიიღო აღთქმისაებრ უტყუელისა: „პირველად ეძიებდით სასუფეველსა დმრთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს“; „რამეთუ აღამაღლა მაღლად გონება და მდაბლითა სულითა განიცადა სიდიდე საქმითა მისდა ხუედრებულსა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 79).

ზმირი სიბრძნის ქვად იწოდება (<http://simbols.ru/articles/izumrud.html>). თამარზე, როგორც ბრძენ მეფეზე, საუბრობენ მემატიანეებიც და მეხოტბეებიც. ისტორიკოსები წერენ, რომ თამარი იყო „ბრძენი“ (ბასილი ეზოსმოძვარი 1959: 145); „ბრძნივ-გამორჩეული“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 63); „უბრძენე... ბრძენისა მის (სოლომონისა)...“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 79). „აბდულმესიან“-ის მიხედვით, თამარი „ბრძენთა სენაა“ (20, 2) (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 123); „სიბრძნის ვაზია“ (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 150). ჩახრუხაძე კი „სიბრძნით სავსი“ (8. 39) (ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 196). თამარის შესახებ ამბობს:

„ანუ ვთქვა ისი: არს ბრძენთა თვისი  
ასკლიპოსებრ გონება-ვრცელი“ (64. 11)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 201)

როგორც უკვე აღინიშნა, თამარ მეფის გვირგვინის შემამკობელი ძვირფასი ქვებიდან, იაკინთი მეწამული-წითელი, ხოლო ზმირი/სმარაგდი მწვანე ფერისაა.

ფერთამეტყველების ისტორია უძველესი ხანიდან იღებს სათავეს. უხსოვარი დროიდან ენიჭებოდა მნიშვნელობა ფერთა „ენის“ წაკითხვასა და

ამოცნობას. ამას მოწმობს: ძველი მითები, ხალხური გადმოცემები, ზღაპრები, ტრადიციები, სხვადასხვა მისტიკური სწავლება და ა. შ. ფერთა სიმბოლიკას გააჩნია: სოციალური, ფსიქოლოგიური, ალქიმიური, ასტრალური, პოლიტიკური და, რა თქმა უნდა, რელიგიური ასპექტი (<http://psyfactor.org/color.htm>; აბზიანიძე 2007: 78).

წითელი მრავალფეროვანი და ამავე დროს წინააღმდეგობრივი სიმბოლური მნიშვნელობით გამოირჩევა. იგი ერთი მხრივ, გამოხატავს სიყვარულს, სილამაზეს, სიხარულს, ცხოვრების სისავსეს, მეორეს მხრივ კი მტრობას, ომს, შურისძიებას. უძველესი დროიდან წითელი ასევე დაკავშირებული იყო აგრესიულ სურვილებსა და ვნებებთან (<http://psyfactor.org/color.htm>).

მეწამული—წითელი არის სამეფო, იმპერატორთა, უმაღლესი ხელისუფლების, სამართლიანობის, პატივის, დიდებულების ფერი. ქრისტიანობაში იგი მამა ღმერთის სიმბოლოდ მიიჩნევა. მეწამული ასევე დვორისმშობლის, როგორც ზეციური დედოფლის სამოსის ფერია (<http://sumbol.grimuar.info/пурпурный-70.html>; <http://psyfactor.org/color.htm>; აბზიანიძე 2007: 82). ბიზანტიაში იმპერატორი აუცილებლად უნდა დაბადებულიყო მეწამული ფერის კედლებიან ოთახში. მხოლოდ იმპერატორს პქონდა წითელი წალების ტარების უფლება, იგი ყოველთვის მეწამულ ტახტზე იჯდა და ამავე ფერის მელნით აწერდა ხელს.

თუმცა, საბერძენთში მეწამულ სამოსს ატარებდნენ ფეხოსანი ჯარისკაცები, რათა ამ ფერს დაეფარა ჭრილობებიდან გადმოდენილი სისხლი, რაც გარკვეულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას ანიჭებდა მათ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. რომაელი სენატორები კი მეწამული ფერის ლენტს იკეთებდნენ სამოსის ზემოდან (<http://psyfactor.org/color.htm>).

მეწამული, წითლისა და ლურჯის კომბინაციას წარმოადგენს და ამ ფერების სიმბოლიკიდან გამომდინარე, სიყვარულსა და გულწრფელობას გამოხატავს (<http://sumbol.grimuar.info/пурпурный-70.html>; აბზიანიძე 2007: 82).

ქრისტიანულ იკონოგრაფიაში მეწამული სევდის, სინაზულის და ცოდვათა მიტევების ფერია. წითელი შეფერილობის მეწამული რწმენის, სიმტკიცის, ხოლო მოცისფრო შეფერილობისა კი სულიერი სიმშვიდისა და სუფთა სინდისის სიმბოლოა (<http://sumbol.grimuar.info/пурпурный-70.html>).

რაც შეეხება მწვანეს, იგი გაზაფხულის, სიკოცხლის გამარჯვების სიმბოლოს წარმოადგენს. მწვანე ფერი თავის თავში აერთიანებს ყვითელსა და ლურჯს. ამ ფერთა სიმბოლიკიდან გათვალისწინებით: ინტელექტის, გულუხვობის ნიშანია. როგორც წითლისა და ლურჯის კომბინაცია, მისტიკური თვალსაზრისით, მწვანე სიმბოლურად რეალურისა და ირეალურის კავშირს აღნიშნავს.

მწვანე ასევე სიმბოლოა ნაყოფიერების, სიბრძნის, სიმშვიდის, ცხოვრების განახლების, აღდგომის, თანასწორობის. იგი აგრეთვე გამოხატავს აყვავებას, პეთილდღეობას, სტაბილურობას, შეცნობასა და რწმენას.

ქრისტიანობაში მწვანე სამოთხის ბადის (ედემის), ამასთანავე, ინიციაციისა და ქველ საქმეთა ფერია; შეა საუკუნეებში კი წმინდა სამების, ეპიფანიის, იესო ქრისტესა და წმინდანთა ამქვეყნიური ცხოვრების, იოანე ღვთისმეტყველის სიმბოლოს წარმოადგენდა ([http://www.mironovacolor.org/theory/humans\\_and\\_color/symbolism/](http://www.mironovacolor.org/theory/humans_and_color/symbolism/); <http://simbol.grimuar.info/зеленый-69.html>).

მკვეთრ, ხასხასა მწვანე ფერს უკავშირებდნენ „ზურმუხების თვალს. რომაელი მოაზროვნე პლინიუსის თანახმად, „ზურმუხებსა და მისგან გამომდინარე ზურმიხტისფერს ძველად ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ“. თავის წიგნში „თხრობა ძვირფას თვალთა შესახებ“ მე-20 საუკუნეში მოღვაწე გეოქიმიკოსი და ეკონომისტი ა. ფერსმანიც აღნიშნავს, რომ ზურმუხების, ანუ „მბრწყინავი ქვის“ ფერი ყველაზე მეტად ფასობდა. იგი იყო სიცოცხლის, სიწმინდის, ახალგაზრდობის სიმბოლო. მას მიაწერდნენ უძლურებისაგან განვურნების იდუმალ ძალას ([http://www.mironovacolor.org/theory/humans\\_and\\_color/symbolism/](http://www.mironovacolor.org/theory/humans_and_color/symbolism/)).

ქრისტიანულ ტრადიციაში ზურმუხებისფერი მწვანე ქრისტიანული რწმენის, აღდგომის და სამების ემბლემატური ფერია. ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ამ ფერითაა გამოსახული გოლგოთის ჯვარი, ზოგჯერ ღვთისმშობლის სამოსი; ასევე მწვანე სამოსში იყვნენ ხოლმე გამოსახულნი ანგელოზები მირონცხების საკრალურ სცენებში. ქრისტიანულ ტაძარში ღვთისმსახურების დროს მწვანე ფერს უპირატესობა ენიჭებოდა შობიდან სამების დღესასწაულამდე (ლიტურგიაში იგი იმედის ნიშანს წარმოადგენს).

გ. კანდინსკი აბსოლუტურ მწვანეს არსებულთაგან ყველაზე მშვიდ ფერს უწოდებს (აბზიანიძე .... 2007: 83, 84).

თუმცა, მწვანე ფერის სიმბოლიკა არაერთმნიშვნელოვანია და მას, გარდა პოზიტიურისა, ნეგატიური მნიშვნელობაც აქვს. იგი უმწიფრობას, არასრულყოფილებასაც გამოხატავს (<http://psyfactor.org/color.htm>).

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ფერთა ძირითადი და თან პოზიტიური მნიშვნელობები თანხვდება იაკინთისა და ზმირი/სმარაგდის სიმბოლურ მნიშვნელობებს. კერძოდ, ისევე როგორც იაკინთი, მეწამული—წითელიც მეფობის, უმაღლესი ხელისუფლების, სამართლიანობის სიმბოლოა. მწვანე კი, ზმირი/სმარაგდის მსგავსად რწმენის, ქველი საქმეების, სიბრძნის ნიშანია.\* ამდენად, ვფიქრობთ, თამარ მეფის სახეს შეიძლება დაგუკავშიროთ როგორც ძვირფას თვალთა, აგრეთვე მათი ფერების სიმბოლიკაც.

დასასრულ შევნიშნავთ, ძვირფას ქვათა, ისევე როგორც ფერთა სიმბოლურ მნიშვნელობებს რომ დიდი როლი ენიჭებათ არა მხოლოდ ხელოვნების სფეროში, არამედ რელიგიურ და სახელმწიფოებრივ—პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამას თამარ მეფის გვირგვინის შემამკობელ პატიოსან თვალთა და მათი ფერთა სიმბოლიკაც მოწმობს. ამასთან თუ გავითვალისწინებთ ამ თავის დასაწყისში ქართველ მეფეთა გვირგვინის ცვალების შესახებ მოხმობილ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გვირგვინში სიმბოლურად ამა თუ იმ მეფის დანიშნულება, მისი მისია უნდა განსახიერებულიყო. აღიშნული ეხება თამარ მეფესაც (შეიძლება ყველაზე მეტად სწორედ მას!). მიგვაჩნია, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან“—ის ავტორი, რომელსაც, ივანე ჯავახიშვილის თქმით, „წინდაწინვე მოფიქრებული პქონია სად, რა და როდის ემბნა... მოუაზრებია რას და სად უნდა შეჰქმდა მისი წინამდებარე სიტყვა“ (ჯავახიშვილი 1929: 237), თამარ მეფის გვირგვინზე ტყუილად არ გაამახვილებდა ყურადღებას.\*\*

\*თამარის მეფობისდროინდელი საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით, მწვანე ფერის სიმბოლური მნიშვნელობებიდან მის სახეს შეიძლება დაგუკავშიროთ ასევე აყვავება, კეთილდღეობა, სტაბილურობა.

\*\*თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარიც (XI ს-ის ბოლო XIII ს-ის დასაწყისი), რომელიც დაცულია საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდში, შემკულია ლალისა და ზურმუხტის თვლებით, გამშვენებულია თეთრი მარგალიტებით. ლალის იგივე იაკინთის და ზმირი/სმარაგდის

ზემოთ უკვე ითქვა, რომ თამარის სამეფო ტახტზე ასვლა XII საუკუნისათვის არცოუ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან ამ პერიოდში არც ერთ სხვა ქვეყანას ქალი არ მართავდა. ბუნებრივია, ამ ფაქტს ყველა აღტაცებით არ შეხვდებოდა და თამარს მოწინააღმდეგები ეყოლებოდა. ქალი—მეფის პოზიციების გასამყარებლად, ვფიქრობთ, მემატიანე ძვირფას ქვათა სიმბოლიკასაც მიმართავს. იაკინთისა და ზმირი/სმარაგდის სიმბოლური მნიშვნელობის მეშვეობით ხაზგასმულია თამარის, თუმცა ქალის, მაგრამ, რაც მთავარია. ბაგრატიონი მეფის დვოიური წარმომავლობა, რაც მისი მეფობის უფლებას უდავოს ხდიდა, ასევევ აქცენტირებულია, რომ თამარი იყო სამართლიანი და ბრძენი მეფე, რომელიც გამოირჩეოდა დვოისმოსაობით, ქრისტიანული ცხოვრების წესით და ქვეყანასაც ქრისტიანული პრინციპებით მართავდა (ჯავახიშვილი 1983: 292).

აქვე საჭიროდ მივიჩნევთ ერთი რამის აღნიშვნას, თამარ მეფის გვირგვინზე საუბრისას, ალბათ საინტერესო იქნებოდა თამარის ფრესკებზე გამოსახულ გვირგვინთა და მათ შემამკობელ ძვირფას ქვათა გათვალისწინებაც.

ჩვენამდე მოღწეულია თამარ მეფის ოთხი ფრესკა: ვარძიის, ბერთუბნის, ყინწვისის და ბეთანიის. სამწუხაროდ, აღარ არსებობს დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის ტაძრის თამარის ფრესკა.

ვარძიაში, ლვოისმშობლის ტაძარში გამოსახულ ფრესკაზე თამარის გვირგვინის ცენტრში მოთავსებულია წითელი ფერის დიდი ზომის ქვა, გვერდებზე კი მცირე ზომის ასევე წითელი და მოლურჯო ფერის თვლები. ამ გვირგვინს აქვს მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი დასაკიდები.

შესახებ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება მარგალიტს, ის სრულყოფილების, ქალურობის, სიბრძნის, სინათლის (განსაკუთრებით თეთრი მარგალიტი), სამართლიანობის, უბიწოების, ქალწულების და ამავე დროს ნაყოფიერების სიმბოლოა. ქრისტიანობაში მარგალიტი ქალწულ მარიამის წიაღში დავანებული იესო ქრისტეს მეტაფორაა; აპოკალიფსში ახალი იერუსალიმის კედლები მარგალიტისაა (გამოცხად. 21. 21) ([http://mirslovarei.com/content\\_sim/ZHwmchug-253.html](http://mirslovarei.com/content_sim/ZHwmchug-253.html); ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTressider/159.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTressider/159.php)). მარგალიტის სიმბოლიკა გარკვეულ წილად ემთხვევა იაკინთის (სამართლიანობა) და ზმირი/სმარაგდის (ქალწულება, სიბრძნე) სიმბოლურ მნიშვნელობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრისათვის ძვირფასი თვლების შერჩევისას მათი სიმბოლიკაც გაითვალისწინებ.

ბეთანიის დვოისმშობლის ეკლესიის ფრესკაზე თამარ მეფის თავს უმშვენებს ძვირფასი თვლებითა (მათი ფერებისა და რაოდენობის დადგენა ფრესკის დაზიანების გამო ძნელია) და მარგალიტებით შემკული საკიდრებიანი გვირგვინი.

რაც შეეხება ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის თამარის ფრესკას, აქ ფრესკები საერთოდ, და მათ შორის თამარ მეფისაც, საქმაოდ დაზიანებულია.

თამარის ფრესკა მხოლოდ კონტურის სახითაა შემონახული, ისიც ნაწილობრივ აქვდან გამომდინარე, გვირგვინზე თითქმის ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ კონტურების მეშვეობით გარკვევით მხოლოდ მისი ფორმის გარჩევაა შესაძლებელი.

ბერთულის მონასტრის დვოისმშობლის ტაძრის ფრესკაზე თამარ მეფის გვირგვინი მარგალიტებითაა შემკული.

ოთხივე ფრესკაზე თამარ მეფესთან ერთად გამოსახული არიან მამა, გიორგი III (ყინწვისი, ვარძია, ბერთული) და ძე, ლაშა-გიორგი (ბეთანია, ბერთული, ყინწვისი) ან ორივე ერთად (ყინწვისი, ბეთანია).

საფიქრებელია, რომ აღნიშნულ ფრესკებზე გამოსახული სამივე მეფის გვირგვინი პირობითია (ალიბეგაშვილი 1979: 28).

დათარიდების მიხედვით ვარძიის ფრესკა ყველაზე ახლოსაა თამარის მეფედ მეორედ კურთხევის დროსთან (1184 წ.). მართალია, ამ შემთხვევაში მემატიანე უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის, დაგვირგვინების წესისა და განგების სრულ სურათს წარმოგვიდენს, მაგრამ მეფის გვირგვინს მხოლოდ თამარის პირველი კურთხევის შესახებ საუბრისას აღგვიწერს. როგორც გაიანე ალიბეგაშვილი აღნიშნავს, არათუ ვარძიის, არამედ დანარჩენ სამ ფრესკაზეც არ არის გამოსახული თამარის (არც გიორგი III-ისა და ლაშა-გიორგის) რეალური გვირგვინი. ისინი სამეფო თავსამკაულის მხოლოდ სიმბოლიზებული, სხვადასხვაგვარი დეპორატიული დეტალით უტრირებული ვარიანტებია (ალიბეგაშვილი 1979: 28).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ თამარ მეფის გვირგვინი ოთხსავე, უფრო სწორად სამ ფრესკაზე (რადგან დაზიანების გამო ყინწვისის ფრესკაზე საუბარია ძნელია), დიდად განსხვავდება გვირგვინის იმ აღწერილობისაგან, რომელსაც მემატიანე გადმოგვცემს. მეტ-ნაკლებად მაინც მოსალოდნელი იყო, რომ ის გვირგვინი, რომლის შესახებაც უცნობი ისტორიკოსი გვამცნობს, სწორედ თამარ მეფის ფრესკებზე ყოფილიყო გამოსახული. საინტერესოა, რატომ

არ აისახა ფრესკებზე ის გვირგვინი, რომელიც თამარს, საქართველოში პირველ და იმდროინდელ მსოფლიოში ერთადერთ ქალ—ხელმწიფეს, თანამოსაყდრედ გამოცხადების, ანუ მეფედ პირველად კურთხევის დროს თავად მამამ, გიორგი III-მ დაადგა თავზე და რომელსაც, ჩვენი აზრით, მკვეთრად გამოხატული სიმბოლური მნიშვნელობა უნდა პქონოდა?! როგორც უკვე ვთქვით, მიგვაჩნია, რომ ამ გვირგვინის, მის შემამკობელ ძვირფას თვალთა სიმბოლიკის საშუალებით კიდევ ერთხელ ესმება ხაზი თამარის, ბაგრატიონი მეფის დვთაებრივ წარმომავლობას და ამდენად, მისი მეფობის უფლებას, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო თამარის, ქალი—მმართველის პოზიციების გამყარებასთან. შესაძლოა, იმ დროისათვის, როცა თამარის დღემდე მოღწეული ფრესკებია შესრულებული (როგორც აღინიშნა, ვარძიის გარდა ყველა სხვა ტაძრის ფრესკა გვიანდელი პერიოდისაა), ეს საკითხი ადარ იყო აქტუალური, რადგან ცხადი გახდა, რომ საქართველოს თამარის სახით, მართალია, ქალი, მაგრამ ძლიერი მმართველი ჰყავდა.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი იამბიკოს  
სიმპლური ბააზომპისათვის

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ბოლოს არის ერთი იამბიკო,  
სადაც თითქმის ყველა სიტყვა სახე—სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ:

„მეფე, მთავარი, სიონი და წყარონი  
ჭაბუკი, ქალწული, ებგური საებგურო  
აღგრი კიცუთა, თუალნი და ისრაელი,  
გოდოლი, მენავე, სახლი და მამაცა,  
მეგპპტელი ცხენი, ლაზარე და ქუდი“

(ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 113).

იამბიკოს მეორე სტრიქონი მცირეოდენი განსხვავებითაა წარმოდგენილი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ კორნელი კეკელიძისეულ გამოცემაში: „ჭაბუკსა სწორი, ებგური საებგურო“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1941: 140).

„ქართლის ცხოვრება“—ში ეს იამბიკო არსენ იყალთოელს მიეწერება; ერთ—ერთ ლექსთა კრებულში იოანე პეტრიშვილი (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 113), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის კორნელი კეკელიძისეულ გამოცემაში კი — არსენ იყვნელს (თუმცა „ისტორიანი და აზმან“—ის მიხეული გამოცემის შესავალ წერილში კორნელი კეკელიძე იამბიკოს შემქმნელად იოანე ჭიმჭიმელს მიიჩნევს. არსენი კი, მისი აზრით, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორად შეიძლება ვიგულისხმოთ. კორნელი კეკელიძე მოიხმობს ერთ ხელნაწერს (S379; გვ. 192-193), სადაც, მისი თქმით, იამბიკო მოეწერება იოანე პეტრიშვილი, რომელიც გაიგივებულია იოანე ჭიმჭიმელთან) (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1941: 140). როგორც ვხედავთ, აღნიშნული იამბიკოს დამწერის ვინაობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა. ჩვენ იამბიკო იმ

კუთხით გვაინტერესებს, თუ რას აღნიშნავენ მასში სიმბოლურად მოხმობილი სიტყვები და რა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეთ მათ.

### მ ე ვ ა

განასახიერებს მამრობით პრინციპს. იგი სიმბოლოა ლვოისაგან კურთხეული ხელისუფლებისა (ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/255](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/255); სიმბოლოთა ლექსიკონი [www.mirslovarei.com/content\\_sim/korol-370.html](http://www.mirslovarei.com/content_sim/korol-370.html)).

უმაღლესი საერთო ხელისუფლების დვოისხმორბის იდეა უმველესი დროიდან არსებობდა.

ქველ აღმოსავლეთში მეფის ხელისუფლება მჭიდროდ იყო დაკავშირებული დვთაების მეფობის შესახებ მითოსურ კონცეფციასთან, რაც იმ დროის სხვადასხვა კულტურის საერთო მახასიათებელს წარმოადგენდა. მითოსის მეფე იყო კულტურული გმირი, წმინდა მმართველი, რადგან მას დვთაებისაგან მონიჭებული ჰქონდა გარბამული ფუნქციები, იგი წმინდა ნების გამტარებლად მიიჩნეოდა (ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია: <http://sigils.ru/symbols/zar.html>). ზოგადად, მეფობა, გაიაზრებოდა ერთგვარ წმინდა ინსტიტუციად, რომელიც მეტ-ნაკლებად დვთაებრივის სფეროს განეკუთვნებოდა.

ეგვიპტეში თვლიდნენ, რომ ფარაონი იყო განკაცებული დმერთი ჰორი ეგვიპტელთა ერთ-ერთი უმველესი დმერთია, მას გამოსახავდნენ მიმინოსთავიანი ადამიანის ან მიმინოსფრთებიანი მზიური დისკოს სახით. ჰორი მიჩნეული იყო როგორც ციურ, მზის დმერთად, დვთაებათა მეფედ, ასევე ამქვეყნიურ ხელმწიფედ, ფარაონად. ფარაონები წარმოადგენდნენ „ჰორის მსახურებს“, ეგვიპტეში მისი ხელისუფლების მემკვიდრეებს (მითოლოგიური ლექსიკონი 1991: 158,159; <http://bibliotekar.ru/100bogov/8/htm>). მისი (ფარაონის) ყველა საქციელი დვთაებრივ ქმედებად აღიქმებოდა. მას ასევე მინიჭებული ჰქონდა საკულტო ფუნქციები.

ბაბილონში მეფე დმერთ მარდუქის რჩეულად, მისგან ხელდასხმულად მიაჩნდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას უნდა ემართა „ოთხი სფერო“, ე. ი. მთელი დედამიწა (ბაბილონური მითოსის თანახმად, მარდუქი არის მთავარი დმერთი, კაცთა მოდგმის შემოქმედი ან მხსნელი, კაცთმყვარე, ვითარცა ჰარმონიული და მწყობრი სამყაროს შემქმნელი, მშვიდობიანი, მკვდრეთით აღმადგენელი (კიბნაძე: 1976:49), ბრძენი, მკურნალობის ხელოვნებისა და „წყევლის ძალის“ მფლობელი, ასევე წყლის და მცენარეთა დვთაება, დმერთთა მბრძანებელი და მამა“ (მითოლოგიური ლექსიკონი 1991: 344; <http://ulenspiegel.od.ua/?ID=4190>). ბაბილონის მეფის ხელში გაერთიანებული იყო როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ძალაუფლება. ამავე დროს, იგი ქალაქ-სახელმწიფოს უმაღლეს ქურუმს წარმოადგენდა.

მოხმობილი მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ მეფის ტიტული მის მფლობელს დმერთსა და ადამიანს შორის შუამავლად წარმოაჩენდა. მისი მოვალეობა იყო ადამიანები უზრუნველეყო მართლმსაჯულებით, გამარჯვებით და მშვიდობით, მაგრამ ასევე აუცილებელი იყო, მას ჰქონოდა დვთაებრივი მადლმოსილება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ადამიანები, ნიადაგი და ცხოველები ნაყოფიერნი უნდა ყოფილიყვნენ.

პესიოდეს გადმოცემით, თუ მეფე სამართლიანია, მისი ქვეშევრდომები უხვ მოსავალს იღებენ, ფუტკრები ბევრ თაფლს ამზადებენ, ცხვრებს ხშირი მატყლი აქვთ. არასამართლიანი, უღირსი მმართველი კი თავისი ერისათვის უბედურების, მოუსავლიანობის, ავადმყოფობებისა და კატასტროფების მიზეზი ხდება (ანალოგიური წარმოდგენა არსებობდა ჩინეთშიც) (ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია: <http://sigils.ru/symbols/zar.html>).

ამრიგად, სამეფო ხელისუფლება, როგორც ინსტიტუცია, წარმოადგენდა მითოლოგიური სისტემებისა და პოლითეისტური კულტების ერთიანობას.

მოგვიანებით, მონარქთა გაღმერთების შესახებ წარმოდგენა შეითვისეს ელინისტურმა და რომის იმპერიებმა.

მეფობა დვთისაგან კურთხეულია ბიბლიური ტრადიციით, რომელიც, ზემოაღნიშნულის ფონზე, მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. ძველსა და ახალ აღთქმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უწყებას დვთის მეუფების შესახებ. საღვთო წერილში ამქვეყნიური მეფობის თემა, ისრაელიანთა გამოცდილებიდან გამომდინარე, ვითარდება და საბოლოო ჯამში ის იქსო

ქრისტეს მეუფების განსაზღვრას ემსახურება (ბიბლიური დვოისმეტყველების ლექსიკონი 1974: 1224).

მეფის ხელისუფლებისადმი ასეთივე დამოკიდებულებაა ახალ აღთქმაში. სახარებაში მაცხოვარი ამბობს,— „მიეცით კეისრისად კეისარსა და დმრთისად დმერთსა“ (მათე 22. 21; მარკოზი 12. 17; ლუკა 20. 25) (ახალი აღთქმა 2008: 73; 145; 249). გავიხსენოთ აგრეთვე იქსო ქრისტე მიმართვა პილატესადმი,— „არა გაქუს პელმწიფებად ჩემი არცა ერთი, უკუეთუმცა არა მოცემულ იყო შენდა ზეგარდამო, ამისთვის მიმცემელსა ჩემსა შენდა უდიდესი ცოდვად აქუს“ (იოანე 19. 12) (ახალი აღთქმა 2008: 340). პეტრე მოციქული თავის ეპისტოლეში წერს,— „ყოველთა პატიგს—სცემდით, ძმათა ჰყუარობდით, დმრთისა გეშინოდენ, მეფესა პატიგს—სცემდით“ (1 პეტრე 2. 17) (ახალი აღთქმა 2008: 469). პავლე მოციქული კი აღნიშნავს,— „ყოველი სული პელმწიფებასა მას უმთავრესსა და უმორჩილენ, რამეთუ არა არს პელმწიფება, გარნა დმრთისაგან და რომელნი არიან პელმწიფებანი, დმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (რომ. 13. 1) (ახალი აღთქმა 2008: 533).

ადრექრისტიანულ	დოკუმენტებში	გადმოცემულია	სამეფო
ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება, რომელიც შემდეგ წმინდა მამათა ნაწერებსა თუ საეკლესიო კრებათა დადგენილებებით გამყარდა და დამკვიდრდა ქრისტიანულ იდეოლოგიაში. ამ დამოკიდებულების თანახმად, მეფე, იმპერატორი მიიჩნეოდა ადამიანად, რომელსაც დვოთისაგან ებოდა ხელისუფლება და რომლისადმი მორჩილება არ ნიშნავდა მის დმერთად აღიარებას (იუსტინე ფილოსოფოსი, თეოფილე ანტიოქიელი, პაპი კლიმენტი რომაელი, ტერტიულიანე (მართალია, იგი არ მიეკუთვნება ეკლესიის მამებს, მაგრამ მის ნაშრომებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიის ისტორიისათვის) (იუსტინე ასევე აღნიშნავს, რომ „ცუდი მმართველობისათვის მეფეებს ელოდებათ საშინელი სასჯელი მუდმივი ცეცხლი ჯოჯოხეთში“ (რანერი 1961; ჯავახია 2005: 51, 52, 53; ავერინცევი 1977: 116).			

IV საუკუნიდან კონსტანტინე დიდის მმართველობის, ანუ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების პერიოდიდან ჩამოყალიბდა სამეფო ხელისუფლების დვოთისაგან რჩეულობის თეორია, რასაც უკავშირდება იმპერატორის, როგორც მართლმადიდებლური სამყაროს მმართველის და რომელის (ბიზანტიის) სახელმწიფოს, როგორც ქრისტიანი ხალხის დამცველისა და მფარველის კულტის შექმნა, რომელიც იწყება IV საუკუნიდან და აპოგეას

აღწევს შემდგომ საუკუნეებში. ბიზანტიაში წარმოიშვა იმპერატორის ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ერთიანი ქრისტიანული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ბიზანტიის პოლიტიკურ დოქტრინას. ამ კონცეფციის თანახმად, დმერთი (პანტოკრატორი) იყო ყოველი არსებული წესრიგის, როგორც ზეციერის, ასევე მიწიერის შემოქმედი და თავი, იმპერატორი კი, ზეციური წესრიგის შესაბამისად, მიწიერი წესრიგის დამამყარებელი. ეს იყო დიარხიის პრინციპი, ანუ საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთიანობის იდეა (ჯავახია 2005: 55).

შეასაუკუნეობრივი ქრისტიანული იდეის თანახმად, მიუხედავად უფლისაგან ბოძებული შეუზღუდავი უფლებებისა, იმპერატორი როგორც ადამიანი ისეთივე მონა იყო დვთისა, როგორც ყველა მოკვდავი (ავერინცევი 1977: 116). მისთვის ცხადი იყო ამქვეყნიური ძალაუფლების არარაობა, და პირადი პასუხისმგებლობა დვთის წინაშე მონიჭებული უფლებებისათვის. აღნიშნული დამოკიდებულება ჩამოყალიბებულია იუსტინიანეს (527–565) წერილში ტრიბონიანესადმი, – „დვთის ნებით ვმართავთ ჩვენ სახელმწიფოს, ნებით, რომელიც გადმოგვეცა ზეციური ყოვლისმპრობელისაგან, ვუძღვებით ბრძოლებს ბედნიერად, ვამყარებთ ბრწყინვალე მშვიდობას და სამართლიანად განვაგებთ ქვეყანას, ასევე ძლიერ ავამაღლებთ ჩვენს სულს ყოვლისშემძლე უფლის შემწეობით. ჩვენი მიღწევები იარაღის, ჩვენი ჯარისკაცების, მხედართმთავრების თუ ჩვენი ნიჭის მეშვეობით მაინც დამყარებულია მხოლოდ ყოვლადწმიდა სამებაზე, რომელიც აწესრიგებს ყველაფერს მთელს სამყაროში, დედამიწის ყველა კუთხეში“ (რუნციმანი 1976: 214; ჯავახია 2005: 56).

კონსტანტინე დიდის დვაწლმა ქრისტიანთა წინაშე გარკვეულწილად განაპირობა თანამედროვეთა მიერ ხშირად ქრისტიანული დვთისმეტყველებისათვის შეუსაბამო დვთაებრივი პატივით მოხსენიება. მაგალითად, მისი საგვარეულოს სადიდებლად უმბრაში ტაძრის აგება ან იმპერატორთა წინაშე მუხლის მოდრეგა. თუმცა, ამ უკანასკნელის წარმოშობას ამბროსიუსი ასე განმარტავს, – მუხლის მოყრა ხდებოდა მაცხოვრის სამსჭვალის წინაშე, რომელიც ელენე დედოფალმა იერუსალიმიდან ჩამოიტანა და ჩასმული იყო იმპერატორის გვირგვინში (ენსლინი 1975: 67; ჯავახია 2005: 53).

ზემოთ უკვე აღნიშნა, რომ ქრისტიანული ხწავლებით კურთხეულია მეფობა, როგორც ინსტიტუცია და არა რომელიმე კონკრეტული ადამიანი (მეფე); მეფის ტიტულის ტარება კი გულისხმობს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას

დვთის წინაშე. თუმცა, მოგვიანებით, ბიზანტიაში (რომელიც ერთი მხრივ, იდეოლოგიურად ახალ იერუსალიმად ითვლებოდა, ხოლო მეორე მხრივ ცეზართა იმპერიის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენდა (კაჟდანი 1968: 103), რაც უპირველესად ადამიანთა ცნობიერებაზე აისახებოდა და, შესაბამისად, ვლინდებოდა გარკვეულ საკითხებთან დამოკიდებულებაში) მოხდა ამ სწავლების „გაუკუდმართება“. ბიზანტიის იმპერატორი მიიჩნიეს ამქვეყნიურ ღმერთად, საკრალურ ფიგურად (ავერინცევი 1977: 116; კაჟდანი 1968: 103; ლიტავრინი 1989: 29) (XVIII საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიური ტრადიციის გავლენით, ამ მოვლენამ თავი იჩინა რუსეთშიც (ჟივოვო... 1987: 76). ბიზანტიელთა წარმოდგენით, კორონაცია იმპერატორს ავტომატურად განწმენდდა ყოველგარი, მათ შორის მომაკვდინებელი ცოდვის, მკვლელობისაგან. სიწმინდეებად ითვლებოდა ვასილევსის სასახლე, ტანისამოსი.

ამგვარი ქულტი იმპერატორისა ნერგავდა იმპერიის სიდიადისა და მარადიულობის რწმენას, თუმცა, პრაქტიკაში რეპრეზენტატიული ფუნქცია მმართველს არცთუ ხშირად საზეიმო მანეკენად აქცევდა ხოლმე.

იმპერატორი არასდროს დგებოდა პირდაპირ იატაკზე, ყოველთვის იდგა შემაღლებულ ადგილზე; მას არ უნდა ემოძრავებინა ხელი, არ უნდა შერხეოდა სახის ნაკვთებიც კი. მკაცრად იყო განსაზღვრული, რომელ დღეებში უნდა გამოჩენილიყო იმპერატორი აიგანზე, როდის უნდა გაეგლო დედაქალაქის ქუჩებში (რეპრეზენტატული ფუნქციის გამო იგი ძირითადად დედაქალაქს იყო მიჯაჭვული) ან როდის უნდა დასწრებოდა დვთისმსახურებას აია სოფიას ტაძარში. იგი იყო არა მხოლოდ უმაღლესი მოსამართლე, ადმინისტრატორი და კანონმდებელი, არამედ თვით ხორცშესხმული კანონი. იმპერატორი კანონზე მაღლაც კი იდგა (კაჟდანი 1968: 86).

საქართველოში, მიუხედავად საერთო რელიგიურ-კულტურული არეალისა, ბიზანტიისაგან განსხვავებული სიტუაცია იყო. ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, მეფე ჩვენშიც დვთისაგან ხელდასხმულად ითვლებოდა, მაგრამ ის არ გაუდმერთებიათ. ქართული ისტორიული ძეგლებიდან ჩანს, რომ ჩვენში კარგად ყოფილა გააზრებული ქრისტიანული სწავლება,— „ბუნებით ღმერთობისა“ და „მადლით ღმერთობის“ შესახებ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როდესაც დავით მეფის გარდაცვალების შესახებ გვაუწყებს, აღნიშნავს,— „ეგრეთვე უამსა შინა შუენიერსა და ჯეროვანსა მოუწოდა ღმერთმან შემყუარებელსა თუსსა და მარადის მოსურნეს სამარადისოდ მეფობად წინაშე მისსა... და აღიყვანა მუნ...“

სადა თუთ იგი ბუნებით დმერთი მეუფებს მადლით დმერთქმნილთა ზედა, მას თანა მეფობად... სადა იგი აქ მპკდრ არს და იქცევის ნათელსა შინა დმრთაებისასა“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955: 362).

მეფის ხელისუფლება დფთისაგან დადგენილად რომ იყო მიჩნეული ქართულ სინამდვილეშიც, ეს არაერთხელაა ხაზგასმული როგორც პაგიოგრაფიულ, ასევე საერო ხასიათის ლიტერატურულ ძეგლებსა და, რა თქმა უნდა, ისტორიული ჟანრის მწერლობაში.

გავიხსენოთ ოუნდაც გრიგოლ ხანძთელის მიმართვა აშობ კურაპალატისადმი, – „თქუენ ხელმწიფენი უფალ გყუნა დმერთმან ქუეყანისა განიგებად“ (გიორგი მერჩულე 1982: 234) (აშობ კურაპალატი არა მეფე, არამედ ერისმთავარი, მაგრამ რაც მთავარია, ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი იყო (ჯავახიშვილი 1984: 95). მართალია, VI საუკუნის 30-იან წლებში ირანელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს, მაგრამ როდესაც იმავე საუკუნის 50-იან წლებში აღსდგა ადგილობრივი ხელისუფლება და შეიქმნა ე. წ. ერისმთავრის ინსტიტუტი, თვით ერისმთავრები თავიანთ თავს და მათი თანამედროვე ქართული საზოგადოება მათ „მეფედ“ თვლიდნენ (ჯუანშერი 1955: 222; ასურელ მოდგაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები 1955: 204, 205) (ლორთქიფანიძე 2003: 22).

მეფეს ღვთისაგან ხელდასხმულად მიიჩნევს შოთა რუსთაველიც (ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და რუსთველის ეპოქის გათვალისწინებით ეს სავსებით ბუნებრივია!) გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“  
(რუსთაველი 1987: 9).

ხელმწიფის ღვთისაგან კურთხეულობის იდეა, ბუნებრივია, აისახა თამარ მეფის ისტორიებშიც. ბასილი ეზოსმოძღვარი გვამცნობს, – „დაჯდა ნებითა დმრთისათა თამარ მეფედ. ამიერითგან ჯერ არს თამარის თქმად, გარნა

მონაცელეობა<sup>\*</sup> დმრთისა სამეფოსა და ერისათვის, რამეთუ ადიდო გონება მაღლად და მდაბლითა სულითა განიცადა სიდიდე მისდა რწმუნებულისა. მიაყვნა მყვანებელსა თჯსსა ხედვა და იწყო განგებად, ვითარ იგი მობერვიდა სული“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 117). „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი კი შენიშნავს,— „დაჯდა ნებითა დმრთისათა (თამარ) საყდართა ზეცამდი ამაღლებულთა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 30). იგივე მემატიანე თამარს იხსენიებს „დმრთივ გვირგვინოსან მეფედ“ და „მეფეთ მეფედ“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 52). ჩახრუხაძე თამარს „ზენაიო ცხებულს“ უწოდებს (ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 205).

სხვა ქრისტიან<sup>\*\*</sup> და, მათ შორის, ქართველ მეფეთა მსგავსად<sup>\*\*\*</sup> თამარიც დვოისგან ხელდასხმულად მიიჩნევს თავს. დარბაზის წინაშე იგი ასეთ სიტყვებს წარმოოქვამს, საყდარი, სამეფო ტახტი „რწმუნებულ არს ჩემდა პირველ დმრთისაგან და შემდგომად მშობელთა ჩემგან“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 47); სიკვდილის წინ კი უკანასკნელ მიმართვაში „წარჩინებულთა სამეფოსა თჯსისათა“ თამარი ამბობს,— „განგებითა დმრთისათა ვიყავ თქუენ ზედა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 145).

\*მონაცელე შემცველებს, მემკვიდრეებს ნიშნავს (სარჯველაძე 1997: 478). ქრისტიანული სწავლებით, დვოის ძეებად და, აქედან გამომდინარე, მის მემკვიდრეებად ითვლებიან წმინდანები (გალატ. 4: 7; რომ. 8: 17). თამარი მეფე—წმინდანია და, ამდენად, მის დვოის „მონაცელედ“ სახელდებას ორმაგი დატვირთვა ენიჭება (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ნაშრომის მომდევნო თავი).

\*\* ადრეშუასაუკუნეებში მეფეები წერილებსა და მიმართვებში თავიანთ თავს იხსენიებენ შემდეგი ფორმულით: „დვოის ნებით მეფე“ (Gracia Dei rex) (დე კულანუ 1916: 264–271; ჯავახია 2005: 52).

XVI საუგუნის რუსეთში, ივანე IV მრისხანეს დროს საგანგებოდ აღინიშნებოდა, რომ მისი ხელისუფლება დვოის მიერ იყო დადგენილი. ასევე დადასტურებულია ევროპული დინასტიებისათვის (ტიუდორები, პოპეულურები და სხვათა) მეფობის დვოის მიერ ბოძება (ლიტავრინი 1989: 29).

\*\*\*გიორგი II შიო მღვიმის მონასტრისადმი ნაბოქებ თავის სიგელს ასე იწყებს: „ნებითა დმრთისათა: აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომხეთა მეფისა (1088 წლის სიგელი, შიო მღვ. ისტ. საბ. გვ. 13). დავით მეფეც თავის წყალობის წიგნს ასეთივე წინადაღებით იწყებს: „ნებითა დმრთისათა: აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა (იქვე, 21) (ჯავახიშვილი 1984: 96). დავით აღმაშენებელი კი თავის ანდერძში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეფობა მას დვოისაგან „ერწმუნა“ (ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო მღვიმისადმი; ქართული სამართლის ძეგლები 1966: 12).

## გ თ ა ვ ა რ ი

მთავარი არის „კაცთა შორის უზეშთაესი... გინა საქმითა და სწავლითა უმეტესი“ (ორბელიანი 1991: 295); „სამართლის მქმნელი“ (ორბელიანი 1991: 296); „წინამძღვარი“ (ბროკაუზი...: [www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/brokgr/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/brokgr/index.php)). მემატიანეთა უწყებით, თამარი „მართლად განაგებდა“ ქვეყანას (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 60). „იყო დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშვიდობა. განეფინა მადლი ბაგეთა მისთა. ამისთვის აკურთხა იგი ღმერთმან უკუნისამდე და დაადგრა თავსა მისსა გპრგპნი პატიოსნებისა, და დასდვა წელთა მისთა მახალი ძლიერებისა და წარემართა სუფევად უკუნისამდე ჭეშმარიტებისათვის, სიმშვიდისა და სამართალსა ცხორება თამარისა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 141).

ბიბლიური ტრადიციით, მთავრებად იწოდებიან: მეფეები, ერის მმართველები, წინამძღოლები (ბიბლიური ღვთისმეტყველების ლექსიკონი 1974: 776; ბროკაუზი: [www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/brokgr/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/brokgr/index.php) ).

„მეფესთან“, „მთავართან“ დაკავშირებით, ვფიქრობთ, საგულისხმოა ასევე ერთი ფაქტი.

ნაშრომის პირველ თავში უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ თამარ მეფის გვირგვინში მოთავსებულ ძვირფას ქვათაგან ერთ—ერთი, იაკინთი მეფეთა, მთავართა და წინამძღვართა შესაბამისი თვალია. მასზე იაკობის მეოთხე ძის, იუდას სახელი იყო ამოტვიფრული. ბიბლიური გადმოცემით, სწორედ იუდას შტოდან იყვნენ: მეფეები, მთავრები, წინამძღვრები, მათ შორის ისრაელის მეფე დავითი, რომელიც ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, ბაგრატიონთა წინაპრადაა მიჩნეული.

## ს ი ტ ხ ი

სიონი წარმოდგება ებრაული სიტყვისაგან „სახელგანთქმული“ (პროკაუზი: [www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/brokg/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/brokg/index.php)). იგი ოდითგან იუდისტური საკრალური ადგილი იყო. ეს არის იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით მდგბარე მათათაგან (თუ ბორცვთაგან) ერთ-ერთი, რომლებზეც გაშენდა იერუსალიმი (სირამე 2002: 110; ბიბლიის ენციკლოპედია 1991: 655). სიონის მთაზე სატაბტო ქალაქი იერუსალიმი დავით მეფემ მას შემდეგ დააარსა, რაც დამპყრობელ იებუსიელთა ტომისაგან გაათავისუფლა (ბიბლიის ენციკლოპედია 1998: 272; პროკაუზი... 1900: 513).

წმინდა წერილში სიონი იწოდება „დავითის ქალაქად“ (II მეფ. 5. 7; III მეფ. 8. 1); „დვთის სამყოფელად“ (ფს. 77. 68ლ ის, 8. 18); „წმინდა მთად“ (ფს. 2. 6) (ბიბლიის ენციკლოპედია 1991: 655; პროკაუზი... 1900: 153).

ბიბლიის მიხედვით, „სიონში“ უმეტეს წილად იგულისხმება იერუსალიმი, როგორც პირდაპირი, ასევე აღმატებული მნიშვნელობით, რაც ლვთისაგან რჩეულობაში გამოიხატება (ფს. 2. 6; 9. 12; 83. 8; 131. 13; ის. 2. 3; რომ. 11. 26; ებრ. 12.22)

(ვიხლიანცევი:

[http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/biblical\\_dict/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/biblical_dict/index.php); ბროკაუზი:

[www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/brokg/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/brokg/index.php)).

სხვადასხვა რელიგიაში, მათ შორის, ქრისტიანობაში, მთა მიწისა და ზეცის დამაკავშირებლად ითვლება. იგი სულიერი სიმაღლის, სიწმინდის, ამაღლების სიმბოლოა (შარაბიძე 2005: 127, 137).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი, როცა თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალის შესახებ გადმოგვცემს, აღნიშნავს, გიორგი III-მ „...მეფე ყო თამარ... და დაისუა მარჯუენით მისსა მეფე და დედოფალი, შემცული და შემოსილი პირად—პირადითა ფესუედითა ოქროანითა, ბისონითა და ზეზითა, რომელსა ხადა მთად ღმრთისად, მთად პოხილად და მთად შეყოფილად“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 21). ამ შემთხვევაში, თამარზე საუბრისას, უცნობი მემატიანე ეხმიანება დავით მეფსალმუნეს, რომელიც ამბობს,— „მთავ ღმრთისავ, მთავ პოხილი... მთავ ესე, რომელი სთნდა

დმერთსა დამკადრებად მას ზედა, რამეთუ უფალმან დაიმკადროს იგი სრულიად“ (ფს. 67. 15, 16) (ფსალმუნი 2005: 107).

მთის სიმბოლოს თამარ მეფის სახესთან დაკავშირება შემთხვევითი არ არის. ისტორიკოსებსა თუ მეხოტბებებთან თამარი წარმოგვიდგება სულიერი სიმაღლითა და სიწმინდით გამორჩეულად. ეს რჩეულთა ხვედრია. თამარიც რჩეულია. ამაზე კიდევ ერთხელ მიანიშნებს ამავე იამბიკოში მისი „ისრაელ“ –ად წოდება (ამის შესახებ მოგვიანებით უფრო ვრცლად ვისაუბრებთ).

„ვინაცა სახედ მზისა შარავანდნი ცისაგან იშუქებოდეს მიწიერთა საჭურებელად, ეგრეთვე ქუეყანისაგან თამარის გველმწიფებისა შარავანდთა მათელთა ბრწყინვალებანი ეფინებიან იატაკსა ამას ზედა ცისასა“, აღნიშნავს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედოთან“ –ის ავტორი (ისტორიანი და შარავანდედოთანი 1959: 42). ბასილი ეზოსმოძღვარისა და ჩახრუხაძის თქმით, თამარი გამორჩეული იყო „შეუსწორებელი სიმაღლით“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 147), „სიმაღლით ცებრი“ (ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 189). იგივე მეხოტბე თამარის შესახებ ამბობს, ის არისო „მაღალი, დიდი, უკლები, მშვიდი“ (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 137). იოანე შავთელი თამარ მეფეს „მთას შეუძვრელს“ (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 137), „სიწმინდის გზას“ უწოდებს (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 135).

სიონი გადატანითი მნიშვნელობით მიემართება ეპლესიას, როგორც მიწიერს, ისე ზეციურს (ესაია 2. 3; ებრ. 3. 22; გამოცხად. 14. 1). „სიონი“ პერსონიფიცირებულია ქალის სახეში. ბიბლიური სახელდება „ასული სიონისი“ აღნიშნავს ქალაქ იერუსალიმს. უმეტეს შემთხვევაში კი, „ასული სიონისანი“ იერუსალიმის მდედრობითი სქესის მოსახლეობას ნიშნავს (ბიბლიის ენციკლოპედია 1990: 655).

სიონი ასევე უკავშირდება დვთისმშობლის სახეს. ესაია წინასწარმეტყველი ამბობს, – „მოვიდეს სიონით მჯხნელი და მოაქციოს უღმერთებისაგან იაკობი“ (ეს. 59. 20) (მცხეთური ხელნაწერი 1985: 146). „უკუმოუ ილმო დედაპატმან ერთსა შინა, ანუ იშვა ნათესავი ერთგზის, რამეთუ ილმო და შუნა სიონმან ყრმანი თვალისწინი“ (ეს. 66. 8) (მცხეთური ხელნაწერი 1985: 154).

ანდრია კრეტელმა თავის თხზულებაში „შობისათვის დვთისმშობლისა“ ყოვლადწმინდა დვთისმშობლის სახელად მიიჩნია ესაიას წინასწარმეტყველებაში ნახსენები სიონი. „და გამოარჩია უფალმან სიონი და სათნო ყო სამკადრებლად იგი“, რაც ფსალმუნთა სიტყვებთან შეხმიანებაცაა (ფს. 136. 3).

უფლისაგან სიონის გამორჩევა თავის სამკვიდრებლად სახისმეტყველებითად წმინდა მარიამის წიაღში იქსო ქრისტეს დავანების წინასახეა. ფსალმუნში ნათქვამიც ასეა გასააზრებელი, რადგან სიონს დედას უწოდებს ადამიანი (სულავა 2003: 56).

ნაშრომის პირველ თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი, მოგვითხრობს რა ლაშა—გიორგის შობის შესახებ, თამარ მეფეს ლვთისმშობელს ადარებს. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ეს ეპიზოდი,— „ვითარ იქმნა სარას ზე, გინა თუ რაქაელისა, ანუ თუ ელისაბედისა და უფროსდა ანნასსა და ვიკადრო მარიამისსა. მიადგა თამარ განწმენდილთა გონებითა და ტაძარი დმრთისა აღმსაჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მჯურვალითა გულითა და განათლებულთა სულითა ტაბაჭმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა დმრთისა, და უწოდა სახელი აკოვნისა მის მამისა თვისისა გიორგი და ესევითარისა მას დღეგეთილობასა შინა იხილეს ყრმა ახალი, პირველ საუკუნეთა განწესებული ძედ მეფისა, მეფედ, შვილად ცხებულისა დავითიანად“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 56, 57).

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის მოხმობილი სიტყვები, როგორც ა. ბაქრაძე აღნიშნავს, ორთოდოქსალური ქრისტიანული შეხედულებით, უსაშველო მკრეხელობაა, რადგან თამარი გათანაბრებულია ლვთისმშობელთან, ლაშა—გიორგი კი ქრისტესთან. თუმცა მემატიანის ასეთ საქციელს, მკვლევარი ქართული მესიანისტური იდეის არსებობით ხსნის (ბაქრაძე 1988: 6).

ვერ გავიზიარებთ ა. ბაქრაძის მოსაზრებას, თითქოს უცნობი ისტორიკოსი მკრეხელობას ჩადიოდეს, როცა თამარ მეფეს ლაშა—გიორგის შობისას ლვთისმშობელს ადარებს, ხოლო ლაშა—გიორგის „სწორსა ძისა დმრთისას“ უწოდებს.

საერთოდ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ზე საუბრისას საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მისი ავტორი, როგორც თხზულებიდან ჩანს, ლვთისმეტყველებაში კარგად განსწავლული ადამიანია. ამდენად, მემატიანისაგან მკრეხელური საქციელი ნაკლებად სავარაუდოდ გვეჩვენება. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ სიმბოლურ—სახისმეტყველებითი ელემენტებით ერთ—ერთი ყველაზე მდიდარი ქართული ისტორიული ძეგლია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლაშა—გიორგის შობის ეპიზოდი, ვფიქრობთ, უფრო სიმბოლურ პლანში უნდა გავიაზროთ.

წმინდა მარიამი, როგორც „სიონი“, უფლისაგან გამორჩეულია, რადგან მას უნდა დაეტია განკაცებული ძე ღვთისა. ღვთისაგან რჩეულია თამარიც, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ბაგრატიონი მეფე, დავით წინასწარმეტყველის კიდევ ერთი შთამომავლის, მომავალი ბაგრატიონი მეფის მშობელი (უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის მემკვიდრეებად ითვლებიან). დავითის წინაპარი იყო იუდა, ვისი მოდგმიდანაც წარმოდგნენ მეფეები. იუდას და, შესაბამისად, დავითის შთამომავალი იყო მარიამ ღვთისმშობელი. დავითის შტოდან იშვა ხორციელად იქსო ქრისტე, ყოველთა მეუფე, მეუფეთა მეუფე (1 ტიმ. 6. 15; გამოცხ. 17. 14) (ახალი აღთქმა 2008: 681, 762). ლაშა-გიორგიც, სწორედ ამ თვალსაზრისით, მეფობის უფლებით, ანუ სიმბოლურად, შეიძლება იწოდოს იქსო ქრისტეს „სწორად“ (და არა ბუნებით!) (ამ საკითხზე უფრო ვრცლად მომდევნო თავში ვისაუბრებთ). იგივე ითქმის ნაშრომის მეორე თავში უკვე მოხმობილ „აბდულმესიან“-ის იმ მონაკვეთზე, რომელიც ლაშა-გიორგის შობას ეხება:

„ძირით მისისა იქსესისა  
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად  
ქალწულ-წმიდისა წილხვდომილისა,  
საქართველოსა მეფედ წოდებად“ (16. 1, 2)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 122)

აქვე გავიხსენოთ თამარ მეფის მეორე იამბიკო „ქალწულებრივითა სისხლითა“, რომელიც რამდენიმე გვიანდელი ხელნაწერითაა ცნობილი.

შვიდტაეპიან, ერთ სტროფიან კლასიკური სტილით შესრულებულ იამბიკოში ასახულია ქალწული მარიამისაგან ღვთის ნებით („ზენაოსა განგებისად“) საიდუმლო შეზავებით კაცობრიობის სიცოცხლის მომნიჭებლად ძე ღვთისას ხორციელად შობა. იამბიკო სიმბოლური ხასიათისაა და მასში ხაზგასმულია, რომ როგორც ქალწულ ღვთისმშობლისაგან იქსო ქრისტეს შობა წმინდად განხორციელდა, ასევე თამარი, დავით წინასწარმეტყველის ტომისაგან წარმოშობილი, ღვთის განგებით არის გამორჩეული. ღვთისმშობელი და იქსო ქრისტე თამარისა და მისი ძის, ლაშა-გიორგის პირველსახეებად არიან წარმოდგენილნი (სულავა 2003: 445).

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულ კონტექსტშივეა განსახილველი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ის სიტყვებიც, რომლებიც თამარ მეფის დედას, ბურდუხან დედოფალს ეხება. როცა გიორგი III-ის თანამეცხედრის გარდაცვალების შესახებ გვამცნობს, თამარის პირველი მემატიანე წერს,— „და მიიცვალა დედოფალი ბურდუხან, დედა თამარისი, სწორი ძისა დმრთისა დედისა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 22). ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, ლაშა—გიორგის მსგავსად, თამარიც „სწორია ძისა დვთისა“, როგორც დვთისაგან კურთხული მეფობის მქონე, ბაგრატიონთა წარმომადგენელი, ბურდუხან დედოფალი კი დვთისმშობელს ედარება, როგორც მეფის მშობელი.

სიონი ასევე ნიშნავს მზიურს, ბრწყინვალეს, ელვარეს (ბიბლიის ენციკლოპედია 1990: 655).

(ქრისტიანულ მწერლობაში ნათელი თავდაპირველად მხოლოდ დვთის, სამების, მისი პიპოსტასების სახელი იყო, გვიან შუასაუკუნეებში ის იქცა მარიამ დვთისმშობლის ეპითეტადაც (სულავა 1983: 216).

ნათლის გამომხატველი სიმბოლოები თამარს ხშირად მიემართება როგორც ისტორიკოსთა, ასევე მეხოტებეთა თხზულებებში (ამ საკითხს უფრო ვრცლად ნაშრომის წინა თავში შევეხეთ). მემატიანები თამარ მეფეს უწოდებენ „ნათელსა და ბრწყინვალებას“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 20), „მნათობს“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 39), „მზეს მზეთა და ნათელს ნათელთა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 122); ჩახრუხაძე ასე მიმართავს თამარს,— „მზე დაუვალი, შუქ მომფინარი“ (21. 5) (ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 122), „გხმობ, თამარ მზესა, უმზესად ზესა“ (61. 1) (ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 201). იგივე მეხოტებე თამარის შესახებ ამბობს:

„ვინ ნახა სადა, ნასახად სად ა  
შენებრ ნათლეთა ბნელი მცებარე“ (29. 4)  
(ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 191)

---

„არა გაქვს ბნელი, ხარ საძებნელი  
ხვეჭით და ნდომით შენამართევად“ (39. 6)  
(ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 194)

-----

„ეთერთა მთნენი თქვენგან ნარცხვენი  
შენვე გეძებენ დონისა წვევად“ (49. 47)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 197)

ხოლო იოანე შავთელი აღნიშნავს:

„ვთქვა მე აწ ვითა, რომ იქმნეს წვითა  
მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან,  
ხედვენ მზერითა: „სწორავს მზე რითა?“  
ფიცვენ: „მიპრიდა თვისთა სხივთაგან!“ (17. 3. 4)

-----

„დოვლათ—სვიანად სუფევს მზიანად“ (18. 1)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 123)

-----

ხოტბათა ამჯერად მოხმობილ ტაეპებშიც, ნაშრომის წინა თავის  
მსგავსად, თამარი მზიური ბრწყინვალებითა და ნათელმოსილებით  
წარმოგვიდგება თუმცა, ამ შემთხვევაში ეს არ არის მხოლოდ დკოური ნათლის  
გამოხატულება, რადგან გვიანი შუასაუკუნეებიდან ნათელს დაეკისრა ასევე  
ესთეტიკური ფუნქციაც და ის ადამიანის სილამაზეს, შინაგან ბუნებას  
გამოხატავს (სულავა 1983: 219).

## Վ Ա Ր Մ Ե Ր

Վյալո շմբելյեսօ շնօվերսալյորօ և միտոլոց. ոգօ գաճմյենքօս, գաճաելյեծօս, և միտրմենս, գաճյուրնյեծօս նոմանօ (Ծրյեսօդյրօ [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/184.php); ծոծուուս յեցոյալուզյենօս 1990: 128).

Վյալո և միտոլյորագ մժյալը մատուցած է այսպիսս, բայոցոյերյեծօս շաճմիռյեծօ, յրուսթուանոծամո „Վյարո“ եւնոս և միտոլոց. ծոծուուս գաճմուցյունուս տաճամագ, այրյալսամյուսօ Վյարոյեծօ և մատուեյմո մժյալը եւուցելուս եւս զյեցյեծօնան Վարմուցյեն (Ծրյեսօդյրօ: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/184.php); յայերօ 1986: 209) (գաջուեյնու մշյալյեծրայլո և այլու „տամարուս“ յրու-յրու մենաշնյալունա „ձալմուս եյ“, րոմյալու, տագուս մերուզ, եւուցելուս եւս և միտոլոց). աղնունյունու մյուսլյա դաշյակաշմուռու հաերշեածու դա ուռանյ մաշտյալուս և մարդու:

„արև շնունդատ մոտեյ, զոտա և մատուեյ,  
Վյալագ Վյալո մրժյալո, մյենց մժոնարո“ (21. 8)  
(մշյալո յարտցյալո մյերուծյենո 1957: 189).

-----

„Վյալո մյենարո, մոմժնարո“ (24. 2)  
(մշյալո յարտցյալո մյերուծյենո 1957: 189)

-----

„ցայչե արետա Վյալո...“ (62. 3)  
(մշյալո յարտցյալո մյերուծյենո 1957: 189)

-----

„წყლად გთქვა ნილოსად, უსასეიდლოსად  
სამოთხით ჩვენდა ქანდაკებულად“ (42. 1)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 131)

-----

„გიგმობს ენა მით სწავლის ენამით  
წყლად წყაროდ, მრწყველად ბორცვთა და ველთა“ (105. 2)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 152)

იოანე შავთველი თამარს „უპვდავთა წყაროსაც“ უწოდებს (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 120).

როგორც უპვე ვნახეთ, თამარი სახელდებულია „სიონად“. სიონი, წმინდა წერილის მიხედვით, ღვთის ადგილად, ღვთის სამყოფელად ითვლება. ფსალმუნთა წიგნის თანახმად კი ღვთის სამყოფელი ყოველთვის მდიდარია წყლით. „მთად ღმრთისად, მთად შეყოფილი და მთად პოხილი. რასამე ჰგონებთ თქუენ, მთანო პოხილნო? მთად ესე რომელი სთხდა ღმერთსა დამკვიდრებად მას ზედა და რამეთუ უფალმანცა დაიმკვიდროს იგი სრულად“ (ფს. 67. 15, 16) (ფსალმუნნი 2007: 139). „პოხილი“ პოხიერს, ნაყოფიერს, ნოყიერს, წყალითა და ტენით შეზავებულს ნიშნავს (შარაბიძე 2005: 97) (67-ე ფსალმუნის მოყვანილი სიტყვები, როგორც „სიონის“ სიმბოლიკაზე საუბრისას ვნახეთ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“ – ში თამარ მეფესაც მიემართება).

„წყალი“ ასევე პატივის, ღირსების, სახელისა და ღიღების სიმბოლოა (ნოზაძე 1951: 91).

„თამარიან“ – ში თამარის შესახებ ნათქვამია:

„მეფე მთავართა, მფლობი ჯავართა,  
სოფლისა წყალთა დამაშვენალი“ (71. 9)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 203).

„სოფლისა წყალს“ „ვეფხისტყაოსანში“ როსტევანი უწოდებს თინათინს („ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო“. მოხმობილ სტრიქონებში

„სოფლის წყალი“ სოფლის, ქვეყნის დიდებასა და სახელს ნიშნავს (ნოზაძე 1951: 91).

### ჰ ა ბ უ პ ი

„ჭაბუქი“ ეწოდებ: რაინდს, მამაცს, ვაჟაცს, გმირს, მხედარს (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 625; ორბელიანი 1993: 100).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ში თამარი შედარებულია ბიბლიურ გმირ გედეონთან. გედეონის მსგავსად, რომელმაც სამასი კაცით სძლია მადიამელთა ურიცხვ ჯარს (მხჯ. 7, 6, 7, 15, 16) (მცხეთური ხელნაწერი 1981: 479, 480). თამარის მომხრეებმაც მცირე ლაშქრით დაამარცხეს მეორედ აჯანყებული გიორგი რუსი. უცნობი მემატიანე აღნიშნავს,— „სუემან და სიმართლემან თამარისმან დასცა რისხვა ღმრთისა უხილავი და ვითარცა გედეონს გასმიეს, მცირედნი მიეწივნეს და გააქცივნეს, ჩამოყარნეს და დაჭოცნეს ვინა რუსი ძლით სამე გარდაიხუეწა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 61).

ასევე საგულისმოა ერთი მომენტი. ქრისტიანულ ლიტერატურაში არის მაგალითები იმისა, რომ წმინდანებს შესწევთა ძალა ცხოველთა მრისხანე, მტაცებლური ბუნების დათრგუნვის, მათი მოთვინიერებისა. ძველ ადთქმაში გადმოცემულია, როგორ გადაურჩა უვნებლად მშიერ ლომებს მათთან ხაროში ჩაგდებული დანიელ წინასწარმეტყველი (დან. 6. 16–23) (მცხეთური ხელნაწერი 1986: 20). „ცხოვრება დირსისა მამისა შიო დიდისა, საკურცლმოქმედისა“ გვამცნობს, რომ წმინდა შიოს მოთვინიერებული მგელი სახედრებს მწყემსავდა (საქართველოს სამოთხე 1882: 238, 239).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი თამარ მეფის შესახებ ამბობს,— „იხილეთ თუ ვითარ სატურფო და ანდამატებრივი მომზიდობა აქუს მკეცთა გულებისაო“ და აქვე ასეთ ამბავს გვამცნობს,— „ოდესმე შარვანშეს ლომის ბოგუერი გამოეგზავნა, მათ გაზარდეს და ესდეგ დიდი საზარელი შეიქმნა, რომელ არცა ველური, არცა შინაურის გაზრდილი არც არვის უნახავს

მისი არაკი. რაჟამს დარბაზს მოიყვანინ, ესრე აქუნდა ტრელი სურვილი და სიყუარული თამარ ლვიზ-განათლებულისა, რომელ მრჩობლთა ჯაჭუთა მი-და-მოცალებამან კაცთა კიდებისამან ვერ დაიჭირის, ვირე თავი უბესა არა ჩაუდვის და ლოშნიდის, ვითარცა ძუელ ოდესმე მოწამეთა მეტაფრასები მოგვითხობს“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 62; ბატონიშვილი ვახუშტი 1978: 181).

đ ɔ̄ ɬ ə̄ ɬ ə̄

ქალწულებას ბევრ ძველ რელიგიაში წმინდა მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი  
მარადიულ სიჭაბუკეს, სიცოცხლისუნარიანობას, უბიწოებას გამოხატავდა,  
მაგრამ ქალწულების არსი მთელი თავისი სისავსით ყველაზე მეტად  
ქრისტიანობაში წარმოჩნდა. ეს არის დვოის ერთგულების, მისი  
სიყვარულისათვის თავის შეწირვის გამოხატულება. ამასთან, ქრისტიანული  
თვალსაზრისით, ქალწულება არ გაიგება როგორც მხოლოდ სხეულის უმანეოდ  
დაცვა. ქალწული, სიქალწულე სულიერ უმანეოებას აღნიშნავს. პავლე  
მოციქული კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეში გამოთქვამს სურვილს,  
ისინი ქრისტეს წინაშე უბიწო ქალწულებად წარადგინოს (უწმინდესი მეუფე  
ნიკოლოზი (ველემიროვიჩი) (აბზიანიძე... 2007: 92). იოანე დამასკელი თავისი  
დოგმატური ხასიათის ნაშრომში „მართლმადიდებლური სარწმუნოების  
ზედმიწევნითი გარდამოცემა“ აღნიშნავს,— „გვმართებს უბიწოება უფრო  
სულიერად აღვიქვათ, რადგან არსებობს დვოის სიყვარულისა და შიშის მიერ  
სულისეულ საშოში მუცლადღებული თესლი... ქალწულება აღორძინებს სულის  
შვილიერებას და სწირავს ღმერთს ნაყოფს ლოცვას“ (იოანე დამასკელი 2000:  
207, 208), რადგან ლოცვა ღმერთთან კავშირის, მასთან მიახლების საშუალებაა  
(ბიბლიის ენციკლოპედია 2000: 140).

თამარ მეფის დვორისმოსაობის, ლოცვისმოყვარეობის თუ ზოგადად, ქრისტიანული ცხოვრების შესახებ ისტორიკოსები ხშირად საუბრობენ. „უმანქოება უზაბუელი, სიწრფოება უსიცრუო დმრთისა და მსახურება მისი

„შეუორგულებელი“ ასეთი იყო თამარ მეფე ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 147). უცნობი მემატიანე კი გადმოგვცემს, თამარმა „ესეოდენ შეიყუარა ღმერთი იგი—უცხო ექმნა საცოურთა სოფლისათა... ისმინა კმა იგი უტყუელისა პირისა და შეიტკბო იგი, რამეთუ დამე ყოველ მღვიმარება, ლოცვა, მუკლდრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა ზედამდგომრობითა განსაკრებელ აქუნდა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 79). ლაშა—გიორგის დროინდელი მემატიანე წერს,— „იქმნა (თამარ) ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს... ღმრთისმოშიში, ტკბილი და სახიერ და თავი ყოველთა პეთილთა ღმრთისმოშიშება არს და სიმდაბლე“ (ლაშა—გიორგის დროინდელი მემატიანე 1955: 368). იოანე შავთელი კი „სჯულის ფიცარს“ უწოდებს თამარ მეფეს (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 141).

აქვე შევნიშნავთ, რომ მისტიურად ქალწულება თამარ მეფის გვირგვინის შემამკობელი ძვირფასი ქვის ზმირი/სმარაგდის ერთ—ერთი თვისებაა (ნოზაძე 1951: 84).

„ჭაბუკი“, „ქალწული“ თამარს, გარდა ზემოაღნიშნული მნიშვნელობისა, შეიძლება ეწოდებოდეს როგორც მამაკაცის უფლების მქონე ქალ—ხელმწიფეს. ამ აზრს გვიმყარებს ის გამოთქმებიც, რომლებიც თამარს მიემართება მატიანეებში. იგი იხსენიება „დედოფლალთა დედოფლად“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 26, 141), ასევე მამრობითი წოდებით — „მეფე“, „მეფეთა მეფე“ (ჟამთააღმწერელი 1959: 151, 168).\*

რუსუდანი, ლაშა—გიორგის მსგავსად, თამარის „ძე“ იწოდება (გავისსენოთ როსტევან მეფის სიტყვები, რომელთაც იგი თანათინის შესახებ წარმოთქამს,— „ასულო და ძეო ჩემო“ (შოთა რუსთველი 1987: 30)).

ზემოაღნიშნულ გარემოებას ხაზს უსვამდა ივანე ჯავახიშვილიც. მისი ოქმით, „XII საუკუნეში საქართველოში სამეფო ტახტზე აყვანილ იქნა ქალი, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე, მხოლოდ ვითარცა დედოფლალი, არამედ როგორც ქმედისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი საჭეომპყრობელი და მეფეთ—მეფე, მისი მეუღლე კი — მხოლოდ მის,

---

\*თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარის წარწერაშიც თამარი ერთდროულად იხსენიება „მეფე“ და „დედოფლად“: „ძელო ჭეშმარიტებისაო, ჯვარისა შენითა წინაძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფლალსა, თამარსა“ ([kirieeleison-best.mylivepage.ru](http://kirieeleison-best.mylivepage.ru)).

თანამეცხედრები იყო ცნობილი და ქმრობით. მას არც მეფეთ-მეფობა, არც მესაჭეობა მიჰნიჭებია (ჯავახიშვილი 1983: 141) ყველაფერი, რაც კი ხდებოდა საქართველოში, თამარის სახელით კეთდებოდა ხოლმე: „ჯარის შეყრა, ომისთვის მზადება და ლაშქრობაც კი ყოველთვის მომხდარა „ბრძანებითა თამარისთა“ (ისტრი და აზ-მნი, გვ. 380). ამდენად, დავით სოსლანი მხოლოდ ქმარი იყო მეფისა და მხოლოდ ამის გამო მეფე (ჯავახიშვილი 1983: 291).

კვიქრობთ, ის ფაქტი, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის კორნელი კეკელიძისეულ გამოცემაში, სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამოცემისაგან განსხვავებით, იამბიკოს მეორე სტრიქონში თამარი „ქალწულად“ საერთოდ არ იხსენიება და მას მხოლოდ „ჭაბუკისა სწორი“ ეწოდება, ზემოთქმულზე უნდა მიანიშნებდეს. ამაზე მიუთითებს სიტყვა „სწორიც“ (როგორც ნაშრომის მეორე თავში აღინიშნა, სწორი—სიდიდით, უფლებით, მნიშვნელობით ან სხვა თვისებით თანასწორს, თანაბარს ნიშნავს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1955: 323; სარჯველაძე 1996: 521). აქ საუბარია თამარზე, უფლებით მამაკაცის „სწორ“ (თანაბარ) მეფეზე. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ იამბიკოს მეორე სტრიქონის დასაწყისი აღნიშნულ გამოცემებში ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

## თ ბ ბ შ რ ი ს ა მ ბ ბ შ რ ი

ებგური არის მზვერავი, მცველი (აბულაძე 1973: 145). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „მაღლით მხედველი დარაჯა“ (ორბელიანი 1991: 145). თავის მხრივ „დარაჯა“ „განიყოფების ხუთად: გუშაგად, ებგურად, ტალად, კუმილად და დეტად. გუშაგი არის დარაჯა ციხეთა; ხოლო ებგური მაღლით ადგილით მოდარაჯე; ტალა არს მგზავრთა დამით მოდარაჯე; კუმილი არს მეპატრონისა კართა ლამეს არ ათევდეს ანუ ხვასტაგთა უდარაჯებდეს; დეტი არს, რომელი დღისით შორიდამ უმზერდეს და დარაჯობდეს“ (ორბელიანი 1991: 229).

თამარ მეფე იწოდება „სარწმუნოების ებგურად“ (გავიხსენოთ ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მიმართა თამარ მეფემ საეკლესიო კრებაზე მყოფ სასულიერო პირებს,— „მ წმიდანო მამანო... თქუენ სიტყვა, ხოლო მე საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო მე განსაწავლით; თქუენ წურთით, ხოლო მე განწურთით, ზოგად ჭელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, რათა არა ზოგად ვიზღუნეთ თქუენ ვითარცა მდვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 118). ეს პოზიცია, რომელიც თამარმა გამეფებისთანავე გამოხატა (ამ პერიოდში იგი უკვე ერთპიროვნული მმართველია) მთელი მისი შემდგომი მოღვაწეობის ერთ—ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. თამარი ასევე იწოდება „სწავლის ებგურად“ (ძველი ქართველი მეხოტენი 1964: 136).

XII–XIII საუკუნეებში საქართველოში განათლების მაღალი დონე იყო, რასაც ინდროინდელი სწავლა—აღზრდის სისტემა განაპირობებდა. ამ დროს სკოლები ძირითადად ეკლესია—მონასტრებთან არსებობდა (მეტრეველი 2003: 691).

დიდი ტაძრები სასულიერო კერებთან ერთად მნიშვნელოვან ქულტურულ—საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდა. ასე იყო როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ ეკლესია—მონასტრებში, სადაც ქართველი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ.

მემატიანები აღნიშნავენ, რომ თამარ მეფე დიდ უკრადღებას იჩენდა როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის სასულიერო, ქულტურულ—საგანმანათლებლო კერებისადმი, უხვ შესაწირს უგზავნიდა მათ.

## ა ღ პ რ ი პ ი ც უ მ ა

ქრისტიანულ სიმბოლიკაში კვიცი ვნებებს, სტიქიურობას, აღვირი კი თავშეკავებას, უკეთურ ვნებათა მართვას აღნიშნავს (ბიბლიის ენციკლოპედია 1990: 861; სიმბოლოთა ლექსიკონი [www.mirslovarei.com](http://www.mirslovarei.com)).

ისტორიკოსთა უწყებით, თამარ მეფემ არა მხოლოდ თავად „შეიყარა დმერთი და უცხო ექმნა საცოურთა სოფლისათა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 91), არამედ იგი „სანთელ იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელი, მეორეთა დამწელი, აღკრი იყო უწესოდ მკრთომელთა, დეზ უდებთათუს“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 149).

## თუალები

თვალი ყოვლისმომცველი ცოდნის, სულიერი ნათლის (ფს. 118. 18, 37) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 178), შეცნობის, სულიერი წვდომის, ასევე: გონიერების, სიბრძნის, სიმტკიცის, სიფხიზლის, დაცულობის სიმბოლოა (კუპერი 1986: 15; აბზიანიძე ... 2006: 266).

იოანე დამასკელის განმარტებით, თვალი ის ორგანოა, რომლითაც „შთაგვენერგება უფრო სრულყოფილი ცოდნა და გულსავსეობა“ (იოანე დამასკელი 2000: 47). დოონისე არეოპაგელის თანახმად კი, მხედველობის უნარი მოასწავებს ღვთიური ნათლისაკენ უგამჭირვალეს ზეახილვას, დმერთმთავრობისეული გამობრწყინვებების სათუთად, დაუბრკოლებლად, წმინდად, სსნილად და აღუშფოთებლად შეწყნარებას (დოონისე არეოპაგელი 1987: 266).

ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობით, ახლადგამეფებულმა თამარმა (საუბარია იმ პერიოდზე, როცა გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ თამარი მეორედ აკურთხეს მეფედ) „აღიღო გონება მაღლად და მდაბლითა სულითა და განიცადა სიდიდე საქმისა, მისდა რწმუნებულისა. მიაყვნა მყვანებელსა თუსსა ხედვა და იწყო განგებად, ვითარ იგი მობერვიდა სული“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 117). ამასვე იმეორებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი, თამარმა „აღამაღლა მაღლად გონება და მდაბლითა სულითა განიცადა სიდიდე საქმისა მისდა სუედრებულისა. მიაყვნა მყვანებელსა თუსსა ხედვა, და ვითარცა ორბმან ფრთამალმან აღიფრინვა ზე და მიმოვლნა გუგანი სახედველთანი“. იგივე ისტორიკოსი იქვე აღნიშნავს,— „ვითა უტყუელი პირი იტყვს: „ეძიებდი

სასუფეველსა დმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს“ და ამისმან მსმენელმან კეთილად გულის-ჯმისმყოფელმან აღიხილნა თუალნი მაღლისა მიმართ და ადამაღლა გონება, ყოვლად რამე ბრძენი და კეთილად ცნობა-გონიერი, რომელი ყოვლითურთ შეეყო მაღალსა მას, ყოველთა ზედა მხედველს და შემსჭვალა თუალი უმრუმოდ მხედველი, რათა მეცნიერ ყოს და მას მხოლოსა ხედვიდეს“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 28).

## 0 ს რ ა ე ლ 0

„ისრაელი“, ეს სახელი ეწოდა იაკობს მას შემდეგ, რაც უფლის ანგელოზს შეებრძოლა (დაბ. 32. 28) (ბიბლიის ენციკლოპედია 1990: 79) (ეს ბრძოლა მიჩნეულია რწმენასა და ეჭვს შორის ბრძოლად, რომელშიც მტკიცდება რწმენა და რის გარეშე რწმენა ფანატიზმად იქცეოდა (ვიხლიანცევი: [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/biblical\\_dict/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/biblical_dict/index.php)). იაკობის დმერთან შერკინებაში უფრო იგულისხმება ადამიანის ძალისხმევა დმერთან მისაახლებლად ([http://www.ortodoxy.ge/tsnobarebi/fsa/munis\\_sitkvebi.htm](http://www.ortodoxy.ge/tsnobarebi/fsa/munis_sitkvebi.htm)).

ბიბლიური სახელები სხვადასხვა ავტორთან განსხვავებული აზრობრივი დატვირთვით შეიძლება შეგვხვდეს, ანუ იმ სემანტიკური თუ ფუნქციონალური კუთხით, როგორც ეს კონკრეტული ავტორისთვისაა მნიშვნელოვანი. „ისრაელი“ სემანტიკურად ნიშნავს „დმერთი იბრძვის“, „უფალი ძლიერია“, „იგი ებრძოდა დმერთს“ (ბიბლიური დვთისმეტყველების ლექსიკონი 1974: 421), ხოლო ფუნქციონალურად „დვთის რჩეულს“, რაშიც იგულისხმება ის, რომ ისრაელმა იწილხვედრა ჭეშმარიტი დვთისმსახურება და არა ის, რომ დმერთმთავრობამ მხოლოდ იუდეველები იწილხვედრა საწინამდღვროდ (წმინდა დიონისე არეოპაგელი, ციური იერარქიის შესახებ, გვ. 248–249) (ალიბეგაშვილი 1999: 147).

რჩეულთ დმერთი შეამზადებს თავისი ნების გამოსავლენად, მაგრამ გამორჩეულობისათვის აუცილებელია მზადყოფნა, რომელიც თანდათან და მუდმივად ხორციელდება ისტორიული გზით მთელი ცხოვრების მანძილზე იმ

ადამიანთა მიერ, ვისაც წილად ხვდა გამორჩეულობა (აუკრძახი 1976: 43; გრიგოლაშვილი 2002: 86).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, „ისრაელი“ თამარ მეფეს ამ სიტყვის უფრო ფუნქციონალური მნიშვნელობით მიემართება. ამ გზით იამბიკოს ავტორი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ თამარი ღვთის რჩეულია, როგორც მეფე-წმინდანი.

δ Ο γ Ο γ 0

გოდოლი არის ამაღლებულობის, სიძლიერის, სიფხიზლის, დაცულობის  
სიმბოლო (ტრესიდერი: <http://www.gumer.info/bibliotek/Buks/Culture/JekTresidder/184.php>).

საგსებით ბუნებრივია, რომ თამარს ეწოდება „გოდოლი“ ან „მტკიცედ-მპყრობელი“ (ძველი ქართველი მეცნიერებელი 1964: 118), რადგან მისი მეფობის დროს საქართველოში მშვიდობიანობა დამყარდა. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს,

„მართალია, თამარის მმართველობის პირველ ხანაში რამდენიმე მეტად სახიფათო მოძრაობა და განდგომა იყო, მაგრამ მან თავისი წინდახედულებითა და ფრთხილი მოქმედებით განსაცდელს ყოველთვის სძლია. თამარმა შესძლო, რომ გიორგი რუსის პირველი შემოსევის უკუქცევის შემდეგ საქართველოში შინაური მდგომარეობა აღარ დარღვეულა და ყველანი ერთსულოვნად საქართველოს დიდებისა და ძლიერებისათვის იღწვოდნენ. ჩვეულებრივი უთანხმოება მეცნია და დიდგვაროვნებს შორის თითქოს მოისპო. აკი ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს თამარ მეფის განსაკუთრებულ დვაწლად აღიარებული აქვს, რომ მან „სამეფო განუხეთქელად დაიცვა, ყოველნივე შეიტკბნა და მშვიდობა ყო ყოველთათუის“ (დაფსი ქცა, გვ. 242, 18) (ჯავახიშვილი 1983: 292).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან“—ის ავტორი ამბობს, რომ თამარის მმართველობის პერიოდში „იყო სიმტკიცე ძალაშიანასა ჩუქნსა და

მშკდობა თავსა მთათასა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 129). ითანამდებობა შავთელი კი აღნიშნავს:

„ძირმტკიცედ გოდლად, ზედ კართა ზღურბლად  
ცის კამარათა სჩანხარ ზესთ მდეგად  
ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოჰსელავ,  
ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად“ (61. 1. 2)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 137).

ქრისტიანობაში „გოდოლი“ ღვთისმშობლის სიმბოლოა (სიმბოლოთა ლექსიკონი: [www.mirslovarei.com](http://www.mirslovarei.com)), სიონის მთას ნიშნავს (მიქ. 4.8) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 87). როგორც უკვე აღინიშნა, იამბიკოში თამარი „სიონად“ იწოდება.

### მ ე ნ ა ვ ე

მენავე ქვეყნის წინამდობარებელი მმართველობას უნდა უკავშირდებოდეს, რადგან ნავის ერთ-ერთი უმთავრეს სიმბოლოთაგანი—უსაფრთხოება, დაცულობაა (აბზიანიძე... 2006: 49). ნავი ასევე უკავშირდება ქალურ საწყისს, ნაყოფიერებას (ტრენიდედი:

[http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/192.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/192.php)).

ქვეყნის როგორი წინამდობლი იყო თამარი, ამაზე ყველაზე ნათლად ის მდგომარეობა მეტყველებს, რომელიც მისი მეფობისას შეიქმნა საქართველოში. ისტორიული ძეგლები გვამცნობენ,— „მეფობასა შინა ამისსა: აღავსნა ეპისკოპოსნი და საყდარნი შესაწირავითა, თავისუფალ ყვნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან, გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი, და გახელმწიფდეს დიდებულნი“ (ისტორიანი და აზმანი შრავანდედთანი 1959: 75); „უამთა მისთა არა იყო მიმდლავრებული, არცა მტაცებული, არცა მეკობრე და მპარავი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი

1959: 80); „მღდელთმოძღვართა შეიმოსეს შიში, მღდელთა დაიცვეს წესი თუ შიში, მონაზონთა მოიგეს წესიერი მოქალაქობა, მთავარნი განისწავლნეს სიწმიდით ცხოვრებად და სიმართლით სვლად“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 149); „საყდართა და მონასტერთა დალეჭასა ვერვინ იკადრებდა. ქარავანსა ვერვინ ძარცვდა ამერი და იმერი. ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით პქონდა, რომელ ერთი ქათამი არსად მოიკლვოდა: მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადგის. ოვსმან, მთიელმან და ყივჩაღმან და სუანმან ვერ იკადრონ პარვა და იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყრმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდა“ (ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიინე 1959: 369).

თამარი უხვი წყალობით ავსებდა „ყოველთა კელთა მთხოველთასა“, „განამდიდრებდა ქურივთა, ობოლთა და დავრდომილთა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 149).

„თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა  
მშიერთა პური, უსახლო სართული,  
მამა ობოლთა, მსაჯული ქურივთა  
შიშველთ სამოსლად მონიჭებული  
მოხუცებულთა, შრომით რებულთა  
სიმტკიცის კვერთხი მისაყრდნობელი“ (63. 1. 2. 3) (ძველი  
ქართველი მეხოტებენი 1964: 138), ასე მიმართავს თამარს  
იოანე შავთელი.

(„აბდულმესიან“-ის მოხმობილი ფრაგმენტი, ვფიქრობთ, ეხმიანება იოანე მინჩხის ერთ-ერთ საგალოობელს, რადგან თამარ მეფის ის თვისებები, რომელთაც ზემოთ ჩამოთვლის მეხოტებე, პიმნოგრაფის თქმით, საღვთო თვისებებია და „ნეტარი“, დმერთს შემსგავსებული ადამიანისთვისაა დამახასიათებელი:

„ნეტარ არს, რომელმან გულისჭმა-ყო  
გლახაკისა და დავრდომილისად  
უფალმან დაიცვას იგი  
და სანატრელ ყოს ქუეყანასა ზედა,

რამეთუ თუთ დმერთი არს  
 მამავ ობოლთავ და მსაჯული ქურივთავ  
 და გლახაკთა მეგობარი  
 და მჯხნელი ყოველთა დაწუნებულთავ  
 და შემწე, რომელნი ხადიან მას.“ (ხაჩიძე 2000: 248).

თამარის მეფობის ხანაში სახელმწიფო შემოსავლის (საშინაო და საგარეო) ათი პროცენტი, „ნაათალი“ გამოყეოთ „გლახაკებს“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 147). ტერმინი „გლახაკი“ V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე არსებულ ქართულ ისტორიულ, სამართლებრივ თუ ლიტერატურულ წყაროებში (ამ უკანასხნელში კი შემდგომ პერიოდშიც) ძირითადად ორი შინაარსით გვხვდება. „გლახაკნი“ ეწოდებოდათ როგორც ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებს, ასევე იმ დვთისმსახურთ, ვისთვისაც, თანახმად ქრისტიანული სწავლებისა, „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ (მათე 5. 3). მარადიული სუფევის დასამკვიდრებლად გლახაკობა, სიღატაგე ცხოვრების იდეალს წარმოადგენდა (მეტრეველი 2003: 647). იმისთვის, რომ „გალახაკებს“ კუთვნილი დახმარება „დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა“ მიეღოთ, თამარმა „განაჩინა სარწმუნონი ზედამდგომელნი“. სწორედ მათ ევალებოდათ ამ საქმის მოწესრიგება (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 147).

ისტორიული ქრონიკების მიხედვით, თამარ მეფე იმიტომ იყო გამორჩეული მმართველი, რომ „არა ვერაგობისა ლონითა აცხოვნებდა ერსა თუსსა, არამედ სიბრძნისა წინამდომითა და უმანქოებითა დავითიანითა, სიმშედითა იაკობის მსგავსითა, სიუხვითა აბრამისებრითა, მოწყალებითა იესოს დმრთისა მსგავსისა და სიმართლითა მისისა მობაძვითა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 141).

## ს ა ხ ლ ი

სახლი: დაცულობას, უსაფრთხოებას გამოხატავს (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 87). ეს სიმბოლო ძირითადად მდედრობით საწყისს უკავშირდება. წმინდა

წერილში ნათქვამია,— „დედათა ბრძენთა აღაშენებს სახლი, ხოლო, რომელი უგუნურ იქმნა, დაარღვა გელითა თჯსითა“ (იგავ. 14. 1) (მცხეთური ხელნაწერი 1983: 296).

ბიბლიური დვთისმეტყველების ლექსიკონის მიხედვით, სახლის მშენებლობა დვთაებრივი საქმეა და ამ დროს დვთის შეწევნა აუცილებელია. სახლის აგება არ ნიშნავს მხოლოდ კედლების აშენებას, კერის დაფუძნებას. ეს ასევე გულისხმობს იმას, რომ შთამომავლობას გადასცე რელიგიური სწავლება, ექმნებას სათხოებისა და ზნეობრიობის მაგალითად (ბიბლიური დვთისმეტყველების ლექსიკონი 1974: 295).

„სახლში“, თამარის სახესთან ერთად, სიმბოლურად შეიძლება მთელი ქვეყანაც მოვიაზროთ.

თამარის მეფობისას საქართველო დაცული იყო როგორც შინააშლილობის საფრთხისაგან (საუბარია XII ს-ის დაახლოებით 90-იანი წლების შემდგომ პერიოდზე), ასევე მას შესწევდა ძალა გამკლავებოდა გარეშე მტრის შემოსვევას.

თამარის მმართველობის ხანაში პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად განმტკიცდებოდა და დაცული იყო სარწმუნოება (ამის შესახებ უკვე არაერთხელ აღინიშნა).

ლოგიკური ჩანს, რომ იამბიკოში თამარს ჯერ „მენავე“ ეწოდება და შემდეგ „სახლი“, რადგან ქვეუნის აღმშენებლობა მის მმართველზე, წინამდღოლზე დიდწილად არის დამოკიდებული. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორის თანახმად, სწორედ თამარის კეთილგონივრული, დვთის სასოებაზე დამყარებული მმართველობის შედეგი იყო, რომ მისი მეფობის დროს საქართველო მიემსგავსა იმ იდეალურ, ჭეშმარიტი სიმართლის სამეფოს, რომელიც ესქატოლოგიური მომავლის, კერძოდ, სასუფევლის საბოლოო დამკვიდრების შემდეგ დაფუძნდება. უცნობი მემატიანე წერს,— „შეიქმნა მშედობა, სიხარული და ერთობა, რომელი არა ოდეს სადა ვის უხილავს და „ერთბამად ძოვდეს ლომი და ჭარი, და იხარებდეს გეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხოვართა თანა და განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ქუეყანისასა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 54, 55).

## გ ა გ ა

მამა სიმბოლოა მზის, სასულიერო და საერო ხელისუფლების, გონის, ქანონის, სინდისის (ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.info/bibliotek_Culture/JekTresidder/184.php)). მამა—ღმერთს, შემოქმედს ეწოდება. ის ყველას მამაა (მათ. 5. 45, 48; 6. 1, 4, 6, 8, 9, 14, 15, 18, 26, 32; 7. 11; 10. 20, 29; მარკ. 11. 25–26; ლუკ. 6. 36; 11. 2, 13; 12. 30–32) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 294). ეს სიმბოლო მამრობითი პრინციპს განასახიერებს, სამართლიანობისა და წესრიგის დამცველი ტრადიციული ძალის გამომხატველია (კუპერი 1986: 204).

მეფე როგორც ქვეშევრდომთათვის უმაღლესი ავტორიტეტი, მათი უფლებების, ღირსებებისა და პეთილდღეობის გარანტი „ერის მამად“ იწოდებოდა (აბზიანიძე ... 2006: 142; ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია: <http://www.sigils.ru/symbols/zar.html>).

მსგავსად „ჭაბუკისა“, თამარს ამ შემთხვევაშიც მამრობითი პრინციპის გამომხატველი სიმბოლო მიემართება. მანამდე იგი იწოდება „სახლად“. უკვე აღინიშნა, რომ ეს სიმბოლო მდედრობით საწყისს უკავშირდება. ვფიქრობთ, „ჭაბუკისა“ და „ქალწულის“ მსგავსად, აქაც საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე ეს ორი სიმბოლო ერთ მთლიანობას ქმნის, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ თამარი, მართალია ქალი, თუმცა უფლებითაც და თვისებებითაც მამაკაცის სწორი მეფეა.

## გ ა ბ 3 0 პ ტ ე ლ 0 ც ხ ვ 6 0

ცხენის სიმბოლოს მრავალი, მათ შორის ხშირად ამბივალენტური მნიშვნელობა აქვს. იგი ერთდროულად სიმბოლოა მზის, სიცოცხლის, ძალაუფლების (კუპერი 1986: 138), ასევე უდრტვინველობის, მორჩილების (წმინდა

დიონისე არეოპაგელი 1988: 274), ბუნებრივი ინსტიქტების, მთვარის, სიკვდილის (სიმბოლოთა ლექსიკონი [www.deport.ru](http://www.deport.ru); [www.nevacropol.ru](http://www.nevacropol.ru); ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/184.php)). ამასთანავე ცხენი განასახიერებს ცოდნას, სიბრძნეს, კეთილშობილებას, დიდსულოვნებას, სიმამაცეს, გამბედაობას, სილამაზეს (ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/JekTresidder/184.php); სიმბოლოთა ლექსიკონი [www.deport.ru](http://www.deport.ru); სიმბოლოთა და ნიშანთა ენციკლოპედია: <http://sigils.ru/symbols/kon.html>).

ეჭვს გარეშეა, რომ საერთო კონტექსტიდან გამომდინარე, „ცხენი“ თამარს წართქმითი მნიშვნელობით მიემართება.

რატომ უნდა ეწოდებოდეს თამარ მეფეს მაინცდამაინც „მეგვიპტელი ცხენი“?

ძველად ეგვიპტე განთქმული იყო: მეცნიერებით, სიმდიდრით, ნაულოგიერი მიწებით, ძვირფასი ქსოვილებით, ვაჭრობით და ასევე კარგი ცხენებით (ვ. მეფ. 10. 28, 29) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 126).

ისტორიკები ხშირად აღნიშნავენ, რომ „გონებითა და განზრახვითა ბრძენი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 78) თამარ მეფე „სიბრძნისა წინაძლომითა აცხოვნებდა ერსა თუსსა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 141). იოანე შავთელი თამარს „სიბრძნის ზღვას“ (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 134), „სიბრძნის უფსკრულს“ (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 136) უწოდებს.

ბრძენი მეფე ბიბლიური იდეალია. სიბრძნის მნიშვნელობა საღმრთო წერილში ამგვარადაა განსაზღვრული: „სიბრძნის დასაბამ შიში უფლისა“ (ფს. 110. 10; იგავ. 1. 7, 9, 10). ფსალმუნთა მიხედვით, ნეტარია ის, ვისაც დვთის შიში აქვს (ფს. 111. 1; 127. 10). მორწმუნეთა „შიში დვთისა“ გულისხმობს: დვთის მცნებათა დაცვას (2 სჯ. 8. 6; ეპლ. 12. 15), ცოდვათა, ბოროტებისაგან განშორებას (გამ. 20. 20; ფს. 4. 4: იგავ. 3. 7; 14. 16; 23. 17; ისუ ნავე 4. 24; იობ. 1. 8; 2. 3; 1 პეტრ. 1. 17). სამართლიანობას (გამ. 18, 21; მეფ. 23. 3) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 321 ,322).

დვთისმეტყველებაში „შიში დვთისა“ ერთ-ერთი მთავარი ზნეობრივი კატეგორიაა. ის ადამიანს ქმედებისაკენ მოუწოდებს. ვინც დმერთს აღიარებს და მისი შიში აქვს, ხედავს რა განსხვავებაა აბსოლუტსა და მას შორის. აქვდან გამომდინარე, ადამიანი ისწრაფვის სრული სიწმინდის (2 კორ. 7. 1), სრულყოფისაკენ (გრიგოლაშვილი 2002: 80).

თამარის მემატიანებსა და ხოტბებში, ისევე როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიაში აღნიშნულია, რომ მეფეთა „სიბრძნის დასაბამი“ არის „შიში უფლისა“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს: „იტყვას ხოლომონ „დასაბამად სიბრძნისა მოიგე სიბრძნეო“, ხოლო დავით, მამა დმრთისა: „დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისა“. ეს „შიში უფლისა მოიგო სიყრმითგან თჯით დავით და ჰასაკის მისსა თანა აღორძინდა“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955: 347). ამ სიტყვებით მემატიანე ხაზს უსვამს, რომ დავით აღმაშენებელი თავისი წინაპრის, დავით წინასწარმეტყველის დირსეული შთამომავალი და მეფობის ბიბლიური იდეალის განმახორციელებელია.

თამარის შესახებ ბასილი ეზოსმოძვარი წერს, რომ მისი „სიბრძნის დასაბამი“ იყო „შიში უფლისა“ (ბასილი ეზოსმოძვარი 1959: 140). მეხოტბეთა მიხედვითაც, თამარი „უკლები ესე არს გულსა მთესე, შიშისა დმრთისა დაუკიწყებად“ (97. 7) (ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 121); „აქვს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით „სიბრძნის დასაბამ შიში უფლისა“ (12. 1) (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 121).

ზემოთქმულთან დაკავშირებით საგულისხმოა აგრეთვე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის სიტყვებიც, რომ „უშიშობა დმრთისა და გარდამავლობით მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათასა... ცუდს იქმს ყოველთა სიკეთეთა და სწავლულებათა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 18).

მატიანების გადმოცემით, თამარი დიდსულოვანი და კეთილშობილი პოლიტიკოსი იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან „ესრეთ სამეფო გარეშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმდლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჯი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჯსად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა და ამის მოწამე არს სახლი შარგანშეთი და დარუბანდელთა, ღუნდთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან „უზრუნველობასა“ (ბასილი ეზოსმოძვარი 1959: 147).

მართალია, თამარი XII საუკუნისათვის აღმოსავლეთის საქრისტიანოს უძლიერესი ქვეყნის „მძლევთა მძლეველი, თვით უძლეველ“ (ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 189; ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 120) მმართველს

წარმოადგენდა, მაგრამ უპირველესად ის იყო ქალი „დაბნელებამდის სატრფო საჭვრები“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედოანი 1959: 120). „ისტორიანი და აზმანი შარავანდედოან“—ის ავტორისვე გადმოცემით, თამარის „შუენებითა მით აფროდიტიანითა“ და „სახებრწყინვალეობით“ მოხიბლული და მასზე გამიჯნურებული არაერთი რაინდი „გახელდა“ და „მგეცებრ ველადაც კი გაიჭრა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედოანი 1959: 36, 40); მეხოტბენი წერენ:

„ი ცის კარებით იცისკარებით  
შენთა ბროლ—ვარდთა ზრო ნაფუნჩევად  
ნაყბიერ პირსა, მზე დანამჭვირსა,  
შვენის ნარგისთა განაცისკრევად.“ (48. 41, 42)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 361)

-----

„უკლებლად სათნი გცისკრობენ დაწვნი,  
გტურფობს მოხედვა, ბროლ—ვარდობს ყელი“ (62. 2)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 201)

-----

„ვარდთა გიდარნე ნაშვენებანი“ (89. 5)

-----

„წამწამთა ხრანი, გისკენც ქმენ ცხრანი  
ცხრა ათას ექმნეს ნატირებანი“ (89. 9)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 209)

-----

„სახედ ელვისა! სახედველისა

მჭვრეტთა ვერ უძლეს განცდად სხივისა.  
 მო, ე კალმითა! მოეკალ მითა,  
 რომ უქმად სდევით ხატვად სახისა.  
 მიხოვის წამალნი, სჯობს, რომ წამ ალნი,  
 თვარ იქმნეთ თვისთვის მზახნი ახისა.  
 მან იოსებსა—არ ი ოსებსა! —  
 სიტურფე ართო, თვით მსგავსი მის-ა.“ (48. 1–4)

---

„ალვის ხე—ტანი, მსგავსად შემტანი.  
 აქვს კოწოლთ დაყრით კვიპაროზისა.  
 დასწვავს სრულობით ჯავარ—სრულობით  
 მზეთა, საკმილად ეშეი უგზისა.“ (49. 1, 2)  
 (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 133)

---

„ტურფად შვენება, გამოჩვენება  
 თქვენი დააჭნობს ყოველთ ყვავილსა“ (105. 1)  
 (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 151) და ა. შ

### ლაზარე

ლაზარე ბერძნული ფორმაა ებრაული სახელისა „ელიაზარი“ („ღმერთი შეეწია“). სახარებაში ორი ლაზარე იხსენიება, ლაზარე „ოთხი დღის ადამიანი“ (მართასა და მარიამის ძმა, რომელიც იქსო ქრისტემ აღადგინა ბეთანიაში ოთხი დღის მკვდარი (იოანე 11. 1–5). ეს სასწაული იყო წინასწარმოსწავება მაცხოვრის

ვნებისა და აღდგომისა) და ლაზარე უპოვარი (მდიდრისა და ლაზარეს იგავის პერსონაჟი (ლუკა 16. 19–31). ეს იგავი გვამცნობს მართალთა და ცოდვილთა ხვედრის შესახებ იმქვეყნიურ ცხოვრებაში (ბიბლიის ენციკლოპედია 1990: 421; ავერინცევი 2001: 115).

ვფიქრობთ, თამარის „ლაზარედ“ წოდება ორგვარად შეიძლება გავიაზროთ. ერთი მხრივ ეს უნდა უკავშირდებოდეს ამ სახელის მნიშვნელობას „ღმერთი შეეწია“, მეორე მხრივ კი, „ოთხი დღის ადამიანის“, მართასა და მარიამის მმის, ლაზარს სახეს (ამ საკითხს მოგვიანებით, ნაშრომის მომდევნო თავში დავუბრუნდებით).

## ძ უ დ 0

ქუდი უძველესი დროიდან სიმბოლურად მეფეთა, ხელისუფალთა, სასულიერო პირთა მაღლობისა და ძლიერების ნიშანია (ნოზაძე 1951:79). იგი ძალაუფლების, სიძლიერის, სიბრძნის (ტრესიდერი: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Culture/JekTresidder/184.php](http://www.gumer.info/bibliotek_Culture/JekTresidder/184.php); სიმბოლოთა ლექსიკონი [www.mirslovarei.com](http://www.mirslovarei.com)), პატივის, განსაკუთრებით, დირსების სიმბოლოა (კუპერი 1986: 84; ნოზაძე 1951: 79).

„ქუდი“ იამბიკოს ბოლო სიტყვაა, პირველი კი არის „მეფე“. ეს ორი სიტყვა სიმბოლური მნიშვნელობით ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს. მეფობა, ხელდასხმულობა, რჩეულობის მძიმე ტვირთის დირსეულად ტარებას ნიშნავს, „არა არს ჭელმწიფება, გარნა ღმრთისაგან, ვითარცა იტყვს პავლე მოციქული“ (რომ. 13. 1), ხოლო არა თქუა ვითარმე არა არს ჭელმწიფე, არამედ ჭელმწიფება, ხოლო უბუეთუ ჭელმწიფე უმსჯავრო, უსამართლო იყოს, არა ღმრთისა მიერ არს, არამედ თავისა თჯსისა დასასჯელად აღდგების“, ასე განმარტავს პავლე მოციქულის სიტყვებს იოანე ოქროპირი (ჯავახია 2005: 55).

ამრიგად, ღვთისაგან კურთხეულია ზოგადად ხელმწიფობა, ხოლო რომელიმე კონკრეტული მეფე რამდენად გაამართლებს ღვთის რჩეულობას,

რამდენად დაიმსახურებს ამ პატივს, ეს უკვე მასზე, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზეა დამოკიდებული. თამარის მემატიანეები და მეხოტბეები სწორედ იმის ჩვენებას ისახავენ მიზნად, რომ თამარი ქვეყნის კარგი მმართველი, მართლაც „დგთივგვირგვინოსანი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 52) მეფე იყო. ჩვენი აზრით, ამასვე ცდილობს იამბიკოს ავტორი სიმბოლოთა მეშვეობით.

განხილული იამბიკოს თითოეული სიმბოლოს შინა-არსის „ამოკითხვაშ“ დაგვანახა, რომ აქ სახე-სიმბოლოებით, სხვადასხვა ასპექტით წარმოჩენილია და ამავე დროს შეფასებულიცაა თამარ მეფის ცხოვრება—მოღვაწეობა. ისტორიულ ძეგლთა სტილისათვის საკმაოდ უჩვეულო და ორიგინალური ფორმით, კიდევ ერთხელაა ხაზგასმული, რომ თამარი იყო „დგთისაგან გურთხეული“, „სიმართლის მქმნები“, „წინამდღვარი“ („მეფე“, „მთავარი“), სულიერი სიმაღლით გამორჩეული, ბაგრატიონი მეფე („სიონი“), თავისი სამეფოს დირსების და დიდების სიმბოლო („წყარონი“), უფლებით მამაკაცის თანაბარი ხელმწიფე, ქრისტიანობის დამცველი და განმამტკიცებელი; დგთისმოსავი, „სწავლის ებგური“, წყალობაუხვი მეფე („ჭაბუკი“, „ქალწული“, „ებგური საებგურო“), თავად „სოფლის საცოტოთაგან უცხოქმნილი“, „უგუნურთა განმანათლებელი და დამწევლი აღჭრი უწესოდ მკრთომელთა“ („აღჭრი კიცუთა“), გონიერებით, სიფხიზლით, ხასიათის სიმტკიცით გამორჩეული მმართველი („თუალნი“), თავისი მეფობით, ცხოვრების წესით მან გაამართლა დგთისაგან რჩეულობის პატივი („ისრაელი“), ბრძენმა მეფემ „სამეფო განუხეთქელად დაიცვა... მშვდობა ყო ყოველთათუის“, ის ქვეშევრდომთა კეთილდღეობის, დაცულობის გარანტს წარმოადგენდა („გოდოლი“, „მენავე“, „სახლი“, მამა“), ბრძენი, კეთილშობილი, დიდსულოვანი მეფე-ქალი გარეგნული მშვენიერებითაც გამოირჩოდა („მეგვიპტელი ცხენი“), „დმერთი შეეწია“ მას, მეფობის მმიმე ტვირთი დირსეულად ეტარებინა („ლაზარე“, „ქუდი“).

ქვეყნისთვის განსაკუთრებული დგაწლი, ქრისტიანული ცხოვრების წესი გახდა საფუძველი თამარის წმინდანად შერაცხვისა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, იამბიკოში ნაჩვენებია თამარის წმინდანად გახდომის პროცესი; გზა მეფობიდან წმინდანობისაკენ. ალბათ, სწორედ ამიტომ არის ეს ლექსი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ბოლოს დართული. მართალია, მისი ავტორის ვინაობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იამბიკო არსით შეესაბამება თამარის პირველი ისტორიის საერთო იდეურ

კონტექსტს. ჩვენი აზრით, ამიტომაც შეუტანია უცნობ მემატიანებს იგი თავის თხოვლებაში.

თამარ მევე „სამეგისაგან ოთხად თანააღზევებული.“

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი თავისი თხზულების შესავალ ნაწილს შემდეგი სიტყვებით ასრულებს: „ლუკა აღმავლობასა სიტყვისასა იქმს, „სეიოის, ადამისა და ღმრთისა“, მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ჭელმწიფეთა შორის, რომლისა სახე და სახელი თჯსსა ადგილსა სიტყუამან საცნაურ ჰყოს“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 3); მოგვიანებით მემატიანე წერს,— „თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამთაგანი, აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული...“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 25). ჩახრუხაძე ამბობს:

„გულო, აბა მო, დაუსაბამო,  
თამარ ვთქუა ნათლად დასაბამისად,  
მზეებრ სავანე, სულის სავანე,  
თან გამწყოდ ძისად, სწორად მამისად“ (74. 1, 2)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 204).

თამარის მისამართით ნათქვამ მსგავს ფრაზებს კვლავ ვხვდებით ისტორიკოსებსა და მეხოტბენებთან. თუმცა მოხმობილი ციტატები იმ კუთხითაა უფრო მნიშვნელოვანი, რომ ძირითადად მათზე დაყრდნობით გავრცელდა ქართულ მეცნიერებაში მოსაზრება, თამარ მეფის გადმერთების .ქრისტიანული სამების მეოთხე წევრად გამოცხადებაზე. ამ საკითხს არაერთი მეცნიერი შეახო.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, „საქართველოს მეფის გამგეობა ღვთისმიერი გამგეობა იყო... საქართველოს მეფის პიროვნებას ღვთაებრივი ბუნების პატრონად, თვით ღვთაებადაც კი აღიარებდნენ. მწიგნობართ-უხუცესი და ვაზირთა-უპირველესი ანტონ ჭყონდიდელი ამბობს: „ღვთის სწორსა მეფეთა-მეფესა თამარს“ შევეხვეწერ. საქართველოს მეფე „ღვთის სწორი“ „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“ იყო, როგორც თამარ მეფის პირველი

ისტორიკოსი ამბობს, ე. ი. სამებასთან მეოთხე სახედ აღზევებულად იწოდება. ამავე ავტორის სიტყვით: „ერთი სამებისაგანი“ აქა კულა სამებისა თანა იხილვების თამარ, მისწორებული და აღმატებული“. განთქმული მეხოტბე ჩახრუხაძეც ამბობდა: მინდა „დაუსაბამო თამარ ვსოდვა ნათლად და ძედ მისად, მზებრ საგანე, სულის საგანე, თანგამწყო ძისა, სწორად მამისად“. ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრებმა გააღმეროეს და მის უფლებას ზეციური უცოდველობის თვისება მიანიჭეს“ (ჯავახიშვილი 1984: 96, 98).

სიმონ ყაუხეხიშვილი იზიარებს ივანე ჯავახიშვილის შეხედულებას იმის შესახებ, რომ უცნობი მემატიანის მიერ თამარ მეფე სამების მეოთხე წევრად არის გამოცხადებული. „ქართლის ცხოვრების“ II ტომის შესავალში, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ის განხილვისას, იგი შენიშნავს: „თამარ მეფე განსაკუთრებით არის შემქული ეპითეტებით. იგი სამგზის სანატრელი და სამების მეოთხე წევრი (3. 1; 25. 22), ნათელი და ბრწყინვალება მშობელთა თუალთა, გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა (20. 13), მზეთა-მზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებული (103. 11). „ისტორია და აზმათა“ ავტორს ხიბლავს თამარის მაღალი ზნეობრივი თვისებები და იქამდე აღტაცებულია მისი სახებით, რომ ავიწყდება მაშინდელი დოგმები და მზად არის თამარის პიროვნება ჩაურთოს ქრისტიანულ სამებაში. ორჯერ პათეტიკურად ამბობს თამარი იმის ლირსია, რომ წმინდა სამებაში მეოთხე წევრი იყოს“ (ქართლის ცხოვრება 1959: 015).

კორნელი კეკელიძე მიიჩნევს, რომ „თამარის პირველი ისტორიკოსი განიცდის ოდების უცილობელ გავლენას, ის აღფრთოვანებული კილო, რომლითაც მემატიანე აგვიწერს თამარს და მის საქმიანობას, თამარის პიროვნების ის იდეალიზაცია, რომელსაც მატიანეში ვხვდებით, გადმოტანილია ამ ოდებიდან.“

„შავთელისა და ჩახრუხაძის მსოფლმხედველობა ერთი და იგივეა. ქართული სახელმწიფოებრიობის ღვთაებრივი წარმომავლობა, ძველი და ახალი აღთქმის ისტორიის მესიანიზმი, რომელსაც მიზნად ჰქონია თამარის ბრწყინვალე ეპოქის მომზადება, ეთეროვანი დედოფლის გაღმერთება და სხვა ამგვარი“. მეცნიერის აზრით, ისტორიკოსის ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“, „სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ“

შედგენილია ხოტბათა ზეგავლენით (კეკელიძე 1981: 231, 246, 272; კეკელიძე 1962: 223).

პავლე ინგოროვა „ვეფხისტყაოსნ“-ის ბოლოთქმაზე მსჯელობისას აღნიშნავს, „რუსთაველი „ვეფხისტყაოსნს“ ამთავრებს ბოლოთქმით, რომელიც შეიცავს თამარის აპოთეოზს, წარმოგვიდგენს მას, როგორც დვთაების ნათელ სახეს. სიტყვები: „ქართველთა ღმრთისა თამარის, ვის მზე მსახურებს მარებლად“, მეცნიერის შეხედულებით, „შესაძლოა, მხოლოდ თამარს გულისხმობდეს, რადგან მხოლოდ თამარს (და არა დავითს) მიემართება „ღმერთის სახელწოდება“ („სამებისა თანა ოთხად თანააღზევებული“) თამარის ეპოქის საისტორიო ძეგლში „ისტორია-აზმანი შარავანდედთანი“ და არაერთგზის“ (ინგოროვა 1978: 185).

ილია ანთელავას მოსაზრებით, საქართველოს მეფეების „დვთისწორობის“ ფორმულა დაკავშირებულია ბიზანტიურ იზოთეოსთან. „ბიზანტიის იმპერატორები (ვასილევსები) იწოდებიან წმინდად, ღვთაებად, ღვთისშვილად. ამ ტიტულებთან და ეპითეტებთან პირდაპირ კავშირშია სათანადო ქართული ფორმულები: „მზე იგი მზეთა“, „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“, „ავლუსტიანოსი“ (ანთელავა 2002: 9).

როინ მეტრეველი მონოგრაფიაში „მეფე თამარი“ ერთგან წერს, – „მემატიანებმა გულუხვი ეპითეტებით შეამკეს თამარ მეფე, „სამგზის სანატრელი“ და „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“, სხვაგან კი შენიშნავს: „ქართველმა ხალხმა თავისი სათაყვანებელი მეფე-ქალი წმინდანად შერაცხა და სამების მეოთხე წევრად აღიარა“ (მეტრეველი 2003: 724, 742).

ჯემალ სტეფნაძე XII–XIII საუკუნეების მიჯნის ქართულ ისტორიოგრაფიასა და პოეზიაში, კულტურისა და აზროვნების დონის საკითხებზე მსჯელობისას, ხაზს უსვამს, რომ „ბასილი ეზოსმოძვარი და უცნობი ისტორიკოსი თამარს ღმერთის სწორ არსებად მიიჩნევენ. იგი გააღმერთეს. თამარი ღვთის მსგავსად შეცდომას არ უშევებს“ (სტეფნაძე 1986: 26, 28).

აკაკი ბაქრაძის თქმით, – „თამარი ბოლომდე დარჩება შარავანდედით მოსილი, მაგრამ არავინ გაიხსენებს, რომ იგი სამების მეოთხე წევრია, ასეთი მკრებელობის გაბედვა უკვე აღარ ძალუბთ“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მემატიანის სიტყვები „აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“, ისევე როგორც „ისტორიანი და აზმანი

შარავანდედთან“—ის ჩვენს მიერ წინა თავში განხილული მონაკვეთი, სადაც საუბარია ლაშა—გიორგის შობაზე, ანუ „მიუდგა თამარ განწმენდილითა გონებითა და ტაძრისა დმრთისა აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მხეურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა, ტაბაჯმელისა ბეთლემ—მყოფელმან, მუნ შვა ძე, სწორი ძისა დმრთისა“, „ორთოდოქსული ქრისტიანული შეხედულებით, უსაშველო მკრეხელობაა, მაგრამ, რატომდაც ავტორს ამის არ ეშინია და აშკარად ამბობს იმას, რაც მართლმორწმუნე ქრისტიანმა ფიქრადაც არ უნდა გაივლოს“.

სამების მეოთხე წევრად თამარის გამოცხადება და ჩვილი ლაშა—გიორგის იესო ქრისტესთან მისწორება, აკაკი ბაქრაძის აზრით, „ნაწილია ქართული მესიანისტური იდეისა. ეს იდეა ყოველ ერში არსებობს და ის ერის თვითგანმტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს.“

მესიანისტური იდეა ქართველ ერს სჭირდებოდა ერთი მხრივ ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური ოგრესიისაგან დასაცავად და მეორე მხრივ, სომხეური ეკლესიის იდეოლოგიური პრეტენზიის შესაკავებლად, სჭირდებოდა ასევე კავკასიაში პეგემონობის განსამტკიცებლად“ (ბაქრაძე 1983: 17, 6).

ვახტანგ როდონაია მიიჩნევს, რომ „კლასიკური ხანა ეს ის დროა, როცა ჩვენში მყარად იკიდებს ფეხს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც საქართველოს განსაკუთრებული მისი აკისრია: მან საქრისტიანო უნდა იხსნას“.

ამ კონტექსტში განიხილავს იგი მემატიანის სიტყვებს,— „თამარი, სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, „სამების თანა იხილვების ოთხებად“ და დასძენს, „როგორც ვხედავთ, მამა, ძე და სულიწმიდა მეოთხე წევრს შეიძენს მეფე—ქალს. ეს “მეოთხე პიპოსტასი“ იმჟამინდელი აზროვნების ერთ—ერთი განმსაზღვრელი ხდება. ცხადია, თამარის მეხოტბე თუ ისტორიკოსი მას გვერდს ვერ აუვლიან“ (როდონაია 1988: 437).

რევაზ თვარაძე, XII საუკუნის ლიტერატურაზე საუბრისას, შენიშნავს, „თამარის ლგოაებრიობა სახოტბო ეპითეტი კი არ არის, არამედ სრულიად გარკვევით ითქმის, რომ თამარი არისო „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“, „სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატგბული“. ამა თუ იმ ხელმწიფის დვთის სწორად გამოცხადების, თვით გადმერთების შემთხვევები საკმარისად არის ცნობილი“, —წერს მეცნიერი, მაგრამ მას მიაჩნია, რომ „ისტორიკოსის მოხმობილი ფრაზები ქრისტიანული რელიგიის უპირველესი დოგმატის, სამების ხელყოფა და მეტისმეტი კადნიერებაა“ თავად კი „ამ ფაქტის

ასე თუ ისე დამაჯერებლად ახსნა არ ძალუქს“ (თვარაძე 2001: 151, 152). მოგვიანებით იგი აღნიშნავს, – „თამარის ისტორიკოსები მის შესახებ ამბობდნენ, რომ ის არის „მზე მზეთა, ნათელი ნათელთა, ტარიგი უმანკო, მსგავსი ქრისტესი“ და სამებისაგან თანააღზევებული. თამარს დვოაებად სახავენ აგრეთვე ჩახრუხაძე და შავთელი, სახავენ კაცთა მოდგმის მხსნელ მესიად, რომელმაც შემუსრა მუსლიმები და აღაზევა ქრისტიანობა, და რომელსაც მსოფლიო ერნი ადიდებენ“. რევაზ თვარაძე ფიქრობს, რომ ეს არის პოეტური ფორმით შემოსილი მესიანისტური კონცეფცია, რომელიც XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგიის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. იგი არ იზიარებს ქართულ ლიტერატურათმცოდნებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თამარის გაღმერთება უპავშირდება ადამიანის განღმრთობის (თეოზისი) რელიგიურ-ფილოსოფიურ იდეას (თვარაძე 2001: 180).

ზვიად გამსახურდია გამოთქვამს ვარაუდს, რომ XII საუკუნის საქართველოში არსებობდა ფარული საღვთისმეტყველო მოძღვრება, რომლის მიხედვითაც თამარ მეფე იყო ინკარნაცია დვთის ერთ-ერთი ჰიპოსტასისა („ისტორიანი და აზმანი“, ბასილი ეზოსმოძღვარი „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი“, მეხოტებები და სხვ). თამარის რელიგიური კულტი გადავიდა მითოლოგიასა და ფოლკლორში (გამსახურდია 1991: 117, 118).

ზემოთქმული, მისი აზრით, განსაკუთრებით „თამარიან“-სა და „ვეფხისტყაოსან“-ში გამოვლინდა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ თამარი რუსთველისა და ჩახრუხაძის მიერ აღიარებულია სულიწმიდად, დვთის სულიწმიდისეული ასპექტის, პარაკლეტის ინკარნაციად და რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის ალეგორიული პოემა სულიწმიდა თამარის და მის მიერ კაცობრიობის ხსნის შესახებ, ხოლო „თამარიანი“ უშეალოდ, ალეგორიის გარეშე ეხება ამ თემას (გამსახურდია 1991: 118).

ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ თამარის სულიწმიდის ინკარნაციად აღიარება ეყრდნობა გრიგოლ ნოსელისეულ მოძღვრებას სულიწმიდისეული ჰიპოსტასის მდედრობით ბუნებაზე, აგრეთვე ადრექტისტიანულ მოძღვრებებს სულიწმიდისა და საღვთო სოფიას (სიბრძნის) არსზე, სულიწმიდისა და დვთისმშობლის იდენტიფიკაციაზე.

მკვლევრის თქმით, ამას ყველაფერს ასევე საფუძვლად უდევს იოანეს სახარების წინასწარმეტყველება სულიწმიდა პარაკლეტის, ანუ ნუგეშინისმცემელის შესახებ, რომელიც უნდა მოვიდეს ქრისტეს შემდეგ და

ადასრულოს მისი საქმე ამ ქვეყანაზე კაცობრიობის დამოძღვრით, სრულქმნითა და სანქტიფიკაციით. ამას თავად მაცხოვარი ეუბნება თავის მოწაფეებს,— „არამედ მე ჭეშმარიტსა გეტჟ თქუენ: უმჯობეს არს თქუენდა, რამთა მე წარვიდგ; უპუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის—მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა; უპუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვს და სიმართლისათვს და სასჯელისათვს... ხოლო მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდით მე; ხოლო სასჯელისათვს, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისად დასჯილ არს. ფრიადდა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღარა ძალგიც ტვირთვად. ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისათ, გიძლოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა: რამეთუ არა იტყოდის თავით თუსით, არამედ რაოდენნი—რავ ესმეს, იტყოდის და მომავალი იგი გითხრას თქუენ. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ. ყოველი, რაოდენი აქუს მამასა, ჩემი არს; და ამისთვის გარქუ თქუენ, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქუენ“ (იოანე 16: 7–15).

ზვიად გამსახურდიას შეხედულებით, თამარის „სულის სავანედ“ „თანგამწყოდ ძისა, სწორად მამისად“ მოხსენიებით, ჩახუსაძე მას ღვთის მესამე ჰიპოსტასად წარმოგვიდგენს, რადგან „თანგამწყოდ ძისა, სწორად მამისა“ ეს სიტყვები მხოლოდ სულიწმიდაზე შეიძლება ითქვას (გამსახურდია 1991: 129, 130).

იგი ასევე ეთანხმება ნიკო მარის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „აბდულმესიანში“ დავით აღმაშენებელი შექებულია, როგორც მონა ღვთისა, ხოლო თამარი, როგორც თვით ღმერთი, რომელიც:

„მამის ძედ არი  
სამგზის ნეტარი  
მეტროე საქმეთა სახელისათა“

(გამსახურდია 1991: 127, 128).

მეცნიერი მიიჩნევს, რომ „თამარიანი“ და ვეფხისტყაოსანი“, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ბიბლიური შესაქმის, ცოდვით დაცემისა და გამოსყიდვის კონცეფციას, რომლის მიხედვითაც კაცობრიობამ ცოდვით დაცემის შემდეგ დაკარგა საზეო ცხოვრება, სამოთხე (სამოთხის ცნობიერება). ძის განკაცების შემდეგ განკაცდა სულიწმიდა თამარ მეფის სახით (რომელიც არის იგივე სოფია, ანუ საღვთო სიბრძე), რათა ადასრულოს მესის ახალი ადოქმა, ე. ი.

დაკარგული სამოთხის კვლავ მოპოვება, რაც იესიან–დავითიან–ბაგრატოვანთა, თამარსა და საქართველოს სამეფოს მისიაა ერთდროულად“ (გამსახურდია 1991: 128).

ივანე ლოლაშვილი ძველ ქართველ მეხოტეთა (ჩახრუხაძე, იოანე შავთელი) თხზულებების შესახებ თავის გამოკვლევაში აღნიშნავს, – „მემატიანები თამარს გვისახვენ დვთაებრივ მეფედ, ქრისტესებრ მოვლენილ მხენელად. „აზმათა“ ავტორი მას ამკობს დვთაების შესაფერი ეპითეტებით: „ცხებული ღმრთისა“ (გვ. 32), „სამგზის სანატრელი“ (გვ. 34), „სუსაგან უძლეველი“ (გვ. 38), „ღმრთივგაბრგვნოსანი“ (გვ. 52), „ღმრთივ–დამყარებული“ (გვ. 60), „ღმრთივგანათლებული“ (გვ. 62), „გელმწიფე სეფ–სრული და ღმრთივ–აღმობრწყინვებული“ (გვ. 64), „ღმრთისაგან ღმერთ–ქმნილი“ (გვ. 63), „ღმრთივ–დაცული“ (გვ. 112), „პატრონი ღმრთივ–შემოსილი“ (გვ. 50), „ქრისტეშემოსილი გელმწიფე“ (გვ. 53); ერთ ადგილას კი შენიშნავს: „ის იხილვებოდა ღმრთისაგან ღმერთ–ქმნილად, შორის ღმერთთა განმკითხველად, ღმრთისა სახეობად“ (გვ. 64). ჩახრუხაძის თქმითაც, თამარი არის „ნათელი დასაბამისა“, „თან–გამწყო ძისა, სწორი მამისა“ (XII, 1–2), „ზენათ ცხებული“ (XIII, 8), „ღმრთის სახიერი“ (XVIII, 43), სულიერი არსება, რომელიც ზეცაშია ასული „შემწედ მესიის აღნათქვამისად“ (XII, 12) და სხვა. ასევე შავთელის ქების ობიექტი ქალი სამოთხიდან დვთის მიერ მოვლენილი მეფეა; ის მის მიერ შობილი დვთიური არსებაა ისევე, როგორც ძე–ღმერთი. პოეტი წერს, თამარი:

„მამის ძედ არის  
სამგზის ნეტარი  
მეტროე საქმეთა სახელისათა“ (47, 2)

---

„უფლადცა მხედი ნივთთა ყოვლისა“ (71, 4)

---

„სულისა ქნარი, ღმრთის მხედველობა“ (99, 4)

-----  
 ციერთ „უმაღლე“ (45, 3)

-----

„ცის კამარათა... ზესთ მდგგი“ (61, 1)

(ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 74, 75)

„თამარის „სამების მეოთხე ჰიპოსტაზე“ საუბრისას, რევაზ სირაძე განსაკუთრებით გამოყოფს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ს. იგი უურადღებას ამახვილებს თამარის პირველი მემატიანის ცნობილ სიტყვებზე: „მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ხელმწიფეთა შორის“; „თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამებისაგან“, აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ მისწორებული და აღმატებული“.

„ესე იგი თამარი მამა ლმერთის, ძისა და სული წმიდის გვერდით დასახულია ახალ, მეოთხე წევრად, ერთ-ერთ ოთხთაგან. ის არა მხოლოდ სამების სწორად, არამედ მასზე აღმატებულადაც კი ცხადდება. თუმცა დაზუსტებული არაა, თუ რა სახით შეემატა თამარი სამებას, როგორი წევრია იგი ამ ოთხებისა. საჭიროა გაირკვეს რა საფუძველზე შეიძლებოდა მისულიყო ქართული აზროვნება ასეთ მოსაზრებამდე“, აღნიშნავს მეცნიერი (სირაძე 1978: 167).

მისი შეხედულებით, თამარის მეოთხე ჰიპოსტასობის შესახებ თეორია, იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შესატყვის იდეოლოგიად უნდა მივიჩნიოთ. თამარის მმართველობის პერიოდში საქართველო აერთიანებდა ამიერკავკასიის ყველა უმთავრეს სახელმწიფოს და ხალხებს. „მართალია, მათ მეთაურობდა საქართველო და ქართველთა სამეფო კარი, მაგრამ იდეოლოგიურ-პოლიტიკური მოსაზრებით, ცდილობდნენ ეს მომენტი არ არ ყოფილიყო წინ წამოწეული. იდეოლოგია მოითხოვდა იმასაც, რომ

დასაბუთებულიყო თამარის უფლება: იგი აღმატებული ყოფილიყო შველა ქვეშევრდომ მეფეზე. თამარის ქვეშევრდომი მეფენი, ბუნებრივად სარგებლობდნენ მეფეთა დვოთაებრიობის იდეით, ამიტომ თამარი, ვითარცა მეფეთ-მეფე, უნდა წარმოსახულიყო ყოველივეზე ზეაღმატებული დვოთაებრიობით“ (სირაძე 1978: 168).

მეოთხე პიპოსტასობის იდეას რევაზ სირაძე ასევე განიხილავს მეფის დვოთაებრიობის შესახებ თეორიებთან მიმართებით. იგი წერს, „მეფის დვოთაებრიობის იდეა სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაში სხვადასხვაგვარად გაიაზრებოდა: 1) მეფეს ძალაუფლებას დმერთი ანიჭებს; 2) მეფე დმერთის შთამომავალია; 3) მეფე დმერთს ემსახურება; 4) მეფე დმერთის სწორია, მაგრამ სრულიად განსაკუთრებული და ყველა ამ თეორიაზე აღმატებული იდეაა მეფე მეოთხე პიპოსტაზი“.

მეცნიერი შენიშნავს, „მეოთხე პიპოსტაზობა არის „თეოზისი“, ანუ განლმრთობა. მეოთხე პიპოსტაზობით მეფის განლმრთობა ითვალისწინებდა საერთოდ ადამიანის განლმრთობას, თანაც არა მხოლოდ სასულიერო გზებით.

ადამიანის ცხოვრებაში, თვით მის ყოფაში დვოთაებრიობის დანახვა ქართული რენესანსული პუმანიზმის ერთ-ერთი ძირითადი მსოფლმხედველობრივი ტენდენცია“ (სირაძე 1978: 171, 172).

„ქართველ ავტორებს სურდათ არა ტრილოგიის დარღვევა, არამედ თამარის ზედმიწევნით დაახლოება სამებასთან. თამარი მეოთხე პიპოსტასად გამოცხადებულია არა მისი დმერთობის, არამედ მისი ადამიანური სრულყოფილების საფუძველზე. მისი დვოთაებრიობა მის განსაკუთრებულ ადამიანობას გამოხატავს და არა „მდაბალ დმერთობას“, ე. ი. თამარის დვოთაებრიობა ასე თუ ისე ყველა ადამიანში დვოთაებრიობის გამოვლენის შესაძლებლობას სახავდა. ადამიანის დვოთაებრიობა ესთეტიკურ ამაღლებას ნიშნავდა“.

რევაზ სირაძე დასძენს, „მეოთხე პიპოსტაზობა არ გამხდარა არც დოგმატური დებულება, არც ფილოსოფიური პრობლემა. ეს იყო გარკვეული ფილსოფიური შინაარსით გაშუალებული პოეტური ნააზრევი“ (სირაძე 1978: 186, 187). „თამარს წარმოადგენდნენ არა ისე, როგორც იყო, არამედ ისე, როგორც უნდა ყოფილიყო, ხოლო როგორი უნდა ყოფილიყო თამარი, როგორც ზოგადი სახე – იდეა, ზოგადი პერსონაჟი, ამას განსაზღვრავდა ადამიანის რენესანსული იდეალი“ (სირაძე 2000: 303).

მარიამ კარბელაშვილი XII საუკუნის პოლიტიკური აზროვნების ისტორიაზე, მის თეოლოგიურ-ფილოსოფიურ საფუძველზე საუბრისას აღნიშავს, რომ ამ პერიოდის „უკანასკნელ ათწლეულებში შემუშავებული მეფის დვოისწორობის თეორია განსაკუთრებული რელიგიურობით თამარის ისტორიკოსთა, უფრო კონკრეტულად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორისა და მეხოტებეთა თხზულებებში გამოვლინდა. „თამარის პირველ ისტორიკოსთან არაერთხელ შევხვდებით თამარის იზოთვის ამსახველ ტროპიკას: „...მეცა ესრეთ ვიწყო ამის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროვან იქმნა ჭელმწიფეთა შორის“; „...აქა პულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“ და სხვ. მკვლევარი თვლის, რომ ამ და მრავალ ამგვარ მეტაფორა-ეპითეტში ბაგრატიონთა იესიან-დავითიან-სოლომონიანი დინასტიის „ერთუფლება-ერთმთავრობის პროვიდენციალური მისის რწმენაა გამოხატული, რომლის საბოლოო მიზანი და შედეგი მარადიული, სამართლიანი და ბედნიერი სამეფოს იდეალია (ეს. 11)“ (კარბელაშვილი 2000: 155).

სხვა ნაშრომში მარიამ კარბელაშვილი იზიარებს ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის შეხედულებას თამარის გადმერთების, მისი სამების მეოთხე წევრად აღიარების შესახებ (კარბელაშვილი 2000: 129).

იგი მიიჩნევს, რომ „არავითარი ისტორიულ-ფაქტობრივი და მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია იმ აზრის დამკვიდრების ცდას, თითქოს „აზმათა“ ავტორს თამარი სამების მეოთხე წევრად არ დაესახოს და მისი სიტყვები: „სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ“, თურმე იმას კი არ ნიშნავს, რომ თამარი არის „სამების მეოთხე წევრი“, არამედ ისე უნდა გავიგოთ, რომ თამარი „სამოთხეში იხილვების“. ისტორიულ ტექსტთა მიმართ ამგვარ მიდგომას მკვლევარი უკიდურესად ტენდენციურად და „სწავლულ კაცთა კომისიის“ ტენდენციათა ანალოგიურად თვლის.

„გახტანგ მეექენის „სწავლულ კაცთა კომისიის“ ხელში თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებას საფუძვლიანი რევიზია და კორექტირება, სრულიად მიზანმიმართული „ემენდაცია“ განუცდია იმ თვალსაზრისით, რომ მეფის დვოისწორობის შემცველი ზემოთ მოხმობილი ცნობილი ფრაზები ტექსტიდან მთლიანად ამოღებულია და შეცვლილია ნეიტრალური განსაზღვრებებით“. მაგრამ სამი საუკუნის შემდეგ, დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, თამარის ეპოქაში შექმნილი დვოისწორობის თეორიის უარყოფა მარიამ კარბელაშვილს სრულიად

გაუგებრად მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, ორი დიდი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის დასკვნები იმის შესახებ, რომ თამარი „დგთაებრივი ბუნების პატრონად“, სამების მეოთხე წევრადაა აღიარებული, ეპოქის ისტორიული და მხატვრული ძეგლების შესწავლის საფუძველზე ობიექტურადაა გამოტანილი და ათწლეულთა მანძილზე დაუჭვება არ გამოუწვევია“ (კარბელაშვილი 2000: 155).

თამარ მეფის სამების მეოთხე წევრად გამოცხადებას უცილობელ ფაქტად მიიჩნევს ნინო ჩაკუნაშვილიც. თავის ნაშრომში „ქალი შუასაუკუნეების დასავლურ და ქართულ ლიტერატურაში“ იგი წერს,— „თამარის მეფობის დროს იგი სამების მეოთხე პიპოსტასად შერაცხეს“ ([http://www.lib.ge/body\\_text.php?4962](http://www.lib.ge/body_text.php?4962)). საბუთარ წიგნში „ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“ ამასვე იმურებს ჯაბა სამუშია (სამუშია 1999: 191).

სხვადასხვა ქვეყნის და მათ შორის საქართველოში სამეფო დინასტიების დგთაებრივ წარმომავლობაზე საუბრისას თეიმურაზ გვანცელაძე აღნიშნავს, რომ „ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის პირდაპირ დინასტიურ კავშირს დავით და სოლომონ წინასწარმეტყველებთან, იქსო ქრისტესთან, ხაზი გაესმოდა ტრადიციული ფორმულით „დავითიან—იესეან—სოლომონიანი“, ხოლო თამარ მეფე დგთაების მეოთხე პიპოსტასადაც კი ითვლებოდა“ (გვანცელაძე 1997: 33).

გოჩა კუჭუხიძე წერილში „არის თუ არა თამარი მეოთხე პიპოსტასი“ ცდილობს წარმოაჩინოს რა თეოლოგიურ საფუძვლებს ეყრდნობიან თამარ მეფის ისტორიკოსები და მეხოტებები, როცა თამარს ისეთი სიტყვებით აქებენ, რომელნიც მხოლოდ დმერთს შეიძლება მიემართებოდეს. იგი ასევე ცდილობს გაარკვიოს საერთოდ არის თუ არა თამარ მეფესთან დაკავშირებით ნათქვამი რამე განსაკუთრებული, ისეთი, რაც სხვა ქრისტიანთა მიმართ არ შეიძლებოდა თქმულიყო.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მკვლევარი ყურადღებას ძირითადად ამახვილებს თამარის მემატიანეთა რამდენიმე გამონათქვამსა და ჩახრუხაძის ასევე რამდენიმე სტროფზე, კერძოდ: თამარი „სამგზის სანატრელი“, „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, „სამებისა თანა იხილვების ოთხებად... მისწორებული და აღმატებული (ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი), „პირი ამისი პირველივე იქო დავითის მიერ“ (ბასილი ეზოსმოძვარი „ცხოვრება მეფეთ—მეფისა თამარისი“ (კუჭუხიძე 2001: 103)).

„გულო, აბა მო, დაუსაბამო,  
თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად,  
მზეებრ სავანე, სულის სავანე  
თან გამწყოდ ძისად, სწორად მამისად“  
(ჩახრუხაძე, „თამარიანი“, 74. 1, 2)

---

„გიწოდა შენ თვის, როკვიდა შენთვის  
პირველ დავით განცხადებულად“ („თამარიანი“, 80, 3)

---

„მოსეს ფიცარსა, მთას ნაფიცარსა,  
ეწერნეს თქვენი ძლევა გებულად“ („თამარიანი“, 87, 3)

„ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად“, შენიშნავს გოჩა კუჭუხიძე,  
„ყოველ ქრისტიან ადამიანზე, რომელიც პეთილ საქმეთა ქმნის წყალობით  
სულიერად განწმენდილია და ამაღლებულია, სულიწმიდა ისევე არის  
გადმოსული, როგორც მოციქულებზე გადმოვიდა ის უფლის ამაღლებიდან  
ორმოცდამეათე დღეს. სულიწმინდა არის დავანებული ყველა დიდ ქრისტიანთან.  
სულიწმიდა სამების ჰიპოსტასია. მასთან ერთად ყოველთვის სუფევს მამა  
და ძე“ (კუჭუხიძე 2001: 104).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკვლევარი ასკვნის, რომ ისტორიკოსებსა  
და ჩახუხაძესთან თამარი განლმრთობის გზაზე დამდგარ, ზე ამაღლებულ  
ადამიანად არის წარმოჩენილი, რომელზეც სულიწმიდა არის მოციქულებსაგით  
გადმოსული, ე. ი. მასთან სამება სუფევს და ის სამებისა „თანა“ მეოთხედ  
იხილვების, თანააღზევებულია სამების მიერ და მასთან ერთად მოჩანს, როგორც  
მეოთხე. ამავე თვალსაზრისით ეწოდება თამარს „მზეებრ სავანე, სულის სავანე“,  
რაღაც მასში დავანებულია სულიწმიდა, ძისა და მამის თანაარსი.

გოჩა კუჭუხიძის მოსაზრებით, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თამარ  
მეფესთან დაკავშირებით ისეთი სიტყვებია ნახმარი, რომლებიც მხოლოდ

დმერთს მიემართება. თამარი ის ადამიანია, ვისზეც სულიშმიდა არის გადმოსული და ამდენად, მის მიმართ არაფერი ისეთი არ არის ნათქვამი, რაც ნებისმიერი დიდი ქრისტიანის შესახებ არ შეიძლებოდა თქმულიყო (კუჭუხიძე 2001: 104, 105).

ლია წერეთელი სტატიაში „სამთა ყრმათა ბაბილონს“ აღნიშნავს, რომ თამარ მეფის „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ გამოცხადება ათეისტური თეორია, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში წიგნიდან წიგნში, გამოკვლევიდან გამოკვლევაში, წერილიდან წერილში, სტატიიდან სტატიაში უცვლელად გადადის (წერეთელი 2006: 338) (ამ შეხედულებას ჩვენც ვიზიარებთ).

მკვლევარი თამარის პირველი მემატიანის მიერ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ში ნაგულვები კონტექსტის წაკითხვას, საღვთისმეტყველო აზროვნების და სახისმეტყველების გათვალისწინებით გვთავაზობს.

ლია წერეთელი ვრცლად მსჯელობს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან—“ის ცნობილ მონაკვეთზე: „ამიერიდან ვიწყო წყობად, ბრძოლად გონებისად მიმზიდავმან და მკუეთებელმან მსგავსად ქვისა და რკინისამან აღმოვშობო ცეცხლი საყუარულისა და ქებისა და სურვილისა აღვატყინო და აღვამაღლო საჭმილი ცამდინ. მუნ შიგან აღმოვაჩინო ეთერიცა ცეცხლისა და ქუჯანა ცეცხლთაგან მლეველი ურჩთა და ცეცხლებრ ღონე და მოგმარებული მეგობართა და მოყუარეთა, თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამებისაგანი, აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“.

ნაბუქოდონოსორის მიერ „სამთა ყრმათა ბაბილონს“ ცეცხლის სახმილში ჩაყრის, მისი ხილვისა და დანიელის წიგნის ამ ეპიზოდთან მემატიანის თხრობის სახისმეტყველური ანალოგიის განხილვის შემდეგ მკვლევარი საინტერესო შეხედულებას გამოთქვამს (წერეთელი 2006: 338).

მისი მოსაზრებით, ისტორიკოსის სიტყვების,— „ამიერითგან ვიწყო წყობად, ბრძოლად გონებისად მიმზიდავმან და მკუეთებელმან მსგავსად ქვისა და რკინისამან აღმოვშობო ცეცხლი სიყვარულისა და ქებისა და და სურვილისა აღვატკინო და აღვამაღლო სახმილი ცამდინ. მუნ ურჩთა და ცეცხლებრ ღონე და მოხმარებული მეგობართა და მოყუარეთა.

თუ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამებისაგან, აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“. კონტექსტი არ გულისხმობს თამარის სამების

„მეოთხე“ ჰიპოსტასად გამოცხადებას. აქ განსაზღვრულია ნაბუქოდონოსორის ხილვის რეალობა. თუ ნაბუქოდონოსორმა „სამ ყრმასთან“ „ოთხებად“ (ანუ მეოთხედ) იხილა ერთი „სამებისაგან“ მაცხოვარი, მე დმერთი, „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, მემატიანის მიერ „ქებით“ აღგზნებულ ცეცხლში „იხილვების სამებისა თანა“ („სამ ყრმასთან“ ერთად გრძნობად, მატერიალურ, ამქვეყნიურ მყოფობაში) „ოთხებად“ დავთივსულიერი თამარ. ნაბუქოდონოსორის ხილვაში „სამ ყრმას“ „ერთი სამებისაგან“ (მეოთხე) მაცხოვარი მფარველობს და იხილვება, ხოლო აქ „სამ ყრმას“, ანუ ამქვეყნიურ მყოფობას მფარველობს და იხილვება „მეოთხე“ თამარი, „მისწორებული და აღმატებული“, „სამ ყრმასთან“ მიმართებაში. ეს „მეოთხე“ არის არა ადამიანი, არამედ დავთიური წარმომავლობის, ანგელოზებრივი „ოთხთა ნივთაგან“ აგებულ ადამიანზე აღმატებული („მისწორებული და აღმატებული“ ნიშნავს ადამიანის „სწორის“, მსგავსს, მისნაირს, მაგრამ მასზე „აღმატებული“, „მისწორებული“ „სამ ყრმასთან“ ერთად ხილვაში, ამქვეყნიური თვალით და „აღმატებული სულიერი საზრისით, დავთიური წარმომავლობით)“.

უცნობი ისტორიკოსი, წერს ლია წერეთელი, „ამ ურთიერთდაპირისპირებულობას თავად განსაზღვრავს იმ „სამ ყრმას“ მაცხოვარი მფარველობს, ხოლო აქ „სამ ყრმას“ ადამიანურ საცხოვრისს, მთლიანად რწმენით განსაზღვრულ საქართველოს (ამის სიმბოლოა „სამი ყრმა“) თამარი, ბაგრატიონი მეფე, შთამომავლობით მაცხოვრის მონათესავე გვარის წარმომადგენელი „დავთისა სწორი“ (წერეთელი 2006: 343).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასეთი სურათი იკვეთება. მოხმობილ მეცნიერთა უმეტესობა თამარის დავთაებად, „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ გამოცხადებას უცილობელ ფაქტად მიიჩნევს, ზოგიერთი კი არ იზიარებს ამ შეხედულებას. თუმცა თითქმის ყველა ცდილობს მემატიანეთა (განსაკუთრებით უცნობი ისტორიკოსის) და მეხოტებეთა სიტყვებს ახსნა მოუძებნოს.

მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ თამარის გაღმერთების საფუძველი სახელმწიფოებრივი ან მეფის მომხრეთა იდეოლოგია, ან სულაც ქართული მესიანისტური იდეის არსებობაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის და ხელმწიფის ძლიერების აღმატებულად წარმოჩენას ისახავდა მიზნად. სხვათა მოსაზრებით, თამარის „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ დასახვა ადამიანის განლგმრობის (თეოზისის) ზოგადი იდეით შეიძლება აიხსნას. არსებობს თვალსაზრისი, რომ

თამარი სულიშმიდის ინკარნაციად იყო მიჩნეული. ასევე გამოთქმულია შეხედულებები, რომელთა მიხედვით, ერთი მხრივ, თამართან, როგორც დიდ ქრისტიანთან სულიშმიდა სუფევს, მეორე მხრივ კი, იგი (თამარი), როგორც ბაგრატიონი მეფე, შთამომავლობით მაცხოვრის მონათესავე გვარის წარმომადგენელი, „ლვთის სწორი“ უფლისაგან საქართველოს მფარველად მოგვევლინა.

რამდენიმე მეცნიერის მსგავსად ჩვენც ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თამარ მეფე მისი პირველი მემატიანის და მეხოტბების მიერ „სამების მეოთხე პიპოსტასად“, „ბუნებით ღმერთად“ არის გამოცხადებული. ამ საკითხებზე საუბრისას, გვიქრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მეხოტბეთა და ისტორიკოსთა, განსაკუთრებით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორის (ისევე როგორც ზოგადად სხვა ქართველ მემატიანეთა, მაგ., ჯუანშერის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის) დრმა თეოლოგიური, ასევე სახისმეტყველებითი ცოდნა; აგრეთვე შევნიშნავთ, რომ ზემოხსენებულ თხზულებებში გარკვეულ შემთხვევებში სიტყვებიც ბევრად მეტს გამოხატავს, ვიდრე მათი ლექსიკური მნიშვნელობა გულისხმობს. შეიძლება ითქვას, ისინი არა უბრალოდ, არამედ ისეთი სიტყვებია, რომლებიც ტერმინის მნიშვნელობას იძენს. ტერმინი, — ეს ისეთი მონაცემია, რომელიც მსოფლმხედველობრივ წვდომასთანაა დაკავშირებული.

აღნიშნულის გათვალისწინება, ჩვენი აზრით, დაგვეხმარება თამარის პირველი ისტორიკოსის და მეხოტბეთა ცნობილი ფრაზების უკვეთ გაგებასა და გააზრებაში.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი წერს,— თამარი „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 3), „სამებისა თანა ოთხებად იხილვების ..., მისწორებული და აღმატებული“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 25).

„თანააღზევება“ ძველ ქართულ ენაში გნებითი გგარის მიმღეობაა და მდგომარეობით ამაღლებულს ნიშნავს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950: 754). ამ სიტყვის პირველი ნაწილი თან(ა), საზოგადოდ, როგორიც ფუძეების პირველი ნაწილია და ადნიშნავს ვინმესთან ან რამესთან ყოფნას (მისდამი ყოფნას (იოან. 1. 4) (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1986: 237; ორბელიანი 1991: 299), ხოლო გან („სამებისაგან“) თანდებულია, მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას და წინამავალ სახელთან ერთად პასუხობს კითხვას

ვისგან? რისგან? (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950: 954). აქედან გამომდინარე, ფრაზა თამარი „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“ სიტყვასიტყვით ასე შეიძლება გავიგოთ, თამარი სამების მიერ მისდამი „ოთხად“ არის მდგომარეობით ამაღლებული.

ახლა რაც შეეხება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ჩვენს მიერ მოხმობილ მეორე ფრაზას: „სამებისა თანა ოთხებად იხილვების (თამარ) მისწორებული და აღმატებული“.

„მისწორებული“ მსგავსებას, მიმსგავსებას ნიშნავს (აბულაძე 1973: 250, 408). „აღმატებული“ კი „ამაღლებულს“ (აბულაძე 1973: 408). ამ შემთხვევაშიც საუბარია იმაზე, რომ თამარი სამებასთან „ოთხებად“ იხილვება, (მასთან) მიმსგავსებული და ამაღლებული.

ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, „მსგავსება“ და „ხატება“ ეს ის თვისებებია, რომელიც ღმერთმა ადამიანს პირველშესაქმეშივე მიჰმადლა. „შესაქმის“ წიგნი გადმოგვცემს,— „და თქვა ღმერთმან: კქმნეთ კაცი ხატისებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ“ (დაბ. 1. 26) (მცხეთური ხელნაწერი 1981: 49).

ადამიანი დასაბამშივე ღვთის (ყოვლადწმინდა სამების) ბუნებისადმი ხატქმნილი იყო და არა მხოლოდ თავისუფალი ნებით, მოაზროვნეობით, მეუფებრივობით (რაც ხატებრივ თვისებად მიიჩნევა), არამედ სათნოებითი ღირსებებითაც: სიკეთით, სამართლიანობით, სიწმინდით, სიმდაბლით, უხრწელობით (რაც მსგავსებისეულ თვისებებად ითვლება). ყოველივე ეს ადამიანს ანიჭებდა მაღლმოსილებას, ნეტარებას, ღიდებულებას და მას, უცოდველს, წარმოაჩენდა მამისეულ მხარეში დამკვიდრებულ საყვარელ ძე, ღვთის ძეობილად, რომელიც თავის თავში გამომხატველი იყო ძე ღმერთის ბუნებითი ძეობისა (იოანე ოქროპირი) (ჭელიძე 2001: 94).

ცოდვით დაცემის შემდეგ „ხატება“ წარუხოცელად დარჩა ადამიანში, ხოლო მსგავსებისებრობა (ძეობილობა) სრულყოფილების შესაბამისად მოსაპოვებელი გახდა. ძე ღმერთის განკაცებამ ადამიანებს კვლავ გაუხსნა გზა იმ თავდაპირველი მსგავსებისაკენ (ჭელიძე 2001: 107), ძეობილობისაკენ, რაც უცოდველ ადამიანს ჰქონდა თავის პირველქმნილებაში და რაც ცოდვამ გააუკუდმართა (იოანე დამასკელი) (ჭელიძე 2001: 107).

მსგავსების მოპოვების აუცილებლობაზე ყველა ღვთისმეტყველი აწმუნ დროში საუბრობს, რაც კაცობრიობის დაცემულ ცოდვის შემდგომ პერიოდს გულისხმობს (მართლმადიდებლური თეოლოგიის თანახმად, კაცობრიობის

ისტორია სამ ეპოქად იყოფა: „უცოდველი, ცოდვის შემდგომი (დაცემული) და კვლავ უცოდველობაში აღდგინებული). ეს ნიშნავს იმას, რომ ხატისებრობის თვისებები: თავისუფალი ნება, მოაზროვნეობა ადამიანში ცოდვის შემდგომ მდგომარეობაშიც შენარჩუნებულია, რაც განწმენდადი და აღდგინებადია ნათლისდების მადლით. სათნოებებში სრულყოფა კი საღვთო ნათლისდებასთან ერთად აუცილებელი პირადი ძალისხმევით მოიპოვება, რაც არის სწორედ მსგავსებისებრობა (წმ. დიადიქოს ფოტიკელი) (ჭელიძე 2001: 111).

„ყველა ადამიანი გონიერია და ყველა ადამიანში არის ხატება დვთისა, ხოლო მსგავსებას მხოლოდ ის აღწევს, ვინც არის კეთილი და ბრძენი“, – ამბობს მაქსიმე აღმსარებელი (დვთისმეტყველება 2002: 347).

თავის ნაშრომში, „დოგმატური დვთისმეტყველება“ ვლადიმერ ლოსკიც აღნიშნავს, – „ადამიანის შექმნა მის ხატად არის დვთის ნება, ხოლო მსგავსების მოპოვება კი დვთის ნებასთან ერთად ადამიანის ძალისხმევაზეა დამოკიდებული“ (ლოსკი [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dogmatika/Lossk/\\_02.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dogmatika/Lossk/_02.php)).

უპირველესად, წმინდანნი არიან ის ადამიანები, რომელნიც მთლიანად შეუდგებიან და შეემეცნებიან დმერთს, თავიანთი ცხოვრების წესის, სათნოებებში სრულყოფის კვალობაზე უფალი „აძლევს მათ შვილად გახდომის უფლებამოსილებას“ (იოან. 1. 12). ისინი ადარ არიან მონები არამედ ძეები, ხოლო თუ ძეები არიან, არიან მემკვიდრეები დვთისა (გალატ. 4. 7; რომ. 8. 17) (იოანე დამასკელი 2000: 184).

არსებობს თვისებრივად ორი ძეობა: 1) ბუნებითი, არსობრივი, შეუქმნელი და დაუსაბამო ძეობა, რაც აქვს მეორე პიპოსტასს მამალმერთისადმი და 2) მადლისმიერი, შექმნილობითი ძეობა დვთისადმი, რაც ადამიანის თვისებაა.

პირველ შემთხვევაში, ბუნებითი ძეობა სწორედ პირდაპირი გაგებით ითქმის, მეორე შემთხვევაში კი ადამიანი პირდაპირი მნიშვნელობით კი არ არის ძე დვთისა, არამედ „შვილებულია“, „ძედდადებულია“, „ძეობილია“, მადლისმიერი ძეა („ძეობილია“, ეს ტერმინი ეკუთვნის არსენ იყალთოვლს) ანუ თავდაპირველად ადამიანი შეიქმნა ძეობილად, მადლისმიერ ძედ დვთისა. ძეობილობის პატივი მან გააუკუდმართა მცნების დარღვევით. მაცხოვარმა თავისი განკაცებით კვლავ აღადგინა ადამიანი თავდაპირველი ძეობილობის პატივში (ჭელიძე 2001: 67, 68).

ძეობილობა მწვერვალია დვთისადმი მსგავსებისა (ჭელიძე 2001: 118) „რამეთუ არა ფრიად დააკლდა ანგელოზთაგან კაცი და რამეთუ ძალ-უც

დმრთისაცა მსგავსებად და რომელი-ფრიად „უაღრეს, მადლით შვილ მისსა უოფად“ (მოსაპატიული წმიდისა და დიდებულისა მოციქულისა ქრისტესისა და მახარობელისა იოვანე დმრთისმეტყველისავ (ძველი მეტაფრასული კრებულები 1986: 427).

იესო ქრისტე სახარებაში ეუბნება მოციქულებს „თქვენ მეგობრები ხართ ჩემი. ადარ გიწოდებთ ოქვენ მონებს, რადგან მონამ არ იცის რას აკეთებს მისი ბატონი“ (იოანე 15. 14). ოუკი ყოველთა შემოქმედი და უფალი „მეუფეთა მეუფედ“, „უფალთა უფლად“ და „ღმერთთა ღმერთად“ ითქმის, ეს ნიშნავს, რომ წმინდანი, ვინც იქცევა ვნებათა მეუფედ და გაუკუდმერთების გარეშე საღვთო ხატის დამცველად ხდება მადლით ღმერთი, მადლით და არა ბუნებით“ (იოანე დამასკელი 2000: 184).

„ღმერთმა შექმნა ადამიანი თავისუფალი და პასუხისმგებელი, რათა ის მოწოდებული ყოფილიყო ესწრაფა უმაღლესი ჯილდოს, განდმრთობისაკენ, ანუ იმისთვის, რომ ადამიანს მადლით მიეღო ის, რაც ღმერთია თავისი ბუნებით.

ადამიანი წარმოადგენს ქმნილებათა აპოგეას, რადგან მას შეუძლია თავისი თავისუფალი არჩევანის საფუძველზე გახდეს მადლით ღმერთი“, – წერს ვლადიმერ ლოსკიც (ლოსკი

[http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dogmatika/Losk/\\_02.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dogmatika/Losk/_02.php).

ქრისტიანული სწავლება ადამიანის მადლით ღმერთობის შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული ბიზანტიურ ლიტერატურაში. ეს მოძღვრება აისახა კეკამენის „რჩევებსა და მოთხოვებები“. შივ იგი წერს, – „მე ვთვლი, რომ ნებისმიერი ადამიანი: ვასილევსი, არქონტი, ოუ, ის, ვინც თავისით მოიპოვებს „არსობის“ პურს, – ყველა ერთი ადამიანის, ადამის შვილია... ადამიანს, როგორც მოაზროვნე არსებას, ხომ შეუძლია, რომ ოუ მოინდომებს დვთის წყალობით, დვთის მადლით (χαριτი თეოუ) თავადაც გახდეს ღმერთი“ (კეკამენი 1972: 287; ვასილევსკი 1881: 316).

ადნიშნული ეხება თამარ მეფესაც. მისი: სიკეთის, სამართლიანობის, სიმდაბლის, გულმოწყალების, ლმობიერების და სხვა საღვთო თვისებების, სათხოებების შესახებ ბევრს წერენ ისტორიკოსებიცა და მეხოტბეებიც (ყოველივე ამის შესახებ ნაშრომის წინა თავში ვისაუბრეთ). თამარი განმასახიერებელია ორი უმაღლესი მდგომარეობის – მეფობის და წმინდანობის. დირსებული ხელმწიფობით იგი მეფობის ბიბლიური იდეალის განმახორციელებელი გახდა (იყო სამართლიანი და ბრძენი მეფე). მისი

წმინდანობის საფუძვლადაც სწორედ გამორჩეული მეფობა და ცხოვრების წესი იქცა. ამდენად, როგორც მეფე-წმინდანი თამარი „შეერთებულია“ დმერთს, მადლით განცმრთობილია.

„ოთხება“ უნდა მიემართებოდეს ზოგადად წმინდანებს (მათ შორის თამარს, მეფე-წმინდანს). ვფიქრობთ, „ოთხება“ შეიძლება ასევე დავუკავშიროთ მართალი ლაზარეს სახეს, რომელიც ოთხი დღის მკვდარი მაცხოვარმა მკვდრეთით აღადგინა ბეთანიაში. „ოთხი დღის ადამიანის“ (ბიბლიის ენციკლოპედია 1990: 421; ავერინცევი 2001: 155), ლაზარეს მკვდრეთით აღდგენა მოასწავებდა იქსო ქრისტეს ჯვარცმასა და აღდგომასა\* მაცხოვრის აღდგომასთანაა დაკავშირებული ჯოჯოხეთიდან მართალთა სულების ამოყვანა. „მას შემდეგ, რაც ქრისტემ ჯოჯოხეთი „მოიალაფა“, მორწმუნებს პვლავ მიეცათ სული ძეობილობისა, ამბობს წმ. კირილე ალექსანდრიელი (ჭელიძე 2001: 87). ეს გულისხმობს იმას, რომ ადამიანები, რომელნიც თავიანთი დვორისათნო ცხოვრებით მიემსგავსებიან შემოქმედს, სადგომ წიაღში დაიგანებენ. (აქვე გავიხსენოთ, რომ უცნობი მემატიანის თხზულების ბოლოს დართულ იამბიკოში თამარი სახელდებულია „ლაზარედ“).

საყურადღებოა, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი ცნობილ და ზემოთ უკვე არაერთხელ მოხმობილ ფრაზებში, თამარის შესახებ საუბრისას იყენებს რაოდენობით რიცხვით სახელს „ოთხებად“, „ოთხად“ (ვითარებითი ბრუნვის ფორმა (სარჯველაძე 1997: 55) და არა რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმას – „მეოთხედ“.

წვენი აზრით, უცნობი მემატიანის სიტყვები, თამარი „დმრთისაგან დმერთქმნილია“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 63, 64), „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, „სამებისა თანა იხილვების ოთხებად ... მისწორებული და აღმატებული“, ზემოთქმულის კვალობაზე უნდა გავიაზროთ, რაც ნიშნავს, რომ თამარი ბუნებით დმერთად, „სამების მეოთხე პიპოსტასად“ არ არის დასახული. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ თამარ მეფე სამების მიერ მისდამი მდგომარეობით (ანუ დირსეული მეფობით და შესაბამისად წმინდანობით) ამაღლებულია „ოთხად“ როგორც წმინდანი; სწორედ

---

\* დიდმარხვის მეექვსე შაბათის ტროპარში, რომელიც მართალი ლაზარეს შაბათს იკითხება, ნათქვამია: „ყოველთა აღდგომასა პირველ ვნებისა შენისასა მოასწავებდი, ამისთვისცა მეგობარი შენი ლაზარე მკვდრეთით აღადგინე ქრისტე დმერთო“... (საქართველოს ეპლენის კალენდარი 1978: 225).

წმინდანობის გამო იხილვება იგი „ოთხებად“ (სამებასთან) მიმსგავსებული და ამაღლებული.

ვფიქრობთ, აღნიშნულ კონტექსტია განსახილველი ჩახრუხაძის სიტყვებიც:

„თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად,  
მზებრ სავანე, სულის სავანე  
თან—გამწყოდ ძისად, სწორად მამისად“ (74. 1, 2)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 204).

„თან—გამწყო“ შესაფერს (ქართული მწერლობა 1988: 467; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1962: 1139), ღირსს, სწორს ნიშნავს (აბულაძე 1973: 408); „სწორი“ („სწორად“) კი მსგავსს („მსგავსად“), მისთანა—ს (ორბელიანი 1993: 251).

ამრიგად, მოხმობილ სტროფში ნათქვამია, თამარი დაბადებული ანუ შექმნილი (აბულაძე 1973: 121; დამასკელი 2000: 38) ნათელია, მზის მსგავსი სავანეა, რადგან მასთან მყოფობს სული, ე. ი. სულიწმიდა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვეთანხმებით გოჩა კუჭუხიძის მოსაზრებას. იხ. გვ. 110), ანუ მასთან არის სული მამისა, მამისაგან გამომავალი სულიწმიდა, რომელიც ამავე დროს იწოდება ძის სულად (მაგრამ არა ძისაგან გამომავალ სულად), რადგან ის ძის მიერ განგვეცხადა. იოანე ღვთისმეტყველი გვამცნობს,— „მიბერა (იესომ) და უთხრა მის მოწაფეებს: მიიღეთ სულიწმიდა (იოან. 20. 29). პავლე მოციქული კი რომაელთა მიმართ ეპისტოლებში ხაზს უსვამს: „ვისაც არა აქვს ქრისტეს სული, ის არ არის მისი“ (რომ. 8. 9). სულიწმიდის „მიბერვა“, იოანე დამასკელის მიხედვით, მსგავსია მზისაგან გამომავალი სხივისა და ბრწყინვალების წყარო მზეა. ხოლო ეს გამობრწყინვება განგვანათლებს და წილად გვებოძება სხივის მიერ“ (იოანე დამასკელი 2000: 45).

ამდენად, ჩახრუხაძის სიტყვები ასე შეიძლება გავიღოთ, თამარი, სადგომ ნათლით გაბრწყინვებული, მზის მსგავსი სავანეა, რადგან მასთან დავანებულია სული (სულიწმიდა). იგი ღირსია „ძედ“ წოდებისა, იმიტომ, რომ მსგავსია ღვთისა („მამისა“), ანუ ამ შემთხვევაშიც საუბარი უნდა იყოს ქრისტიანულ სწავლებაზე, რომლის მიხედვითაც ადამიანი ღვთის „ძეობის“ ღირსი შეიქმნება მაშინ, როცა იგი აღწევს ღვთის მსგავსებას, ანუ თავისი არჩევანისა და ცხოვრების კვალობაზე მადლით განლამრთობილია.

აგრეთვე გვსურს ყურადღება მივაქციოთ შემდეგს, ჩახრუხაძის მოხმობილი სტროფის ჩვენეული ინტერპრეტაცია იმაზე მიუთითებს, რომ მეხოტებე თამარზე როგორც წმინდანზე ისე საუბრობს, უწოდებს მას „სულის სავანეს“, „ძეობის“ დირსს, „მამის“ მსგავსს. ხოლო რადგან წმინდანად შერაცხვა ადამიანის გარდაცვალების, მისი განვლილი ცხოვრების და ლვაწლის შეფასების შემდეგ ხდება, ნაკლებად სავარაუდოდ გვეჩენება ეს სიტყვები თამარ მეფის სიცოცხლეში იყოს დაწერილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, ხომ არ შეიძლება დღეისათვის ქართულ მეცნიერებაში არსებულმა „თამარიან“-ის დაწერის თარიღმა (ეს თარიღი რამდენიმეა და ძირითადად არ სცილდება თამარის სიცოცხლისდროინდელ პერიოდს)\* რამდენიმე წლით გვიან, თამარის გარდაცვალების შემდეგ, უფრო კონკრეტულად კი მისი წმინდანად შერაცხვის ხანაში გადაიწიოს? ან ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩახრუხაძის ზემომოხმობილი სტროფი ხოტბაში მოგვიანებით, თამარის გარდაცვალების, მისი კანონიზების შემდეგ იყოს ჩართული? ასეთი კითხვების დასმისა თუ მოსაზრებების გამოთქმის საფუძველს გვაძლევს კორნელი კეკელიძის ნაშრომი „თამარიან“-ის შესახებ. მეცნიერი აღნიშნავს, რომ „ჩახრუხაძის თხზულების ხელნაწერები შედარებით ახალი დროისაა (XVIII–XIX სს.). ამ ხელნაწერებში ის დამახინჯებული და შესამჩნევად წარყვნილია, რაც საქმაოდ აძნელებს მის შეგნებასა და გაგებას. ამ ხელნაწერთა შორის არ არის ორი ისეთი, რომელიც ზუსტად უდგებოდნენ ერთმანეთს“. კორნელი კეკელიძე დასძენს, „ისეთი ძველი თხზულების შესაგნებად, როგორიც თამარიანია, საჭიროა იმდენად არა ზედაპირი, სუბიექტური მსჯელობა და წარყვნილი ხელნაწერების ფურცელა, რამდენად ტექსტის ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური გაგება. თამარიანი ამ მხრივ ძნელად დასაძლევი ძეგლია“ (კეკელიძე 1981: 215, 216).

ჩვენს მიერ ზემოთ, „თამარიანის“ დაწერის თარიღთან დაკავშირებული კითხვა შესაძლოა შეეხებოდეს ითანე შავთელის „აბდულმესიან“-საც.\* ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შავთელის შემდეგი სიტყვები:

\* „თამარიანის“ დაწერის დროდ სხვადასხვა თარიღს ასახელებს: 1192-1195 წწ. (ნ. მარი), 1184/5-1193 წწ. (პ. ინგოროვევა), 1202 წ. (ს. კაკაბაძე), 1205-1207 წწ. (ი. ლოლაშვილი)...

\* ამ შემთხვევაშიც ვიზიარებთ კორნელი კეკელიძის შეხედულებას, ოღონდ ნაწილობრივ ის თვლის, რომ „აბდულმესიანი“ დაწერილი უნდა იყოს 1210–1215 წლებში. მაგრამ ვერ დავეთანხმებით მეცნიერის მსჯელობის იმ ნაწილს, სადაც შავთელის ხოტბას თამარის სიცოცხლეში შექმნილად მიიჩნევს (ივ. ლოლაშვილის შეხედულებითაც, „აბდულმესიანი“ თამარის სიცოცხლეში უნდა დაწერილიყო) (ძველი ქართველი

„მამის ძედ არი სამგზის ნეტარი“ (47. 2)

(ძველი ქართველი მეხოტებენი 1964: 132).

ვფიქრობთ, უკვე აღნიშნულის მსგავსად ამ ფრაზაშიც უნდა იგულისხმებოდეს ის, რომ თამარი, როგორც საღვთო ხატის „გაუკულმართების გარეშე დამცველი“ წმინდანი მეფე, მიემსგავსა მამას (ღმერთს), მისი „ძეა“ („ძეობილია“) და ამიტომ „სამგზის ნეტარია“.

ახლა რაც შეეხება თამარ მეფის „ნეტარად“ წოდებას.

„აბდულმესიანი“—ის შესახებ ნაშრომში კორნელი კეკელიძე არ იზიარებს ნიკო მარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხოტბაში შექებულია მხოლოდ ერთი პირი, მამაკაცი—მეფე, დავით აღმაშენებელი. იგი მიიჩნევს, რომ შავთელის თხზულების ქების ობიექტი დავით აღმაშენებელთან ერთად არის მეორე ადამიანიც, გვირგვინოსანი ქალი, კონკრეტულად კი თამარ მეფე. თავის შეხედულებას კორნელი კეკელიძე რამდენიმე არგუმენტით ასაბუთებს. მათ შორის ერთი—ერთი ამგვარია,— „აბდულმესიანში“ „სამგზის ნეტარი“ მხოლოდ თამარს შეიძლება მიემართებოდეს, რადგან, მეცნიერის თქმით, ხოტბის „სამგზის ნეტარი“ ანალოგიურია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორის სიტყვებისა „თამარ სამგზის სანატრელი“ (კეკელიძე 1981: 239).

გამონათქვამზე „სამგზის ნეტარი“ უფრო ვრცლად კორნელი კეკელიძე თამარის პირველ მატიანეზე, როგორც ისტორიულ წყაროზე, მსჯელობისას საუბრობს. იგი რამდენიმე არგუმენტზე დაყრდნობით გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ თამარის პირველი ისტორია არის ერთი მთლიანი ნაწარმოები, რომელსაც ჰყავს ერთი ავტორი და დაწერილია თანამედროვის მიერ (კეკელიძე 1981: 265; კეკელიძე 1962: 201). კორნელი კეკელიძემდე ჯერ თედო ჟორდანია (ჟორდანია XL-LII: 285–290) და შემდეგ ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1977: 222, 225) მიიჩნევდნენ, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ერთი თხზულებაა. იგივე მეცნიერები თამარის პირველი მატიანეს ავტორს მის თანამედროვედ თვლიდნენ და შენიშნავდნენ, რომ ძეგლის ერთი ნაწილი შამქორის ბრძოლამდე,

---

მეხოტებენი 1964: 113), ხოლო მისი დაწერის terminus post non თარიღიად 1215 წელს იმიტომ ასახელებს, რომ, მისი აზრით, თამარი 1215 წელს გარდაიცვალა. დღესდღეისობით ქართულ მეცნიერებაში თამარ მეფის გარდაცვალების დროდ მიღებულია 1213 წელი (თუმცა განსხვავებული შეხედულებიც არსებობს).

თამარის სიცოცხლეში უნდა შექმნილიყო, ხოლო მეორე მისი გარდაცვალების შესახებ ამბის ჩათვლით, მისი გარდაცვალების შემდეგ.

ერთ-ერთი არგუმენტი, რომელსაც აღნიშნული შეხედულების გამოთქმისას ეყრდნობა კორნელი კეპელიძე, არის შემდეგი: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი თამარს უწოდებს „სამგზის სანატრელს“, „მას შეეძლო ეწოდებინა მისთვის „დვოისწორი“, ასე ბიზანტიაშიც უწოდებდნენ მეფეს („იზოთეოს“), შეეძლო ეწოდებინა მისთვის „სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“, მაგრამ სიცოცხლეში „სანატრელს“ და „სამგზის სანატრელს“ ვერ უწოდებდა. საქმე ისაა, რომ „სანატრელი“, „ნეტარი“ საგალესიო—კანონიკური ტერმინოლოგიით სიცოცხლეში მხოლოდ პატრიარქს ეწოდება, ხოლო გარდაცვალების შემდეგ ასეთ ადამიანებს, რომელნიც, ცოცხალთა შეგნებით, სასუფევლის დირსნი და მკვიდრნი არიან. რუის—ურბისის „ძეგლის წერაში“ ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ „სანატრელი“ და „ნეტარი“, „დაუსრულებელისა ნეტარებისა მკვიდრი“ ეწოდებათ მხოლოდ გარდაცვლილებს და არც ერთ ცოცხალს („საქართველოს სამოთხე“, გვ. 529–530). თამარის სიცოცხლეში დაწერილ და გამოცემულ სიგელ—გუჯრებში ის არსად იწოდება „სანატრელად“. იმას ხომ ვერ ვიტყვით“, დასძენს კორნელი კეპელიძე, რომ ისტორიკოსმა, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, ზედმიწევნით მცოდნეა ყოველივე საეკლესიოსი, არ იცოდა კანონიკური წესი?!“ (კეპელიძე 1962: 204).

ჩვენ ვიზიარებთ კორნელი კეპელიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს შექმნილი. თუმცა ჩვენის მხრივ დავამატებდით შემდეგს, თუ „სანატრელი“ და „ნეტარი“ ეწოდებოდა მხოლოდ გარდაცვლილ, თანაც ისეთ ადამიანს, რომელიც სასუფევლის დამკვიდრების დირსად იყო მიწნეული (და ამგვარ ადამიანებში უპირველესად წმინდანნი მოიაზრებიან. თანაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წმინდანად ადამიანის შერაცხვა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ხდება). მაშინ, ცოტა არ იყოს, გასაკვირი და გაუგებარია, როგორ და რატომ შეიძლებოდა, კორნელი კეპელიძისვე თქმით, „ყოველივე საეკლესიოს ზედმიწევნით მცოდნე მემატიანეს“ ცოცხალი თამარის შესახებ დაწერა „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, ან კიდევ „სამებისა თანა იხილვების ოთხებად (თამარ), მისწორებული და აღმატებული“?! ჩვენი აზრით, მოხმობილი სიტყვები კიდევ ერთ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს

იმის დასამტკიცებლად, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ სწორედ თამარის გარდაცვალების შემდეგ უნდა დაწერილიყო. ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ უცნობი ისტორიკოსის ცნობილ ფრაზებში: თამარი „სამებისაგან ოთხად თანააზევებულია“, „სამებისა თანა იხილვების ოთხებად ... მისწორებული და აღმატებული“ უნდა იგულისხმებოდეს ის, რომ თამარმა თავისი ცხოვრება-მოღვაწეობით განახორციელა მეფობის მთავარი დანიშნულება, დვოის რჩეულობა, მისგან ხელდასხმულობა და ქრისტიანული სწავლებით, ადამიანის უმაღლესი მიზანი დვოისადმი მსგავსება. სწორედ ამის პვალობაზე იგი, როგორც გამორჩეული მეფე, წმინდანი, „სამებისაგან თანააზევებულია“ და „იხილვება“ მის წიაღში. ამ სიტყვების თქმა, მითუმეტეს, ქრისტიანული თეოლოგიის ღრმად მცოდნე მემატიანისაგან მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა თამარ მეფე უკვე გარდაცვლილი და წმინდანად აღიარებული იქნებოდა. ქართულმა ეკლესიამ თამარ მეფე გარდაცვალებიდან მცირე დროშივე, XIII ს-ის დასაწყისში შერაცხა წმინდანად (ინგოროვა 1978: 168).

აღნიშნული ეხება „აბდულმესიან“-საც. ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ დვოისმეტყველებაში ასევე კარგად განსწავლულ იოანე შავთელს (მარი 1902: 16,17; კეკელიძე 1981: 242) თამარისათვის სიცოცხლეშივე ეწოდებინა „სამგზის სანატრელი“.

მიგვაჩნია, რომ მემატიანების (ამ შემთხვევაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ის ავტორის) და მეხოტებების შესახებ იმის თქმაც კი, თითქოს ისინი თამარს ბუნებით ღმერთად, „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ აღიარებენ ან აცხადებენ, არასწორია. ჩვენი აზრით, მსგავსი არაფერი იგულისხმება უცნობი ისტორიკოსის, ჩახრუხაძისა და შავთელის სიტყვებში.

მართლმადიდებლური თეოლოგიის მიხედვით, ღმერთი: დაუსაბამო, მარადიული, შეუქმნელი, მარტივი, შეუდგენელი, უცვლელი, უსხეულო, ყოვლადმლიერი, კეთილი, სამართლიანი, ზესრული, გარეშემოუწერელი, მოუაზრებელი, ყოვლისმპყრობელი, ყოვლისმხედველი, ყოველთა წინა გამგები და მსაჯული... ერთია, შეიცნობა სამგვამოვნებაში: მამაში, ძესა და სულიწმიდაში. ეს სამი გვამოვნება (ჰიპოსტასი)\* ერთი არსებაა, განუყოფელია,

\* ჰიპოსტასი (ή ύποστασις), ეს ტერმინი პოლისემიურია. ფილოსოფიური აზრით, ის აღნიშნავს: „არსებას, ძირეულ თვისებას, ჭეშმარიტ ბუნებას, დასაბამიერ პრინციპს, არსს“, აგრეთვე: „არსებობას, მყოფობას, ჭეშმარიტ სინამდვილეს, რეალობას“.

უოვლითურთ ერთია, გარდა უშობელობის, შობილობის და გამომავლობისა (მამა უშობელი, მე მამისგან შობილი, სული მამისგან გამომავალი) ხოლო შესაქმე მოხდა არა ღვთის არსებისაგან, არამედ ღვთის განზრახვითა და ძალით, არარსებობიდან არსებობაში შემოვიდა. შექმნა, დაბადება გულისხმობს დამბადებელი არსებისაგან არსობრივად არამსგავსის შექმნას, გაჩენას. ეს ეხება უველაფერს, რაც შექმნილია და მათ შორის, რა თქმა უნდა, ადამიანს, „ღვთის ხატად და მსგავსად“ შექმნილს, მაგრამ მაინც შექმნილს, შემქმნელისაგან არსობრივად განსხვავებულს. ადამიანი მხოლოდ მიემსგავსება შემოქმედს, შეუძლია გახდეს „მადლით ღმერთობის“, ანუ ღვთის „ძეობილობის“ ღირსი, ისეგვე როგორც ანგელოზები არიან უკადაგნი, ოდონდ არა ბუნებით, არამედ მადლით, რადგან ბუნებით უკვდავი არის მხოლოდ მარადის მყოფი, მარადისობაზე უზემოესი, თვით ჟამთა შემოქმედი, ღმერთი. ანგელოზები კი არიან შექმნილნი და ის, რაც დაწყებულია, ბუნებით დასრულებადიცაა (იოანე დამასკელი 2000: 58).

გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. იგი, როცა დავით მეფის გარდაცვალების შესახებ გვაუწყებს, აღნიშნავს: „ეგრეთვე ჟამსა შინა შუენიერსა და ჯეროვანსა მოუწოდა ღმერთმან შემყუარებელსა თვისსა და მარადის მოსურნესა სამარადისოდ მეფობად წინაშე მისსა... და აღიყვანა მუნ... სადა თვთ, იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთ-ქმნილთა ზედა, მას თანა მეფობად, უხრწენელითა და ბრწყინვალითა გპრგპნითა და პორფირითა შემკული, სადა იგი აწ მკდრ არს და იქცევის ნათელსა შინა ღმრთაებისასა“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955: 362).

როგორც ვხედავთ, აქაც ერთმანეთისაგან გამიჯნულია „ბუნებითი ღმერთობა“ და „მადლით ღმერთობა“, როგორც ორი არსობრივად განსხვავებული რამ. საზგასმულია, რომ ბუნებით ღმერთი ერთარსება სამებაა, ხოლო დავით აღმაშენებელი „მადლით ღმერთია“, როგორც წმინდანი მეფე.

საგულისხმოა ასევე ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვები, რომლებიც „ცხოვრება დიდისა მეფე-მეფისა თამარისა“—სა დასასრულს

ქრისტიანულ მწერლობაში ń უპისტასის გავრცელდა ყველა მისი შინაარსით, მაგრამ, ამასთანავე, მან სრულიად ახლებური გააზრება შეიძინა. ეს ტერმინი დამკვიდრდა ღვთის სამპიროებნების განმსაზღვრელ ცნებად. მართლმადიდებლურმა ქრისტიანობაშ დააკანონა ფორმულა: ღმერთი არის სამი „ჰიპოსტასი“ და ერთი „უსია“, ანუ „სამი პერსონა“ და ერთი „სუბსტანცია“. ქართულად ń უპისტასის შესატყვისად დამკვიდრდა ტერმინი „გუამი“, „გუამოვნება“ (ჭელიძე 1996: 207).

თამარს მიემართება,— „მეფობასა შინა დაქო თცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე დმრთისა, სადა იგი მკვიდრობენ წინასწარმეტყველნი და მამათ—მთაგარნი და მეფენი“ (ლაშა—გიორგის დროინდელი მემატიანე 1955: 369).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოუდგენლად მიგვაჩნია, დვთისმეტყველების კარგად მცოდნე ისტორიკოსსა და მეხოტეებს თამარი, მართალია, მეფე-წმინდანი, მაგრამ მაინც დვთისაგან ბუნებით ადამიანად, ანუ არსობროვად მისგან არამსგავსად შექმნილი, შემოქმედის, ბუნებითი დმერთის, ერთარსება სამპიროვანი სამების მეოთხე წევრად, მეოთხე ჰიპოსტასად დაქსახათ.

დასასრულს გესურს შეგნიშნოთ შემდგენი, იგანე ჯავახიშვილი თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობილი და ზემოთ არაერთხელ მოყვანილი ადგილების განმარტებისას, როგორც თავად წერს, ეყრდნობა „ქართლის ცხოვრება“—ის მარიამ დედოფლისეული ვარიანტის ექვთიმე თაყაიშვილისეულ გამოცემას (გვ. 363).

1959 წელს (ანუ იმ დრომდე, როცა სიმონ ყაუხეჩიშვილმა გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ ყველა არსებული ხელნაწერის შეჯერების საფუძველზე) ჯერ კიდევ 1941 წელს კორნელი პეპელიძემ სცადა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ტექსტის აღდგენა და გამოკვლევა. ეს თხზულება რამდენიმე ხელნაწერის სახით არსებობს. ერთ—ერთი მათგანია ეგრეთ წოდებული „მარიამისეული რედაქცია“, ანუ ის ნუსხა, რომელიც ქართლის დედოფალ მარიამისთვის გადაიწერა 1638–1646 წლებში. ეს უკანასკნელი საუკუნეთა განმავლობაში გადამწერებს საკმაოდ დაუმახინჯებიათ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ამ რედაქციის აღდგენა სცადა ექვთიმე თაყაიშვილმა (მანამდე ამის მცდელობა ჰქონიათ: ვახტანგ VI–სა და „სწავლულ კაცთა კომისი“—ას, ასევე მარი ბროსეს, თუმცა ტექსტის აღდგენისა და „გაწმენდის“ მცდელობა არცოუ შედეგიანი აღმოჩნდა. ცალკეული დამახინჯებული ადგილების აღდგენა უცდიათ სხვადასხვა მკალევრებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია იგანე ჯავახიშვილის დვაწლი).

კორნელი კეკელიძის თქმით, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემული ტექსტი მიზნად არ ისახავდა თხზულების კრიტიკულად აღდგენას. პირიქით, „მისი მიზანი ყოფილა უცვლელი, სიტყვა—სიტყვითი გამეორება ძეგლისა. მართალია, ხშირად უცდია ამა თუ იმ შერყვნილი ადგილის აღდგენა, თუმცა ამ

მცდელობას ყოველთვის „შედეგი არ გამოუდია” (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 1, 2, 3).

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის მარიამ დედოფლისეული ნუსხის ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემაში, სავარაუდოდ, თითქმის უცვლელად უნდა დარჩენილიყო ის დამახინჯებული ადგილები, რომელთაც იმოწმებს ივანე ჯავახიშვილი და რომელიც, ვფიქრობთ, აზრობრივ ცდომილებას შეიცავს. საუბარია მემატიანის შემდეგ ფრაზაზე: „ერთი სამებისაგანი აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“ (ჯავახიშვილი 1984: 98).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის კორნელი კამალიძისეულ და სიმონ ყაუხხიშვილისეულ გამოცემაში ეს ადგილი ასე იკითხება,— „უკუკო მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამებისაგანი, აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, შეუსწორებელი და აღმატებული“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1941: 73); „თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამებისაგანი, აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებელი და აღმატებული“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 25). როგორც ვხედავთ, აღნიშნულ რედაქციებში მოხმობილი ადგილი ორი ფრაზისაგან შედგება. ამათგან პირველი („თუ მაშინ უკუკო ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამებისაგანი“) ეხება ნაბუქოდონოსორ მეფის ხილვას. მან, როგორც ძველი აღთქმიდანაა ცნობილი, ოქროს კერპის უარყოფის გამო სამი ყრმა ცეცხლში ჩაყარა. ისინი დვთის წყალობით უკნებლად გადარჩნენ. ნაბუქოდონოსორს კი ხილვა ჰქონდა. ცეცხლის ღუმელში მან სამ ყრმასთან ერთად მეოთხედ ანგელოზი „მსგავსი ძისა დვთისა“ იხილა (დან. 3. 1–28) (მცხეთური ხელნაწერი 1986: 8, 10). „სამი ყრმა“ წინასახეა ქრისტიანული სამების, მესამე დღეს მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომისა. „მეოთხედ“ გამოჩენილი ანგელოზი მაცხოვარი ან მაცხოვრის მიერ წარმოგზავნილი ანგელოზია (წერეთელი 2006: 340). მეორე ფრაზით კი („აქა კულა სამებისა თანა ოთხებად იხილვების თამარ, მისწორებული (შეუსწორებელი) და აღმატებული“) მემატიანე გვაუწყებს, რომ თამარი სამებასთან (ანუ საღვთო წიაღში დამკვიდრებულად) იხილვება „ოთხებად“ (როგორც მეფე-წმინდანი თავისი ღვაწლით, ღვთივსათნო ცხოვრებით იგი ღმერთს მადლით მიემსგავსა, ამაღლდა). მოხმობილი ფრაზები ერთგვარი

შედარებაა. პირველი ფრაზა მეორისაგან მძიმითაა გამოყოფილი (ამ ფორმით უკავშირდება ისინი ერთმანეთს აზრობრივად).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის მარიამ დედოფლისეული ნუსხის ექვთიმე თაყაიშვილისეულ გამოცემაში უცნობი ისტორიკოსის სიტყვები, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილის მიერ მათი დამოწმებისას ჩანს, ზემოთ მოხმობილი რედაქციებისაგან განსხვავებული ფორმითაა მოწოდებული,— „ერთი სამებისაგანი აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“. ივანე ჯავახიშვილი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის აღნიშნულ ადგილს ერთი ფრაზის სახით მოიხმობს და ის სიტყვები, რომლებიც სხვა, კერძოდ, ზემოთ დასახელებულ რედაქციებში პირველი ფრაზის ბოლო ნაწილს წარმოადგენს („ერთი სამებისაგანი“) აქ ფრაზის დასაწყისია. ამდენად, კონტექსტი დარღვეულია და მთელი ფრაზა არასწორი გაგების საფუძველი ხდება.

ივანე ჯავახიშვილი იყო პირველი მეცნიერი, ვინც გამოთქვა აზრი, რომ თამარი მისი უცნობი მემატიანის მიერ ბუნებით ღმერთად, „სამების მეოთხე წევრადაა“ დასახულიო (ჯავახიშვილი 1984: 98). შემდეგ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მხოლოდ იმეორებდა და, სამწუხაროდ, დღესაც იმეორებს ამ შეხედულებას ივანე ჯავახიშვილისადმი ნდობისა და პატივისცემის გამო. მოკრძალებით შევნიშნავთ, რომ თუ არა თავის დროზე ხსენებული ფრაზის არასწორი ფორმით მოწოდება და ალბათ ამის საფუძველზე ასევე მცდარად გააზრება, ვფიქრობთ, ამ საკითხზე ამდენი მსჯელობა აღარ გახდებოდა საჭირო.

## მირითადი დასპენები

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი პირველწყაროების, ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების შეჯერებისა და განხილვის საფუძველზე შემდეგ დასკვნებამდე მივედით.

სიმბოლო, — ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის, გამოსახვის, კომუნიკაციის ეს სპეციფიკური საშუალება, რომელიც უძველესი დროიდან არსებობს, რეალობის ანარეპლია, თუმცა, მისი უშუალო იმიტაციას არ წარმოადგეს. იგი არის მინიშნება, იდუმალი აზრის მონაცვლე და მისკენ მეგზური. სიმბოლო საგნების ან მოვლენების შინაგან, არსებით, დაფარულ მხარეზე მიგვანიშნებს. მასში მოცემულია კერძოდან ზოგადი იდეალისაკენ გადასვლა. იგი არის განზოგადება, რომელიც უსასრულო აზრობრივ პერსპექტივას ქმნის და შესწევს გამოუთქმელის გამოთქმის უნარი. მართალია, სიმბოლოს მრავალათასწლიანი ისტორია აქვს, მაგრამ იგი არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, მისი შინაარსი და მნიშვნელობა ქმნადობის პროცესშია, ახლებურ ინტერპრეტაციებს იძენს.

სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი იყო სიმბოლოს მიმართ დამოკიდებულება, მისი აღქმა და გააზრება. რასაც მოჰყვა სიმბოლოს შესახებ არაერთი თეორიის წარმოშობა.

სიმბოლოს ვხვდებით პუმანიტარული და და სოციალური აზროვნების თითქმის ყველა სფეროში: რელიგიაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, ისტორიაში, ადამიანის ყოფაში. მისი შინა-არსის „ამოკითხვის“, უკეთ გაგებისათვის აუცილებელია ასევე კულტურული კონტექსტის გათვალისწინება (ჰეგელი) ([http://www.bashedu.ru/perspage/abdullin\\_ar/kult\\_simvol/2\\_1.htm](http://www.bashedu.ru/perspage/abdullin_ar/kult_simvol/2_1.htm)). ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო ეპოქა შეა საუკუნეები, რადგან, როგორც ჰეგელი თვლიდა, სიმბოლიზმი ამ ჰერიოდის ყველაზე არსებითი ნიშან-თვისებაა (გამსახურდია 1991: 19).

მიგვაჩნია, რომ ზემოთქმულის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს სწორედ ამ ეპოქაში, შეა საუკუნეებში შექმნილი თამარ მეფის ისტორიები,

განსაკუთრებით მისი პირველი მატიანე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ასევე მეორე ისტორია „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარის“ და მეხოტებეთა (ჩახრუხაძის, იოანე შავთელის) თხზულებებიც.

ისტორიული ქანრის ძეგლებში სიმბოლოებს გარკვეული დატვირთვა აქვს, როგორც ე კასირერი აღნიშნავდა (და ჩვენც ვიზიარებთ ამ შეხედულებას), ისტორიაში სიმბოლოები „მეტყველი ფაქტებია“, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება „წავიკითხოთ“ ან გავიგოთ ინდივიდთა ბუნება ან მთელი ეპოქის ხასიათი“ (კასირერი 1983: 305).

XII საუკუნეში, იმ დროს, როცა საქართველოში სამეფო ტახტზე ავიდა თამარ მეფე, არც ერთ სხვა ქვეყანას ქალი არ მართავდა. ამდენად, ეს არცოუ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სავარაუდოდ, ამ ფაქტის მიმართ ქართველი ხალხის, განსაკუთრებით დიდებულების დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იქნებოდა. ამაზე არაპირდაპირ, მაგრამ მაინც შეიძლება მიგვანიშნებდეს თუნდაც თამარის ერთპიროვნულ მმართველად გახდომის შემდეგ, მცირე დროშივე მოწყობილი ორი გამოსვლა (დიდგვაროვნების და ყუთლუ-არსლანის დასის), რომელთა მიზანი თამარის ზეგავლენის ქვეშ მოქცევა იყო. ალბათ, ეჭვიც ეპარებოდათ, რომ ქალი შეიძლება ძლიერი მმართველი ყოფილიყო (ეს გასაკვირი არცაა, რადგან სხვა ამგვარი პრეცედენტი იმ დროისათვის არ არსებობდა). მართალია, ორივე გამოსვლა, თამარის გონივრული ქმედებისა და დიპლომატიური უნარის წყალობით, მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ ის მაინც იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. მაგალითად, თანამდებობებიდან გადაეყენებინა ჯერ კიდევ მამამისის, გიორგი III-ის მიერ დანიშნული ერთგული ადამიანები.

ასეთ ვითარებაში, ჩანს, თამარის მომხრეები ცდილობდნენ, უპირველესად, იდეოლოგიურად დაემტკიცებინათ ქალი-ხელმწიფის მმართველობის უფლება და გაემყარებინათ მისი პოზიციები. ისტორიული რეალობის ასახვასთან ერთად ეს იდეოლოგია, ბუნებრივია, გამოხატულია თამარ მეფის მატიანებშიც. იგივე შეიძლება ითქვას ხოტბათა შესახებაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ჩვენი აზრით, უცნობ ისტორიკოსებს, რომელიც, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, იმ დროისათვის საქმაოდ განათლებული ადამიანი ყოფილა, თამარის, მეფე-ქალის ავტორიტეტის განსამტკიცებლად სიმბოლოებისთვისაც მიუმართავს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი სხვა ქართველ მემატიანეთაგან

გასხვავებით, შედარებით კრცლად აღგვიწერს თამარ მეფის გვირგვინს, იმ გვირგვინს, რომელიც კორონაციის (მეფედ პირველად კურთხევის) დროს თავად მამამ, გიორგი III-ემ დაადგა მას თავზე.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ცნობით, თამარის „ოქრო ოფაზის“ გვირგვინი შემკული იყო იაკინთის და ზმირის/სმარაგდის თვლებით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სამეფო რეგალიათაგან, განსაკუთრებით შეა საუძუნებელი, გვირგვინს ყველაზე მეტი სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა, ასევე ზემოაღნიშნულ ძვირფას ქვათა სიმბოლიკას და აქვე გავიხსენებთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს, რომელთა მიხედვითაც თამარის პირველ მემატიანეს „წინდაწინვე მოფიქრებული ჰქონია სად, რა და როდის ეამბნა... მოუაზრებია, რას და სად უნდა შექხებოდა მისი წინამდებარე სიტყვა“ (ჯავახიშვილი 1929: 237; კარბელაშვილი 1998: 123), მაშინ უცნობი ისტორიკოსის საქციელი შემთხვევითად აღარ მოგვეჩენება.

IV სუკუნის საეკლესიო მოდგაწის ეპიფანე კვიპრელის ეგზეგეტიკური ხასიათის ნაშრომში „თვალთავ“ სხვადასხვა ასპექტით განხილულია, ბიბლიური გადმოცემით, პირველმდვდელმთავრის, აარონის სამკერდულის შემამკობელი თორმეტი ძვირფასი თვალი, რომელთაგან თითოეული იაკობის თორმეტ ძეს, ისრაელის თორმეტი ტომის პირველწინაპარს შეესაბამება. ამ თორმეტ პატიოსან თვალს შორისაა ზემოხსენებული იაკინთის და ზმირი/სამარაგდის ქვებიც.

თამარ მეფის გვირგვინის შემამკობელ ძვირფას თვალთაგან იაკინთი მეწამული ფერის ქვაა. ბიბლიური გადმოცემით, ის ისრაელის ერთ-ერთი მამამთავრის, იაკობის, მეოთხე ძის, იუდას შესაბამისი თვალია, მასზე იუდას სახელი იყო ამოტვიფრული.

იუდას, სიკვდილის წინ დალოცვისას, იაკობი უწოდებს ლომს, ლომის ბოკვერს, რის შემდეგაც „ლომი“ იუდას და მისი შთამომავლების ემბლემა ხდება. ეს მეფობის სიმბოლოა. საღმრთო წერილის თანახმად, სწორედ იუდას შტოდან იყვნენ: მეფეები, მთავრები, წინამდგრები. იუდა იყო დაგით წინასწარმეტყველის წინაპარი. დავით მეფის ტომიდან იშვა ხორციელად იესო ქრისტე. დავითის შთამომავლებად მიიჩნევიან ბაგრატიონები, მათ შორის, რა თქმა უნდა, თამარიც. აღნიშნულისა და ლომის სიმბოლიკის გათვალისწინებით, თამარ მეფის სახესთან მიმართებით გავიაზრებთ „ვეფხისტყაოს“—ნის ცნობილ ფრაზას „ლეგვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“. აქ საუბარი უნდა შეეხებოდეს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას მეფის ოჯახში და არა

ქალთა სწორუფლებიანობას ზოგადად (ამ საკითხთან დაკავშირებით ვემხრობით კორნელი კეკელიძისა და გუგოლ ბერიძის შეხედულებას (კეკელიძე 1981: 44; ბერიძე 1936: 145).

იაკინთის მისტიკური ძალა ასეთია, ვინც მის ნალესავს დალევს, „განაღვიძის სული სამართალთა სიტყუათა მიმართ“, ხოლო ვინც მას პირში ჩაიდებს, სწორ, სამართლიან განაჩენს გამოიტანს (ეპიფანე კვირელი 1979: 132; 141).

თამარ მეფის ისტორიებში საგანგებოდაა აღნიშნული მისი სამართლისმოყვარებია, სამართლებრივი საქმიანობა. თამარის ტახტზე ასვლამდე მიღებული იყო სიკვდილით დასჯა და სხვადასხვა მკაცრი სასჯელი. გიორგი III-ის მმართველობის დროს სამეფოს წარმომადგენლების კრებამ ერთნებობით, მეკობრეობის და ავაზაკობის აღსაკვთად, დააწესა სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით და ხელ-ფეხის მოკვეთა. ისტორიული წყაროების ცნობით, თამარი „მშვდი, მშვდობისა მუოფელი იყო“, მისი მეფობის პერიოდში არც სიკვდილით დასჯა, არც დამასახირებელი სასჯელები არ არსებობდა (ჯავახიშვილი 1983: 292; მეტრეველი 1991: 301).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორი გადმოგვცემს, თამარმა „განგებასა ათორმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა სადმე კრავადო“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 34); ბასილი ეზოსმოძღვარი კი აღნიშნავს, „იყო დღეთა თამარისთა სიმართლე, არავინ გამოჩნდა მომძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა ვინ დასჯილი, თუნიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა ძელსა ზედა ჩამორჩობა. თუ არც ავის დირსსა სიკუდილისასა და არცა პატიჟისასა მიეჭადა თანანადები, არცა—ვინ ბრძანებითა მისითა ასო—მოკუეთილ იქმნა და არცა სიბრძითა დაისაჯა“. ერთადერთი ადამიანი, ვინც თამარის მმართველობის დროს თვალების დაწვით დასაჯეს, იყო გუზან ტაოელი, რომელიც განუდგა მეფეს და გიორგი რუსს მიემხრო. ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობით, გუზანის ამ დანაშაულს ისიც ემატებოდა, რომ „კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით“. მთიბავებმა შეიპყრეს გუზანი და დავით სოსლანს მიჰვარეს. დავითმა იცოდა რა „დიდი მოწყალება თამარისი, ამისთვის მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 141). ბასილი ეზოსმოძღვარისვე უწყებით, თამარი „ბჭედ ჯდა შორის თავისა თკისა და მეზობელთა მეფეთა, არა მიშუებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უდელსა

მძლავრობისასა ურთიერთას, და სახედ თაგსა თჯსა მისცემდა და ამისთვის მათ ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 148).

ჩახრუხაძე თამარ მეფის შესახებ ამბობს:

„აქვს მტკიცედ სჯული, ჩანს მართლ-მსაჯული“ (111. 43)  
(ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: 215).

„აბდულმესიან“-ის მიხედვით, თამარი არის „სიმართლის მსაჯული“, „პყრობილთა განმათავისუფლებელი“ 25. 1. 2) (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 125), „თვით ბჭეთა ბჭედი, მტკიცე ბუჭედი, მეწდე სიტყვათა სიმართლისათა“ (47. 3) (ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: 132).

თამარის გვირგვინში იაკინთის („იაკინთთა“) გარდა მოთავსებული იყო ზმირი, იგივე სმარაგდი. მართალია, როცა უცნობი მემატიანე თამარ მეფის გვირგვინის შემამკობელ ძვირფას ქვებს ჩამოთვლის, ზმირსა და სმარაგდს ერთმანეთისაგან „და“ კავშირით გამოყოფს („ოქრო ოფაზის გვირგვინი“ „აღმგული“ იყო „იაკინთთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ“), რაც შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ის ორ სხვადასხვა თვალზე საუბრობს, თუმცა, როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავს (და ჩვენ ვიზიარებთ მის ამ მოსაზრებას), აქ საქმე უნდა გვქონდეს არა ტერმინთა აღრევასთან, არამედ უცნობი ისტორიკოსის მხატვრული სტილის თავისებურებასთან, რაც სინონიმთა „უხვად“ ხმარებაში გამოიხატება (კეკელიძე 1962: 80). საერთოდ, მინერალოგიაში ზმირი//ზმური//ზურმუხტი//სმარაგდი ერთი და იმავე ძვირფასი ქვის სინონიმურ სახელწოდებად არის მიჩნეული.

ზმირი იაკობის მესამე ძის, ლევის შესაბამისი თვალია. მასზე ლევის სახელი იყო ამოტვიფრული. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იესო ქრისტე ხორციელად იუდას და ლევის ტომთა შერევის შედეგად იშვა, რათა ერთდროულად მიედო მეუფებაც (იუდას ხაზით) და მდგდლობაც (ლევის ხაზით). ლევის შტოდან იყვნენ მდგდლები.

ზმირი/სმარაგდი უკვდავების, რწმენის, იმედის, მისტიური ქალწულების, სიბრძნის სიმბოლოა. მეხოტბებიცა და მემატიანებიც, განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელნი, საქმაოდ ვრცლად საუბრობენ, რომ თავად ლვთისმოსავი თამარ მეფე ქვეყანაში ლვთის რწმენას განამტკიცებდა. საგულისხმოა, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ის ბოლოს არსებულ იამბიკოში, სადაც თითქმის

უკელა სიტყვა სახე—სიმბოლოა, თამარი სახელდებულია „ქალწულად“. იოანე დამასკელის გადმოცემით,— „ქალწულება, გვამრთებს უფრო სულიერად აღვიქვათ... ის აღორძინებს სულის შვილიერებას და სწირავს ღმერთს ნაყოფს—ლოცვას“ (იოანე დამასკელი 2000: 207). ლოცვა ღმერთთან მიახლოების, მასთან კავშირის საშუალებაა (ბიბლიის ენციკლოპედია 1998: 140). ვფიქრობთ, თამარ მეფის „ქალწულად“ წოდებით სიმბოლურად კიდევ ერთხელაა აღნიშნული მისი ლოცვისმოყვარეობა, ზოგადად, ქრისტიანული ცხოვრების წესი.

თამარის ორსავე მატიანეში, ისევე როგორც ხოტბებში ხშირადაა აღნიშნული, რომ იგი „ბრძენი“ (ბასილი გზოსმოძღვარი 1959: 145), „ბრძნივ—გამორჩეული“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედოანი 1959: 63); „სიბრძნით სავსი“ (8. 39) (ძველი ქართველი მეხოტენი 1957: 196) მევე იყო, რომელიც „სიბრძნის წინაძლომითა აცხოვნებდა ერსა თვისსა“ (ბასილი გზოსმოძღვარი 1959: 141)

წვენი შეხედულებით, თამარ მეფის „ოქრო ოფაზის“ გვირგვინს, მასში ჩასმულ იაკინთის და ზმირი/სმარაგდის თვლებს მკვეთრად გამოხატული სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მათი სიმბოლიკის მეშვეობით კიდევ ერთხელაა ხაზგასმული თამარის, მართალია, ქალის, მაგრამ, რაც მთავარია, ბაგრატიონი მეფის ღვთაებრივი ჩამომავლობა და შესაბამისად მეფობის უფლება. ასევე იქმნება შთაბეჭდილება, რომ თამარის გვირგვინის, მის შემაკობელ ძვირფას ქვათა სიმბოლიკის გათვალისწინებით, წინდაწინ, კურთხევის მომენტიდანვე დასახულია თამარის, როგორც მეფისა და ქრისტიანი ადამიანის მოღვაწეობის უმაღლესი მიზანი: გაამართლოს მისი, როგორც ხელმწიფის ღვთისაგან რჩეულობა ანუ განახორციელოს მეფობის ბიბლიური იდეალი (იყოს ბრძენი და სამართლიანი მმართველი) და მიემსგავსოს ღმერთს, გახდეს მისი „ძეობის“ ღირსი.

როგორ გახდა თამარი თავისი ცხოვრება—მოღვაწეობით მეფობის, ქრისტიანის უმაღლესი იდეალის განმახორციელებელი, საკმაოდ საინტერესოდ და, შეიძლება ითქვას, ორიგინალური ფორმით ნაჩვენებია „ისტორიანი და აზმან“—ის ბოლოს იამბიკოში. მართალია, იგი მემატიანეს არ ეპუთვნის და საერთოდ, მისი ავტორის ვინაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ამ იამბიკოთი ისტორიკოსს

ფაქტობრივად დაუსრულებია თავისი თხზულება, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი.

აღნიშნული იამბიკოს თითქმის ყველა სიტყვა სახე—სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ:

„მეფე, მთავარი, სიონი და წყარონი,  
ჭაბუკი, ქალწული, ებგური საებგურო,  
აღგრი კიცუთა, თუალნი და ისრაელი,  
გოდოლი, მენავე, სახლი და მამაცა;  
მეგპტელი ცხენი, ლაზარე და ქუდი“

იამბიკოში სიმბოლოების ენით გადმოცემული და ერთგვარად შეფასებულია თამარის მთელი ცხოვრება—მოდგაწეობა. ჩვიდმეტ სახე—სიმბოლოში ჩატეულია თამარ მეფისა და იმდროინდელი საქართველოს ისტორიის რეალიები. ჩვენი აზრით, იამბიკოში სიმბოლოთა საშუალებით ნაჩვენებია, რომ წმინდანად გახდომა პროცესია, რადგან ის შედეგია ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის არჩევანისა და ცხოვრების წესისა. თამარის განსაკუთრებული პიროვნული თვისებები, ზოგადად მისი ცხოვრების წესი, რომელიც დიდწილად მეფობაში გამოვლინდა, საფუძველი გახდა მისი წმინდანად შერაცხვისა. ვფიქრობთ, იამბიკოში ნაჩვენებია თამარის გზა მეფობიდან წმინდანობისაკენ, ხაზგასმულია, რომ თამარი იყო არა მხოლოდ ერთ—ერთი გამორჩეული მეფე, არამედ ბეგრად უფრო მეტი—მეფე—წმინდანი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება მემატიანის მიერ აღნიშნული იამბიკოს „ისტორიანი“ და აზმანი შარავანდედთან“—ის ბოლო ნაწილში შეტანა.

ნაშრომში განხილულია ასევე ქართულ მეცნიერებაში გაგრცელებული მოსაზრება, თითქოს თამარ მეფე მის პირველ ისტორიკოსს „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ გამოეცხადებინოს. ეს შეხედულება, ძირითადად, ემყარება უცნობი მემატიანის შემდეგ ფრაზებს: თამარი „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, „სამებისა თანა ოთხებად იხილვების... მისწორებული და აღმატებული“. ამავე კონტექსტში ხშირად იმოწმებენ ჩახრუხაძის და შავთელის სიტყვებსაც, კერძოდ:

„გულო, აბა მო, დაუსაბამო,  
თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად,  
მზებრ სავანე, სულის სავანე  
თან გამწყოდ ძისად, სწორად მამისად“ (74. 1, 2)  
(ძველი ქართველი მეხოტებენი 1957: 204).

---

„მამის ძედ არი სამგზის ნეტარი“ (72. 2)  
(ძველი ქართველი მეხოტებენი 1964: 132).

მეცნიერთა უმეტესობა თამარის ღვთაებად, „სამების მეოთხე პიპოსტასად“ გამოცხადებას უცილობელ ფაქტად მიიჩნევს, ზოგიერთი კი არ იზიარებს ამ შეხედულებას. თუმცა თითქმის ყველა ცდილობს მემატიანეთა (განსაკუთრებით უცნობი ისტორიკოსის) და მეხოტებეთა სიტყვებს ახსნა მოუძებნოს.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ თამარის გადმერთების საფუძველი სახელმწიფოებრივი ან მეფის მომხრეთა იდეოლოგია, ან სულაც ქართული მესიანისტური იდეის არსებობაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის და ხელმწიფის ძლიერების უფრო მეტად წარმოჩენას ისახავდა მიზნად. სხვათა მოსაზრებით, თამარის „სამების მეოთხე პიპოსტასად“ დასახვა ადამიანის განდმრთობის (თეოზისის) ზოგადი იდეით შეიძლება აიხსნას. არსებობს თვალსაზრისი, რომ თამარი სულიწმიდის ინკარნაციად იყო მიჩნეული. ასევე გამოთქმულია შეხედულებები, რომელთა მიხედვით, ერთი მხრივ, თამართამ, როგორც დიდი ქრისტიანთან სულიწმიდა სუფევს, მეორე მხრივ კი, იგი (თამარი), როგორც ბაგრატიონი მეფე, შთამომავლობით მაცხოვრის მონათესავე გვარის წარმომადგენელი, „ღვთის სწორი“ უფლისაგან საქართველოს მფარველად მოგვევლინა.

რამდენიმე მეცნიერის მსგავსად ჩვენც ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს თამარ მეფე მისი პირველი მემატიანის და მეხოტებების მიერ „სამების მეოთხე პიპოსტასად“, „ბუნებით ღმერთად“ არის გამოცხადებული. ამ საკითხებზე საუბრისას, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მეხოტებეთა და ისტორიკოსთა, განსაკუთრებით „ისტორიანი და აზმანი

შარავანდედთან“—ის ავტორის (ისევე როგორც ზოგადად სხვა ქართველ მემატიანეთა, მაგ., ჯუანშერის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის) დრმა თეოლოგიური, ასევე სახისმეტყველებითი ცოდნა, რაც დაგვეხმარება თამარის პირველი ისტორიკოსის და მეხოტბეთა ცნობილი ფრაზების უკვეთ გაგებასა და გააზრებაში.

შეძლებისდაგვარად შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ მემატიანე და მეხოტბები თამარ მეფეს „სამების მეოთხე წევრად“, ბუნებით ღმერთად არ აღიარებენ და რომ მათ ნათქვამში მსგავსი არაფერი იგულისხმება. ამგვარი მსჯელობის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ მემატიანეც და მეხოტბებიც, როგორც მათი თხზულებიდან ჩანს და ღვთისმატყვალებაში დრმად განსწავლულნი არიან. ეს განსაკუთრებით ითქმის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“—ის ავტორის შესახებ. ამას ზემოხსენებული თვალსაზრისის გამზიარებელი ზოგიერთი მეცნიერიც აღნიშნავს, თუმცა განსხვავებულ კონტექსტში. ისინი გაკვირვებას გამოთქვამენ, რატომ იჩენენ მკრეხელობას თეოლოგიის ესოდენ კარგად მცოდნე ავტორები და თამარს „სამების მეოთხე პიპოსტასად“ სახავენ? სწორედ ღვთისმეტყველებაზე დაყრდნობით შევეცადეთ აგვეხსნა მემატიანისა და მეხოტბეთა სიტყვები.

ჩვენი აზრით, თამარის პირველი ისტორიკოსის ფრაზებში: თამარი „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, „სამებისა თანა იხილვების ოთხებად ... მისწორებული და აღმატებული“ უნდა იგულისხმებოდეს ის, რომ თამარი განმასახიერებელია ამქვეყნად ქრისტიანისათვის ადამიანის უმაღლესი მდგომარეობის, წმინდანობისა.

ქრისტიანული ტრადიციით, მეფობაც ღვთისაგან კურთხეული უმაღლესი მდგომარეობაა. აღნიშნულთან დაკავშირებით გავიხსენოთ ითანე ოქროპირის სიტყვები, რომელთა მიხედვითაც ღვთისაგან კურთხეულია მეფობა, ხოლო თუ მეფე „უმსჯავრო, უსამართლო“ იქნება, „არა ღმრთისა მიერ არს, არამედ თავისა თვისისა დასასჯელად აღდგების“. საღმრთო წერილის თანახმად, ღვთის რჩეულებმა, მეფეებმა უნდა დაიცვან ღვთის მცნებანი და იყვნენ სამართლიანნი, ჩაგრულთა ქომაგნი (2 სჯ. 17. 19; 3 მეფ. 2. 33; იგავ. 16. 12; 31. 5; იგავ. 29. 14; 31. 9) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 311). აქედან გამომდინარე, რამდენად გაამართლებს ღვთისაგან ხელდასხმულის, მისი რჩეულის პატივს, ეს უკვე ყოველი კონკრეტული მეფის ცხოვრება-მოღვაწეობაზეა დამოკიდებული. როგორც ისტორიებიდან თუ მეხოტბეთა თხზულებებიდან ჩანს, თამარი

დირსეული, სამართლიანი, ბრძენი, თავმდაბალი, ქველი, ქრიზ-ობოლთა, გლახაკთა განმკითხველი და მფარველი მეფე იყო, ანუ ის მეფობის ბიბლიური იდეალის განმახორციელებელია. სწორედ გამორჩეული, ღვთიფ-სათნო ცხოვრება-მოღვაწეობის საფუძველზე გახდა იგი წმინდანი, ღვთის „ძეობილობის“, მადლით ღმერთობის დირსი.

„ოთხება“ უნდა მიემართებოდეს ზოგადად წმინდანებს (მათ შორის თამარს, მეფე-წმინდანს). აღნიშნულიდან გამომდინარე, „ოთხება“ შეიძლება ასევე დავუგავშიროთ მართალი ლაზარეს სახეს, რომელიც ოთხი დღის მკვდარი მაცხოვარმა მკვდრეთით აღადგინა ბეთანიაში. „ოთხი დღის ადამიანის“ (ბიბლიის ქნიკლოპედია 1990: 421; ავერინცევი 2001: 155), რადგან ლაზარეს მკვდრეთით აღდგენა მოსწავება იყო იესო ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომისა. მაცხოვრის აღდგომასთანაა დაკავშირებული ჯოჯოხეთიდან მართალთა სულების ამოყვანა. „მას შემდეგ, რაც ქრისტემ ჯოჯოხეთი „მოიალაფა“, მორწმუნებს კვლავ მიეცათ სული ძეობილობისა, ამბობს წმ. კირილე ალექსანდრიელი (ჭელიძე 2001: 87). ეს გულისხმობს იმას, რომ ადამიანები, რომელნიც თავიანთი ღვთივსათნო ცხოვრებით მიემსგავსებიან შემოქმედს, საღვთო წიაღში დაივანებენ.

ქრისტიანული სწავლებით, წმინდანები არიან ის ადამიანები, რომელნიც მთლიანად შეიმეცნებენ ღმერთს. ცხოვრების წესის, სათნოებებში სრულყოფის კვალობაზე მათ უფალი აძლევს „შვილად“ გახდომის უფლებამოსილებას (იოანე 1. 12). ისინი ხდებიან ღვთის ძეები, მისი მემკვიდრეები. წმინდანი, ვინც იქცევა საღვთო ხატის გაუკუდმართების გარეშე დამცველად, ხდება მადლით ღმერთი (და არა ბუნებით). ძეობილობა მწვერვალია ღვთისადმი მსგავსებისა (ჭელიძე 2001: 118) „რამეთუ არა ფრიად დააკლდა ანგელოზთაგან კაცი და რამეთუ ძალ-უც ღმრთისაცა მსგავსებად და რომელი-ფრიად უაღრეს, მადლით შვილ მისსა ყოფად“ (მოსაწსენებელიწმიდისა და დიდებულისა მოციქულისა ქრისტესისა და მახარობელისა იოვანე ღმრთისმეტყველისა და მეტაფრასული კრებულები 1986: 427).

იესო ქრისტე სახარებაში ეუბნება მოციქულებს „თქვენ მეგობრები ხართ ჩემი. ადარ გიწოდებთ თქვენ მონებს, რადგან მონამ არ იცის რას აკეთებს მისი ბატონი“ (იოანე 15.14). თუკი ყოველთა შემოქმედი და უფალი „მეუფეთა მეუფედ“, „უფალთა უფლად“ და „ღმერთთა ღმერთად“ ითქმის, ეს ნიშნავს, რომ წმინდანი, ვინც იქცევა ვნებათა მეუფედ და გაუკუდმერთების გარეშე საღვთო ხატის

დამცველად ხდება მადლით დმერთი, მადლით და არა ბუნებით“ (იოანე დამასკელი 2000: 184).

ამდენად, ისტორიკოსის მოხმობილი სიტყვები უნდა ნიშნავდეს შემდეგს, თამარი სამების მიერ მისდამი მდგომარეობით ამაღლებულია („თანააღზევებულია“, „ოთხად“, როგორც წმინდანი მეფე, ამიტომ „იხილვება“ იგი სამებასთან, დვოის წიაღში „ოთხებად“ (მასთან) მიმსგავსებული და ამაღლებული.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მეხოტებეთა სიტყვებიც:

„გულო, აბა მო, დაუსაბამო,  
თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად,  
მზებრ სავანე, სულის სავანე  
თან გამწყოდ ძისად, სწორად მამისად“

---

„მამის ძედ არი სამგზის ნეტარი“

„თან—გამწყო“ ნიშნავს შესაფერისს, ღირსს, სწორს, „სწორი“ („სწორად“) კი, მსგავსს (მსგავსად). ასე რომ, ჩახრუხაძესთანაც საუბარი უნდა შეეხებოდეს ზემომოხმობილ ქრისტიანულ სწავლებას, რომ „დვოის ძეობის“ ღირსი ადამიანი იმ შემთხვევაში შეიქნება, თუ იგი თავისი ცხოვრების კვალობაზე, დვოის, მამის მსგავსებას მიაღწევს და მადლით განიღმრობა.

მიგვაჩნია, რომ ამგავადვეა გასააზრებელი „აბდულმესიან“—ის ზემოთ მოყვანილი სტრიქონიც. აქც უნდა იგულისხმებოდეს ის, რომ თამარი როგორც მეფე—წმინდანი, მიემსგავსა დმერთს, მამას, მისი ძეა; შესაბამისად, იგი იწოდება „სამგზის ნეტარად“.

აღნიშნულთან მიმართებით, ვფიქრობთ, ასევე საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც. ჩვენ მიერ მოხმობილი ციტატებიდან ჩანს, რომ უცნობი მემატიანეცა და მეხოტებებიც თამარზე ისე საუბრობენ, როგორც უკვე წმინდანად აღიარებულ მეფეზე. მათი თქმით, თამარი „სამებისაგან ოთხად თანააღზევებულია“, „სამებისა თანა ოთხებად იხილვების ... მისწორებული და აღმატებული“; „ნათელი“, „მზებრ სავანე“, „სულის სავანე“, „სამგზის ნეტარია“.

ასე, როგორც წესი, წმინდანებს მიმართავენ. ქრისტიანული სწავლებით, წმინდანები არიან მდგომარეობით დვოის, სამების მიერ მისდამი ამაღლებულნი, იხილვებიან მის წიაღში. სწორედ, ღმერთს მიმსგავსებულნი, წმინდანნი იწოდებიან ნათლად, მზედ (მსაჯ. 5.31; მათ. 13.43), მამის მსგავსად, მის ძედ, ადამიანის წმინდანად შერაცხვა ცნობილია, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ხდება. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ცოცხალი თამარის შესახებ ქრისტიანული თეოლოგიის კარგად მცოდნე ისტორიკოსი და მეხოტბეები არ იტყოდნენ იმას, რაც, წესით, უკვე წმინდანად შერაცხილი და, შესაბამისად, გარდაცვლილი მეფის შესახებ შეიძლებოდა თქმულიყო. თამარი ქართულმა ჰპლესიამ გარდაცვალებიდან მცირე დროში, XIII საუკუნის დასაწყისშივე შერაცხა წმინდანად.

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, შესაძლოა, თამარის გარდაცვალების, მისი წმინდანად შერაცხვის შემდეგ იყოს დაწერილი. აქვე გვიჩნდება კითხვა, ხომ არ შეიძლება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის არსებულმა „თამარიან“—ის შექმნის თარიღმა, რომელიც არ სცილდება თამარის სიცოცხლის დროს, რამდენიმე წლით გვიან, მისი წმინდანად შერაცხვის, ანუ გარდაცვალების შემდგომ პერიოდში გადმოიწიოს? ან ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩახრუხაძის ზემოთ მოხმობილი სტროფი მის თხზულებაში გვიან იყოს ჩართული? იოანე შავთელის მოყვანილი სტრიქონის საფუძველზე, აღნიშნული კითხვები „აბდულმესიან“—საც მიემართება.

დასასრულ დავძენთ, ჩვენი ნაშრომის მიზანი იყო ისტორიებსა და ხოტბებში დაცულ გარკვეულ ცნობათა საფუძველზე წარმოგვერთნა თამარის, მეფე—წმინდანის ეკონური (ხატის ტიპის) სახე.

თამარის ეკონური სახის საფუძველს მისი მეფობა და ამის შედეგად წმინდანობა წარმოადგენს. გზა მეფობიდან წმინდანობისაკენ, ვფიქრობთ, საგულისხმოდა ნაჩვენები, თუნდაც იმ რამდენიმე საკითხის მაგალითზე, რომლებიც ჩვენს ნაშრომშია განხილული. ეს ყველაფერი წარმოადგენს თამარ მეფის მატიანებისა და სახოტბო თხზულებების სახისმეტყველებითი შინაარსისა და მსოფლედვის გამოვლენის ცდას.

## დამოუკიცებული ლიტერატურა:

1. **აბზიანიძე... 2006:** აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. I. თბ.: „ბაქმი“, 2006
2. **აბზიანიძე... 2007:** აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. II. თბ.: „ბაქმი“, 2007
3. **აბულაძე 1973:** აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ. „მეცნიერება“, 1973
4. **ავერინცევი 2001:** Аверинцев С. С. София-Логос (Словарь). Киев, 2001
5. **ავერინცევი 1977:** Аверинцев С. С. Поэтика ранневизантийской литературы, 1977
5. **ავერინცევი 2004:** Золото в системе символов ранневизантийской культуры. [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Literat/aver/zol\\_sist.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Literat/aver/zol_sist.php)
6. **ავერინცევი:** Аверинцев С. С. (Источник М. М. Бахтин. К методологии гуманитарных наук// М. М. Бахтин . Эстетика словесного творчества. М. Искусство, 1979) <http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm>
7. **ავერინცევი:** Аверинцев С. С. Символ [http://krotov.info/lib\\_sec/01\\_a/ave/rintsev6.htm](http://krotov.info/lib_sec/01_a/ave/rintsev6.htm)
8. **ავერინცევი 1975:** Аверинцев С.С. Предварительные заметки к изучению средневековой эстетики // Древнерусское искусство: (Зарубежные связи). - М., 1975. [http://www.pedlib.ru/Books/3/0249/3\\_0249-1.shtml](http://www.pedlib.ru/Books/3/0249/3_0249-1.shtml)
9. **ალიბეგაშვილი 1979:** Алибегашвили Г. Светский портрет в грузинской средневековой документальной живописи. Тб., 1979
10. **ალიბეგაშვილი 1999:** ალიბეგაშვილი გ. ეპიფანე კვიპრელის „თვალთაღ“ და ქრისტიანული ეგზეგტიკის ტრადიციები. თბ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999
11. **ანდრია ქესარია-კაბადოკიელი:** ანდრია ქესარია-კაბადოკიელი თარგმანებად იოვანეს გამოცხადებისად
12. **ანთელავა 2002:** ანთელავა ი. საქართველოს საისტორიო-წყაროთმცვლნეობითი ძიებანი. თბ., 2002
13. **აუერბახი 1976:** Ауербах Э., Мимесис. М., 1976
14. **ახალი აღთქუმად 2008:** მეცნიერულად დადგენილი ტექსტი წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა რედაქციებისა (წმ. ოთხთავი და სამოციქულო-რედაქცია გიორგი მთაწმინდელისა, გამოცხადება— რედაქცია ექვთიმე მთაწმინდელისა). იბეჭდება ბათუმისა და ქობულეთის მთავარეპისკოპოსის დიმიტრის (შოთაშვილი) ლოცვა— კურთხევით, 2008
15. **ბარტი:** Барт Р. [www.book.ariom.ru](http://www.book.ariom.ru)
16. **ბასილი ეზოსმოძღვარი 1959:** ბასილი ეზოსმოძღვარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ. სახელმწიფო გამომცემლობა თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1959
17. **ბასილი კესარიელი 1979:** ბასილი კესარიელი. მჯელოთჲს სახისა სიტყუა. შატბერდის კრებული. თბ. მეცნიერება., 1979

18. ბასინი: Басин Е.Я. Искусство и коммуникация: Очерки из истории философско-эстетической мысли. [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/philos/Bas/11php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/philos/Bas/11php)
19. ბატონიშვილი გახუშტი 1973: ბატონიშვილი გახუშტი. აღწერა სამეცნიანო საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაჟახიშვილის მიერ. ობ. „საბჭოთა საქართველო“, 1973
20. ბაქრაძე 1983: ბაქრაძე ა. ისევ ქებავს გამო. მნათობი. №1. ობ., 1983
21. ბახტინი 1979: Бахтин М. М.. К методологии гуманитарных наук// М. М. Бахтин . Эстетика словесного творчества. М. Искусство, 1979) <http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm>
22. ბაქრაძე 1988: ბაქრაძე ა. დავითუებული იდეა. ქართული მწერლობა. წიგნი V. ობ. „ნაკადული“, 1988
23. ბიბლიის ენციკლოპედია 1998: ბიბლიის ენციკლოპედია. ერთგომეული. ობ., 1998
24. ბიბლიური ენციკლოპედია 1991: Библейская энциклопедия. труды и издание. Архимандрита Никифора. М., 1891
25. ბიბლიის ლექსიკონი (მასალები) 2000: . ბიბლიის ლექსიკონი (მასალები). ტ. I. II. Prinided. 2000
26. ბიბლიური ლექსიმეტყველების ლექსიკონი 1974: Словарь Библейского Богословия, под редакцией Ксаве Леон-Дюфура и Жана Люпласи, Августина Жоржа, Пьера Брело, Жака Гийе, Марка-Франсуа Лакана. Перевод во второго французского издания. Брюссель. 1974
27. ბერიძე 1936: ბერიძე ვ. „ვევხისტეოსნის“ გარშემო. ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრომები. №3. ობ., 1936
28. ბროკაუზი... 1890–1907: Малый энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона [www.ecdejavu.net/e-2/Emblem.html](http://www.ecdejavu.net/e-2/Emblem.html)
29. ბროკაუზი: Брокгауз Ф. А. Библейская энциклопедия. [www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/brok/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/brok/index.php)
30. ბროკაუზი... 1990: Малый энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона [http://www.bashedu.ru/perspage/abdullin-ar/kult\\_simvol-1.htm](http://www.bashedu.ru/perspage/abdullin-ar/kult_simvol-1.htm)
31. ბროკაუზი... ეფრონი: Брокгауз Ф.А., Ефрон И.А. Энциклопедия. [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Science/brok/index.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Science/brok/index.php)
32. გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. „ვევხისტეოსნის“ სახისმეტყველება. ობ., 1991

33. გიორგი მერჩულე 1982: გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული პროზა. წიგნი I. თბ. „საბჭოთა საქართველო”, 1982
34. გრიგოლაშვილი 2002: გრიგოლაშვილი ლ. წმინდანის თემა ქართულ სასულიერო პოეზიაში. ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები. თბ., 2002
35. გრიგოლ ნოსელი 1979: გრიგოლ ნოსელი. კაცისა შესაქმისათვის. შატბერდის კრებული. მეცნიერება. თბ., 1979
36. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1955: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ“. თბ. საბჭოთა საქართველო., 1955
37. დიონისე არეოპაგელი 1987: წმ. დიონისე არეოპაგელი, ზეციური იერარქია. თარგმნა ე. ჭელიძემ. საღვთისმეტყველო კრებული. 3. თბ., 1987
38. ელიადე 2000: Элиаде М. Образы и символы (эссе о магико-религиозной символике). Избранные сочинения: Миф о вечном возвращении; Образы и символы; Священное и мирское. — М.: Ладомир, 2000
39. ენციკლოპედია: [www.mega.km.ru/bes\\_2004](http://www.mega.km.ru/bes_2004)
40. ერმოლინი: Ермолин Е. Русская культура. Персоналистская парадигма образовательного процесса. [www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Ermol/14.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Ermol/14.php)
41. ეპიფანე კვიპრელი 1979: ეპიფანე კვიპრელი. თვალთავ. შატბერდის კრებული. თბ. მეცნიერება., 1979
42. ვიხლიანცევი 1984–1994: Вихлянцев В. П. Библейский словарь к русскому канонической Библии Синодального перевода 1816-76 г. Москва. Коптево, 2.11.84-31.3.94. [www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/biblical\\_dict/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/biblical_dict/index.php)
43. თანამედროვე ენციკლოპედია: <http://dic.academic.ru/dic.nst/snclp/19342>
44. თვარაძე 2001: თვარაძე რ. ქართული ლიტერატურის ისტორია. მოკლედ მოთხოვბილი უცხოელთათვის. ნაკვეთი I. თბ., 2001
45. ივანოვი 1987: ივანოვი მ. სიმბოლო ღვთისმეტყველისათვის. თარგმნა ნ. ხუციშვილმა. საღვთისმეტყველო კრებული. 3, თბ., 1987
46. იოანე დამასკელი 2000: წმ. იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა. შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ. თბ. თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა., 2000

47. იოგანე საბანისძე 1982: იოგანე საბანისძე. ჰაბოს წამება. ქართული პროზა. წიგნი I. თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1982
48. ინგოროვა 1978: ინგოროვა პ. თხზულებათა კრებული. ტ. IV. თბ., 1978
49. იპოლიტე რომაელი 1987: იპოლიტე რომაელი. იაკობის კურთხევათა განმარტება. თარგმნა ე. ჭელიძემ. საღვთისმეტყველო კრებული. 3. თბ., 1987
50. იპოლიტე რომაელი 1979: იპოლიტე რომაელი. განმარტებათა კურთხევათა მათთვეს მოსესთა. შატბერდის კრებული. თბ. მეცნიერება, 1979
51. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1941: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ცდა ტექსტის აღდგენისა. აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1941
52. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. სახელმწიფო გამომცემლობა თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1959
53. კარბელაშვილი 2000: კარბელაშვილი მ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, XII ს-ის საქართველოს „ოქროს ხანის“ იდეოლოგია და მისი ოქოლოგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები (მასალები ქართული აზროვნების ისტორიისათვის). ლიტერატურული ძიებანი. თბ., 2000
54. კარბელაშვილი 2003: კარბელაშვილი მ. მველი ქართველი მეხოტბენი. ქართული პოლიტიკური ოქოლოგიის ოქორეტიკოსები (მასალები ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიისათვის). ლიტერატურული ძიებანი. XXIV. თბ., 2003
55. კაპიტანჩუკი: Капитанчук В. А. Что такое "иконология"?  
<http://www.ikonolog.narod.ru>
56. კაჯდანი 1968: Каждан А. П. Византийская культура (Х-ХII вв.). М., 1968.
57. კასირერი 1983: კასირერი ე. რა არის ადამიანი? გერმანულიდან თარგმნა ლამარა რამიშვილმა. თბ., 1983
58. კეკელიძე 1957: კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV. თბ., 1957
59. კეკელიძე 1961: კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. VII, თბ., 1961
60. კეკელიძე 1962: კეკელიძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. VIII. თბ., 1962

61. კეკელიძე 1981: კეკელიძე პ. „ვეფხისტყაოსანი“. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. თბ., 1981
62. კეკელიძე 1981: კეკელიძე პ. ნიკოლოზ გულაბერისძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. დასახ. გამოცემა
63. კირილეს და მეთოდეს ენციკლოპედია: **Мегаэнциклопедия Кирилла и Мефодия**. <http://www.megabook.ru>
64. კულტუროლოგია 2003: კულტუროლოგია. ნაწილი II. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა. თბ., 2003.
65. კუჭუხიძე 2001: კუჭუხიძე გ. არის თუ არა თამარი მეოთხე ჰიპოსტასი. კრიტერიუმი. №3. თბ., 2001
66. კუპერი: Купер Дж. Энциклопедия символов: <http://book.ariom.ru/txt/1888.html>
67. კუპერი 1986: Cooper J. C., Lexikon Alter Symbole. VEB E. A. Seemann Verlag. Leipzig, 1986
68. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე 1955: ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ. სახელმწიფო გამომცემლობა თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1955
69. ლე გოფი 2001: Ле Гофф Ж. Средневековой мир воображаемого. М., 2001
70. ლეპახინი: Лепахин В.В. Икона и символ. 2005.: <http://www.bestreferat.ru/rferat-3746.html>
71. ლიტავრინი 1989: Литаврин Г. Г. Византийская империя во второй пол. XI-XII вв. Культура Византии. Вторая пол. XI-XII вв. М., 1989
72. ლიტერატურის თეორია 2008: ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბ. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა., 2008
73. ლექსიკონები: <http://www.lib.ru>
74. ლოსევი 1991: Лосев А.Ф. Философия, мифология, культура. М., 1991
75. ლოსევი 1955: Лосев А. Ф. Проблема символа в реалистическом искусстве: [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Los\\_prismv/01.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Los_prismv/01.php)
76. ლოსკი: Лосский В. Догматическое богословие. [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dogmatika/Losk/\\_02.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dogmatika/Losk/_02.php)

77. **ლოტმანი 1992:** Лотман Ю. М. Символ в системе культуры. <http://www.durov.com/literature1/lotman92.htm>
78. **ლორთქიფანიძე 2003:** ლორთქიფანიძე გ. ბაგრატიონები საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გარანტი ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2003
79. **ლოცვანი 2003:** ლოცვანი. მექქანიკური გამოცემა. დაიბუჭიდა რუსთველ მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით. რუსთავი. 2003.
80. **მარი 1902:** Mapp H. Древне-грузинские одописцы. тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. IV. 1902
81. **მამარდაშვილი 1999:** Мамардашвили М.К., Пятигорский А.М. Символ и сознание. Метафизические рассуждения о сознании, символе и языке. - М., 1999
82. **მითოლოგიური ლექსიკონი 1991:** Мифологический словарь. Главный редактор Е. М. Мелетинский. Москва. „Советская Энциклопедия“. 1991
83. **მცხეთური ხელნაწერი 1981:** მცხეთური ხელნაწერი. გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა. თბ., 1981
84. **მცხეთური ხელნაწერი 1985:** გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
85. **მეტრეველი 1991:** მეტრეველი რ. მეფე თამარი. თბ., 1991
86. **მეტრეველი 2003:** მეტრეველი რ. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. თბ. „განათლება“, 2003
87. **ნაკუდაშვილი 1999:** ნაკუდაშვილი ნ. ლიტერატურული მიმდინარეობები. თბ. 1999
88. **ნიკოლოზ გულაბერისძე 1882:** ნიკოლოზ გულაბერისძე. საკითხავი სუებისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა. საქართველოს სამოთხე. გამოსცა ი. საბიბინმა. პეტერბურგი., 1882
89. **ნიუსტრემი:** Нюстрём Э. Библейский словарь. [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/dictionary/nyustr/index.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/dictionary/nyustr/index.php)
90. **ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია:** ნიშანთა და სიმბოლოთა ენციკლოპედია. <http://sigils.ru>
91. **ნოზაძე 1963:** ნოზაძე ვ. განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. პარიზი. 1963

92. ნოზაძე: ნოზაძე ვ. განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა. ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება.<http://www.nplg.gov.ge/dibrary/collect/0001/00017/mzismetkveleba.pdf>
93. ნოზაძე 1951: ნოზაძე ვ. განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა. ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება. ბუენოს აირესი. 1951
94. ორბელიანი 1991: ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. თბ. „მერანი“, 1991
95. ორბელიანი 1993: სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბ. „მერანი“, 1993.
96. პეტრე იბერიელი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი) 1961: პეტრე იბერიელი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი). ზეცათა მდვდელთ მთავრობისათვის. შრომები გამოსცა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა. თბ. 1961
97. პოხლებკინ: Похлебкин В. Словарь международной символики и эмблематики. [http://gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture?pohl/17.php](http://gumer.info/bibliotek_Buks/Culture?pohl/17.php)
98. ჟამთააღმწერელი 1959: ჟამთააღმწერელი. მესამოცე მეფე ლაშა გიორგი, მესამოცდაერთე მეფე რუსუდან, მე თამარ მეფისა, და ლაშა გიორგი მისა ბაგრატონი. ქართლის ცხოვრება. ტ. II ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ. თბ.: „სახელგამი“. 1955
99. ჟივოვი... უსაქენესები 1987: Живов В. М. Успенский Б. А. Царь и Бог. Языки культуры и проблемы переводимости. Москва. 1987
100. ჟორდანია 1892: ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა... წიგნი Iю ტფ. 1892.
101. როდონაია 1989: როდონაია ვ. ბოლოსიტყვა. ქართული მწერლობა. წიგნი III. თბ., 1989
102. რუსთაველი 1987: რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1987
103. სამუშია 1999: სამუშია ჯ. ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1999
104. სარჯველაძე 1997: სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენა. თბ., 1997
105. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1979: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ., 1979
106. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1992: საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ., 1992
107. სიმბოლოთა ლექსიკონი: [www.deport.ru](http://www.deport.ru)
108. სიმბოლოთა ლექსიკონი: [www.mirslovarei.com](http://www.mirslovarei.com)

- 109. სირამე 1987:** სირამე რ. ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვენები. თბ., 1987
- 110. სირამე 1982:** სირამე რ. სახისმეტყველება. თბ., 1982
- 111. სირამე 2002:** სირამე რ. სიონი და ქართული ეპლებიოლოგია ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები. ეძღვნება ლ. მენაბდის 75-ე წლისთავს. თბ., 2002
- 112. სირამე 1978:** სირამე რ. ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან. თბ., 1978
- 113. სირამე 1997:** სირამე რ. „შინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა. თბ., 1997
- 114. სოკოლოვი 1999:** М. Н. Соколов. Эмблема. Соколов М.Н. . Мистерия соседства. К метаморфологии искусства Возрождения. М., 1999, с. 144-151. <http://ec-dejavu.net/e-2/Emblem.htm>
- 115. სტეფნაძე 1986:** სტეფნაძე ჯ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. V. თბ., 1986
- 116. სულავა 1998:** სულავა ნ. ფილიპე ბერლემი ლიტერატურული ძიებანი. XIX. თბ., 1998
- 117. სულავა 2003:** სულავა ნ. XII-XIII საუკუნეების ქართული პიმნოგრაფია. თბ., 2003
- 118. სულავა 1983:** სულავა ნ. ნათლის ტრაპიკა ქართულ პიმნოგრაფიაში. ლიტერატურული ძიებანი. ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძის დაბადების 80 წლისთავს. თბ. „მეცნიერება“, 1983
- 119. ტოდოროვი 1999:** Тодоров Ц. Теории символа. Перевод с французского Бориса Нарумова. Дик. М. 1999
- 120. ტრეიდერი 1999:** Тресиддер Д., Словарь символов, М., 1999. [http://www.gumer.info.bibliotek\\_Buks/Culture/JekTreidder..](http://www.gumer.info.bibliotek_Buks/Culture/JekTreidder..)
- 121. უსპენსკი 1995:** Б. А. Успенский. Семиотика иконы . Успенский Б. А. Семиотика искусства. М., 1995, с. 2221-303. <http://ec-dejavu.ru/i/Icon.html>
- 122. უნივერსალური** ენციკლოპედია: [www.mega.km.ru/bes\\_2004/encyclo.asp?TopicNumber=6335](http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclo.asp?TopicNumber=6335)
- 123. ფსალმუნი 2008:** ფსალმუნი წინასწარმეტყველისა და მეფისა დავითის. თბ., 2008

124. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1950: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. I. თბ., 1950
125. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1986: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთომეული. თბ., 1986
126. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1951: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. III. თბ., 1951
127. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1955: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. IV. თბ., 1955
128. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1962: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VII. თბ., 1962
129. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VIII. თბ., 1964
130. ქართული სამართლის ძეგლები 1966: ქართული სამართლის ძეგლები. II. თბ., 1966
131. შარაბიძე 2005: შარაბიძე თ. ქრისტიანული მოტივები ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში. თბ., 2005.
132. შატინი 2003: Ю. В. Шатин. Миф и символ как семиотические категории. (Язык и культура-Новосибирск, 2003. –с. 7-10). <http://www.philology.ru/literature1/shatin-03/htm>
133. შელინგი 1996: Шеллинг Ф.П. Философия искусства. М., 1996
134. ჩაკუნაშვილი: ჩაკუნაშვილი ნ. ქალი შუა საუკუნეების დასავლურ და ქართულ ლიტერატურაში. [www.lib.ge/body\\_text.php?4962](http://www.lib.ge/body_text.php?4962)
135. ცხორებად დიდისა მამისა შიო დიდისა, საკურუცხლო მოქმედისა 1882: ცხორებად დიდისა მამისა შიო დიდისა, საკურუცხლო მოქმედისა. საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი., 1882
136. ძველი მეტაფრასული კრებულები 1986: ძველი მეტაფრასული კრებულები. თბ., 1986;

137. ძველი ქართველი მეხოტბენი 1957: ძველი ქართველი მეხოტბენი. წიგნი I. ტექსტი გამოსცა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბ., 1957
138. ძველი ქართველი მეხოტბენი 1964: ძველი ქართველი მეხოტბენი. წიგნი II. ტექსტი გამოსცა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბ., 1964
139. წერეთელი 2006: წერეთელი ლ. „სამთა ყრმათა ბაბილონს“ (თამარ მეფის „სამების მეოთხე პიპლისასად“ ცნობის ათეისტური თეორია). საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი. თბ., 2006
140. ჭელიძე 2001: ჭელიძე ე. მართლმადიდებლური ხატმეტყველება (საღვთისმეტყველო საფუძვლები). თბ., 2001
141. ჭელიძე 1996: ჭელიძე ე. ძველი ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1996
142. ჯავახია 2005: ჯავახია ბ. ანტიკურობიდან შეა საუკუნეებისაპერ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო). თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005
143. ჯავახიშვილი 1929: ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვეთი II. ტფილისი. 1929
144. ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., 1983
145. ჯავახიშვილი 1984: ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, თბ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., 1984
146. ჯავახიშვილი 1977: ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VIII. თბ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., 1977
147. ჯავახიშვილი 1998: ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. თბ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., 1998
148. პოფმანი: გოფმანი ვ. ქართველი სიმბოლისტის//ЛН. М. 1937. Т. 27-28.  
<http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm>
149. <http://www.all-gem-stones.net/se/emerald.html>
150. [www.bibliotekar.ru](http://www.bibliotekar.ru)
151. [http://www.bashedu.ru/perspage/abdullin\\_ar/kult\\_simvol/2\\_1.htm](http://www.bashedu.ru/perspage/abdullin_ar/kult_simvol/2_1.htm)
152. <http://www.dslib.ru/religio-vedenie/ten.html>
153. [www.durov.com/study/1114521593-102.html](http://www.durov.com/study/1114521593-102.html)

154. <http://dic.academic.ru/dic/bse/144624>
155. [http://dic.academic.ru/dic/\\_fwords/8748](http://dic.academic.ru/dic/_fwords/8748)
156. <http://www.foxdesign.ru/legend/demetra.htm>
157. <http://gemstone.org/gem-bygem/russian/emerald.html>
158. <http://lib.deport.ru/slovar/sim>
159. [http://5ka.su/ref/culture/o\\_object10106.html](http://5ka.su/ref/culture/o_object10106.html)
160. [kirieleison-best.mylivepage](http://kirieleison-best.mylivepage)
161. <http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/198071.html>
162. [http://mironovacolor.org/theory/humans\\_and\\_color/symbolism](http://mironovacolor.org/theory/humans_and_color/symbolism)
163. [www.mirslovarei.com](http://www.mirslovarei.com)
164. <http://nauka-shop.com/mod/shop/product ID/4166>
165. [www.nevacropol.ru](http://www.nevacropol.ru)
166. <http://www.ortodoxy.ge/tsnobarebi/fsa...>
167. [http://planetadisser.com/see/dis\\_117363.html](http://planetadisser.com/see/dis_117363.html)
168. [http://planetadisser.com/work/work\\_16768.html](http://planetadisser.com/work/work_16768.html)
169. <http://psyfsctor.org.color.htm>
170. <http://symbols.ru>
171. <http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm>
172. <http://sumbol.grimuar.info>
173. <http://ulenspiegel.od.ua/?ID=4190>



